პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76; მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80.

დღიური

— ესტონეთის პარლამენტში არჩევნების დროს მემარჯვენე პარტიები დამარცხდენ.
— ოსმალეთ-სირიას შორის განახლდა მოლაპარაკება საზღვრების შესახებ.
— ბერლინში გაიმართა ყოფ. ჯარისკაცთა წითელი კავშირის დიდი დემონსტრაცია.
— მომავალ კვირაში ლონდონში შესდგება საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია.
— რუმინეთის ვალიუტის კურსი ძლიერ დაეცა.
— ბაქოს ბაზრობა გაგრძელდება 1-ლ ივნისამდე.

ოთხშაბათი, 26 მაისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 117 (1572)

ცეკას პლენუმი

30 მაისს, საღამოს 6 საათზე, სახალხო კომისართა საბჭოს შენობაში გაიხსნება
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მორიგი პლენუმი.
ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ქართველიშვილი.

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა — რუსთაველის პრ. № 34, ტელ. 10-49

არაფერი შეცვლილა

მდგომარეობა პილსუდსკის, რომელმაც პოლონეთში სამხედრო გადატრიალება მოახდინა, არ არის მტკიცე. პოზნანში ხდება თავმოყრა უკიდურეს რეაქციონურ ძალების, რომელნიც არ სცნობენ პოლონეთის ახალ დიქტატორს და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ემზადებიან.

თვით პილსუდსკი სრულებით არ არის რეაქციის განადგურების მოსურნე. მთელი მისი წარსული და ეხლანდელი მოქმედება უდაოდ ხდის, რომ პილსუდსკის აზრადაც არა აქვს რამოდენიმედ მაინც საგრძნობლად შესცვალოს პოლონეთის ეხლანდელი წყობილება. გადატრიალების მომენტში მის მიერ გადმოსროლილი „დემოკრატიული“ ლოზუნგები ჩვეულებრივი ფანდი იყო მასსების მოსატყუებლად.

ამით აიხსნება, რომ პილსუდსკიმ შესწყვიტა ბრძოლა ჩამოგდებულ მთავრობის მომხრე ძალებთან და მათთან მოლაპარაკებას აწარმოებს კომპრომისის მისაღწევად. ამით აიხსნება, რომ ქვეყნის სახელმწიფო აპარატი, ზოგიერთი მისი ზედაფენების გამოკლებით, ხელ-უხლებელი დასტოვა. სისტემა რჩება ძველებური, გამოიცვალენ მხოლოდ ზოგიერთი პირები, რომელნიც თავის წინამოადგილეებისაგან ბევრით არაფრით განირჩევიან.

პილსუდსკის „რევოლიუციაში“ მასას აქტიური მონაწილეობა არ მიუ[illegible]ბა. მაგრამ მშრომელი მოსახლეობა ამას თანაგრძნობით შეხვდა, რადგან არსებული რეჟიმი და მდგომარეობა მისთვის პირდაპირ აუტანელი შეიქნა. წვრილ ბურჟუაზიულმა პარტიებმა მას აღუძრეს ილიუზიები, რომ პილსუდსკის გამარჯვებით მისი ცხოვრების პირობები გაუმჯობესდებოდა.

ეს ილიუზიები იმსხვრევა. პოლონეთის „სოციალისტებმა“ და სხვა „მემარცხენე“ პარტიებმა არ მოისურვეს მასსის ჩაბმა რევოლიუციონურ ბრძოლაში და პილსუდსკის მიერ მოხდენილ სამხედრო გადატრიალების გამოყენება მუშათა კლასის ინტერესებისათვის. „სოციალისტებმა“ უარყვეს ერთიანი ფრონტი კომუნისტებთან, რადგან მათ შეეშინდათ მასსების ამოძრავების, რევოლიუციის.

თვით პილსუდსკის რევოლიუციონერობა კი ზღაპარია თავიდან ბოლომდე. ამასთან ყოველ მხრივ შებორკილი მასსები ვერ ახდენენ მაზე ენერგიულ ზეღდაწოლას. და ჩვენ ვხედავთ, რომ პილსუდსკი მიექანება მემარჯვენეებთან შეთანხმების გზით.

ის გარკვევით აცხადებს, რომ დგას კონსტიტუციის საფუძველზე და ცდილობს შექმნას „ზოგად-ნაციონალური“ მთავრობა. ეს კი ვიცით, თუ რას ნიშნავს, — მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობის დატოვებას, ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრის წინანდებურად გაგრძელებას.

ყველაფრიდან სჩანს, რომ რაიმე სერიოზული გადახრა მარცხნივ არ არის მოსალოდნელი. პილსუდსკის მომხრე პარტიებმა წამოაყენეს პარლამენტის დათხოვნის და მისი ხელახლად არჩევნების ლოზუნგი. ეხლა ეს მოთხოვნა სადღაც გაქრა. აქაც სჩანს ხალხის ნებისყოფის გაშლის შიში.

საშუალო გლეხობის პარტია „ვიზვოლენიე“ საჭიროდ თვლის აგრარულ რეფორმის ჩატარებას სეიმის საშუალებით. მაგრამ ხომ ოცნებაა ნამდვილი აგრარული რეფორმის განხორციელება პარლამენტარული გზით! მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევა მხოლოდ რევოლიუციას შეიძლება მოყვეს.

პილსუდსკი, ცხადია, ვერც ნაციონალურ საკითხის გადაჭრაზე აიტკივებს თავს. ის „დიდი პოლონეთის“ მოტრფიალეა და ეროვნულ უმცირესობებს საფუძველი არა აქვთ მისგან რამეს გამოელოდენ. ამიტომაა, რომ მათი წარმომადგენლები ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ საპრეზიდენტო არჩევნებში პილსუდსკის კანდიდატობისათვის მხარის დაჭერაზე.

რაც შეეხება მუშათა კლასს, პილსუდსკის დროს მისი ბედი ვერ გაუმჯობესდება. პოლონეთის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფიულია. მისი მრეწველობა სანახევროდ შეჩერებულია. უმუშევრობა მძვინვარებს. აქედან გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ კაპიტალისტების მადის შეზღუდვა, კიდევ მეტი: არსებითი ცვლილებების შეტანა პოლონეთის სოციალ-ეკონომიურ წყობილებაში. მაგრამ პილსუდსკი ამ გზით ვერ წავა.

ამასთან მჭიდროთაა დაკავშირებული პოლონეთის საგარეო მდგომარეობა. ამ ქვეყნის ეკონომიური კრიზისის შენელება მოსახერხებელი იქნება საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენით. პილსუდსკი საბჭოთა კავშირის ძველის ძველი მტერია. დღევანდელი ცნობიდანაც სჩანს, რომ პილსუდსკის მთავრობა, როგორც მისი წინამორბედი მთავრობაც, ცდილობს ხელი შეუშალოს ბალტიის ქვეყნების შეთანხმებას ჩვენთან და თვითონ ლამობს შეკრას მათთან ხელშეკრულება საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. მეტად საეჭვოა ეს განზრახვა განხორციელდეს, მაგრამ საგულისხმოა თვით ასეთი ცდა.

აღსანიშნავია, რომ პილსუდსკი, მიუხედავათ იმისა, რომ ის სრულებით არაკონსტიტუციონური გზით ჩაუდგა ხელისუფლებას სათავეში, მაშინათვე იცნეს სხვა სახელმწიფოებმა. აშკარაა, რომ პილსუდსკი იმყოფება პირველ ყოვლისა ინგლისის უშუალო გავლენის ქვეშ და გადატრიალებაც მან ლონდონის დასტურით მოახდინა. ინგლისი შეეცდება მის გამოყენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ ამისათვის ხელსაყრელი მომენტი დაუდგა. ამასთან უდავოა, რომ პილსუდსკის პოლონეთი ვერ დააღწევს თავს უცხო კაპიტალის ბატონობას, პოლონეთის „დაუესიზაცია“ აუცილებელია.

მაშ რა აზრი ჰქონდა სამხედრო გადატრიალებას? ცხადია, პილსუდსკი ერთი მხრით „დემოკრატიულ“ პარტიების დახმარებით, მეორე მხრით მემარჯვენეებთან შეთანხმებით შეეცდება „მაგარი“ კურსის შექმნას, დიქტატურის დამყარებას, რომ პილსუდსკი დიქტატურისაკენ მიისწრაფვის, ეს სჩანს თუ გინდ იქედან, რომ ის მოითხოვს პრეზიდენტის უფლებების გაფართოვებას. ადვილად შესაძლებელია, რომ პილსუდსკის დიქტატურამ მიიღოს ფაშისტური დიქტატურის სახე.

მაგრამ უდავოა, რომ პილსუდსკი ვერ მოახერხებს მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფების ინტერესთა შერიგებას. მის დიქტატურას არავითარი საფუძველი არა აქვს. რამდენადაც პილსუდსკის ბუნებას აღემატება პოლონეთის ეხლანდელი კრიზისის დაძლევა და რამდენიმედ შეწელებაც კი, იმდენად მასსების დარაზმვა მის წინაღმდეგ ახლო მომავალში აუცილებელია.

◆

კოოპერაციის ორგანიზაციის საკითხები

უკანასკნელ დრომდე კოოპერატივები სოკოებივით მრავლდებოდენ და ხშირად ისევე მალე ისპობოდენ. ჩვენ ისე მივეჩვიეთ ასეთ მდგომარეობას, რომ მას თითქოს ნორმალურათ ვსთვლით.

ასე ხდება როგორც სამომხმარებლო კოოპერაციაში, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში. უკანასკნელის ქსელი საქართველოში სამი თვის წინად აერთიანებდა 164 ამხანაგობას, ამჟამად კი მხოლოდ 118 ორგანიზაცია არსებობს. დანარჩენები გაქრენ და მოისპენ.

მკვდარმა ორგანიზაციებმა კი საკმაო დიდი თანხები ჩანთქეს, როგორც ბანკების, ისე სხვა სახელმწიფო და კოოპერატიული ცენტრალური დაწესებულებების და ხშირად თვით მოსახლეობისაც. ეს კი მძიმე ტვირთად აწვება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. მოისპენ ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებმაც ასეული ათასიც კი ჩანთქეს („ქართლი“, „წითელი ქართლი“ და სხვა). ცეკავშირის და წარმოკავშირის დიდი დავალიანებაც უმთავრესად ასეთ მკვდარმა ორგანიზაციებმა გამოიწვიეს. კოოპერატიული ცენტრების თანხები ძირითად ორგანიზაციებში ჩაიბნა და დაიკარგა; ამან სხვა მიზეზებთან ერთად საფრთხეში ჩააგდო თვითონ ცენტრების არსებობაც.

რა არის კოოპერატივების ასე დიდი რიცხვის დაღუპვის მიზეზები? ყველა მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. **ერთი მთავარი მიზეზი კოოპერატივების სტიქიური გამრავლებაა.** ხშირად არსდებოდენ კოოპერატივები ისეთ ადგილებში, სადაც ჯერჯერობით მათი არსებობა შეუძლებელი იყო მრავალი ობიექტიური მიზეზების გამო. ასეთი კოოპერატივები სამეურნეო საქმიანობით არ იყვნენ დატვირთული, მომზადებული მუშაკებიც არ მოიპოებოდა, ისინი თავის ხარჯების დაფარვასაც ვერ ახერხებდენ და ადრე თუ გვიან ისმებოდა საკითხი მათი ლიკვიდაციის შესახებ.

ყოველივე ამის გათვალისწინება მრავალ შემთხვევაში წინდაწინვე შეიძლებოდა, მაგრამ კოოპერაციის რიცხვობრივი ზრდით იმდენათ გატაცებული ვიყავით, რომ მისი თვისობრივი მხარეს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. აგრეთვე მხედველობაში არ ვღებულობდით იმ მოსაზრებას, რომ ჯერჯერობით საქართველოს ყველა რაიონებში კოოპერატივები ვერ იარსებებენ და ეკონომიურათ. სხვადასხვა სახის კოოპერატივები ვერ გაამართლებენ თავიანთ არსებობას, მოსახლეობის კოოპერატიული შეგნებაც ჯერ კიდევ მოისუსტებს და სხვა.

მომავალში მაინც უფრო მეტი სიფრთხილე უნდა იქნეს გამოჩენილი კოოპერატივების დაარსების საქმეში, უფრო მეტი გეგმიანობა უნდა იქნეს შეტანილი კოოპერაციის ორგანიზაციულ მშენებლობაში და მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის თვისებრივ ზრდას და გაუმჯობესებას.

ხშირად წაიკითხავთ გაზეთებში: დაგვიარსეთ კოოპერატივი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა ზევიდან ელის ხსნას, ცენტრიდან ელის არა მარტო იდეურ ხელმძღვანელობას, არამედ ქონებრივ დახმარებასაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ობიექტიურ-ეკონომიური პირობები კოოპერატივის დაარსებისთვის არ არის და ის შექმნილ უნდა იქნეს ხელოვნურად. ხელოვნურად და ნაჩქარევად დაარსებული კოოპერატიული ორგანიზაციები კი ისევ ნაჩქარევად დაიშლებიან, მოისპობიან და ვერავითარ რეალურ ნაყოფს ვერ მოგვცემენ. ავადმყოფი ორგანიზაციების არსებობის გამართლება არავითარი მოსაზრებებით არ შეიძლება, კოოპერაციის მუშაობა სოციალური უზრუნველყოფის საფუძვლებზე შეუძლებელია.

ერთი სიტყვით კოოპერაციის მშენებლობაში და მუშაობაში სტიქიური მომენტი უნდა იქნეს დაძლეული. კოოპერაციის გაჯანსაღება შესაძლებელია მხოლოდ ცხოველმყოფელ ძირითადი ორგანიზაციების დაარსებით, კოოპერატივების ისეთი ქსელის შექმნით, რომელსაც აქვს მტკიცე სამეურნეო დასაყრდენი და მომავალი განვითარების შესაძლებლობა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი კოოპერაციის კრიზისის დაძლევა.

ი. გუაჩიძე.

◆

საერთაშორისო რეაქციის იერიშები

ამერიკის კაპიტალი ემზადება „ინგლისის ამბების“ თავიდან ასაცილებლად

თუ ნახშირის მრეწველობაში გაფიცვა იწყო, სამხედრო წესები გამოცხადდება

გერმანელი ფაშისტები სახელმწიფო გადატრიალებისათვის ემზადებიან

კაპიტალისტების შემოტევა მუშათა კლასზე ჩეხო-სლოვაკიაში

ამერიკის კაპიტალის ემზადება

მზადება „სერიოზულ კონფლიქტებისათვის“

ნიუ-იორკი, 24 მაისი. სენატის კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს შრომის საქმეების მოწესრიგება, შეიმუშავა კანონპროექტი წარმოებაზე და ნახშირით ვაჭრობაზე კანტროლის დაწესების შესახებ „შეერთებულ შტატებში სერიოზულ სამრეწველო კონფლიქტების შემთხვევში“.

კანონპროექტის თანახმად, თუ გამოცხადდა სამთამადნო მუშების გაფიცვა, ამერიკის პრეზიდენტს უფლება ეძლევა გამოაცხადოს საგანგებო წესები და ქვა-ნახშირის მაღაროების ექსპლოატაცია გადასცეს ისეთ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ქვანახშირის ამოღება ზომიერ ფასებში. პრეზიდენტის განკარგულებით, შესაძლოა მაღაროები უშუალოდ სახელმწიფოს უწყებაში იქნეს გადარიცხული. ამ შემთხვევაში მაღაროების მეპატრონეებს ეძლევათ კომპენსაცია იმ რაოდენობით, რომელსაც თვით მთავრობა საჭიროდ სცნობს. კანონპროექტები განსახილველად გადაეცემა სენატს, რომელიც მხოლოდ დეკემბერში შეიკრიბება. მუშათა პრესა აღნიშნავს, რომ კანონპროექტი უმთავრესად მუშათა კლასის წინააღმდეგ არის მიმართული.

კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ

პრაღა, 24 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო“ მოუწოდებს მუშათა ორგანიზაციებს მთლიანი ფრონტისაკენ და მიუთითებს, გაერთიანებული ბურჟუაზია ცდილობს გააუარესოს პროლეტარიატის ცხოვრების პირობები აგრარულ ბაჟების შემოღებით, შაქრის ბაჟის გადიდებით, სამხედრო კრედიტების 3,5 მილ. კრონით გაზრდით, სამღვდელოების შესანახ ხარჯების მომატებით და რკინისგზის ტარიფების 22 პროცენტით გადიდებით. ამასთან ერთად გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხანში შესულ მუშათა უზრუნველყოფის ხარჯები 500 კრონას არ აღემატება.

ფაშისტები არ სცხრებიან

მონარქისტები ემზადებიან

ბერლინი, 24 მაისი. გერმანელ ფაშისტების და მონარქისტების შეთქმულების გამომჟღავნებამ და ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ლიუკის, კლასსის და სხვების ბინების გაჩხრეკამ ოგნავადაც ვერ შეასუსტა მემარჯვენეების მებრძოლი სულიერი განწყობილება. პრუსსის ლანდტაგში ამ საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს მემარჯვენე პარტიები სასტიკად ილაშქრებდენ კოალიციონური მთავრობის წინააღმდეგ. ნაციონალისტმა დეპუტატმა შტეინჰოფმა განაცხადა, რომ პანგერმანიზმის ბელადების ბინების გაჩხრეკა მოასწავებს იმას, რომ „პრუსიის მთავრობა ცდილობს გადატრიალება მოახდინოს რეიხსტაგის წინააღმდეგ“. მეორე ნაციონალისტმა ვინკლერმა წარადგინა წინადადება, რომ მთავრობა ვალდებულია დააკმაყოფილოს ის პირები, რომელნიც გაჩხრეკილ იქნენ, და მოითხოვა იმ მოხელეების პასუხისგებაში მიცემა რომელნიც „უკანონოდ მოიქცენ“.

თავის გამოსვლებში მემარჯვენეები სცდილობენ თავის საქციელი გაამართლებიათ ბოლშევიკური საფრთხის მომიზეზებით.

კამათის დროს ლანდტაგში გამოვიდენ პრემიერი ბრაუნი და სხვები, რომლებმაც სავსებით გააშუქეს მემარჯვენე ორგანიზაციების საქმიანობა და მათი მუშაობა სახელმწიფოს ღალატად მონათლეს.

ეხება რა პრემიერის მიერ გამხელილ ფაქტებს, „ფორვერტს“ აშკარად სწერს, რომ „სახელმწიფო პროკურორი დიდი ხნით ადრე ჩარეოდა ამ საქმეში, რადგან ასეთ მზადებას კომუნისტები აწარმოებდენო“.

მდგომარეობა ინგლისში

კუკი ჰკიცხავს ბელადების ლაქიობას.

ლონდონი, 24 მაისი. სამთამადნო მუშების ფედერაციის მდივანმა კუკმა სამხრეთ უელსში სიტყვა წარმოსთქვა სამთამადნო მუშების მიტინგზე, რომელსაც 5.000 კაცი დაესწრო. კუკი მოუწოდებდა რკინისგზელებს და დოკერებს არ გადმოტვირთონ ქვა-ნახშირი გაფიცვის დროს, რანაირი შედეგიც არ უნდა მოჰყვეს ასეთ მოქმედებას. **კუკმა სამთამადნო მუშების ფედერაციის სახელით აღუთქვა მათ, რომ თუ დოკერები და რკინისგზელები უარს იტყვიან ქვა-ნახშირის დატვირთვა-გადმოტვირთვაზე, სამთამადნო მუშები მათ გაუნაწილებენ თავიანთ განკარგულებაში არსებულ ფულს და არ დაიწყებენ მუშაობას, თუ მათთან ერთად ყველა დანარჩენი მუშებიც არ განაახლებენ მუშაობას.**

კუკმა სასტიკად გაჰკიცხა გენერალურ საბჭოს „საშინელი და სამარცხვინო კაპიტულიაცია“. კუკმა დასძინა:

„ჩვენ ვებრძვით არა მარტო მთავრობას და მწარმოებლებს, არამედ, აგრეთვე მუშათა ბელადებსაც, განსაკუთრებით პოლიტიკურ ბელადებს. **მთავრობას და მწარმოებლებს არასოდეს ისეთი ზეგავლენა არ მოუხდენიათ ჩვენზე, როგორც პროფკავშირების ზოგიერთ ბელადებს, რომელნიც მოითხოვდენ, რომ ჩვენ დავთანხმებოდით სამუშაო ხელფასის შემცირებაზე**“.

კუკმა დაუზოგავად გაჰკიცხა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრები, კერძოდ მაკდონალდი და ტომასი, „რომელნიც ქედს იხრიან და მორჩილებას უცხადებენ მწარმოებლებს და რომელთა სიტყვებს მომავალში დიდი სირცხვილის გრძნობით წაიკითხავს მუშათა კლასი“.

„მე ვუცხადებ რკინისგზელებს,—სთქვა მან,—რომ **მათი ბელადების უდიდესი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მათ უღალატეს არა მარტო სამთამადნო მუშებს, არამედ რკინისგზელებსაც.** ეს არის ერთ-ერთი უაღრესად ბინძური საქმე, რომლის მზგავსი მუშათა კლასების ბრძოლის ისტორიას არ ახსოვს“.

ტომასი აცხადებს, რომ ის პასუხს არ გასცემს კუკის გამოსვლას, სანამ მოხსნილი არ იქნება სამთამადნო მუშების ლოკაუტი. გენერალური საბჭოს წევრებმა ბევინმა, უოკერმა და ფინდლეიმ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ გენერალურმა საბჭომ მოუწოდა საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტისაკენ იმ იმედით, რომ მეფის სანახშირო კომისიის თავმჯდომარის სამუელის მემორანდუმს მთავრობა მიიღებდა.

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს მოწოდება

მოსკოვი, 24 მაისი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს. მოწოდებაში ნათქვამია:

„ინგლისელი სამთამადნო მუშები გაფიცვას განაგრძობენ, მიუხედავად გენერალურ საბჭოს მემარჯვენე ბელადების ღალატისა. ამსტერდამის ინტერნაციონალმა და აგრეთვე სამთამადნო მუშების ინტერნაციონალმა რომელთაც ფაქტიურად არც კი დაუწყიათ დახმარების აღმოჩენა, უკვე შესწყვიტეს ეს დახმარება.

ნუ თუ ინგლისელი სამთამადნო მუშები მარტო იქნებიან მიტოვებული ამ ბრძოლაში? არა, პროფინტერნი და მისი მომხრე ორგანიზაციები არაფრის წინაშე არ დაიხევენ და განაგრძობენ დახმარების აღმოჩენას ინგლისელ სამთამადნო მუშებისათვის.

ინგლისელ სამთამადნო მუშების საქმე—ჩვენი საქმეა.

ამჟამად ინგლისში ქვა-ნახშირის გაგზავნა და შემოწირულებათა შეგროვების შეწყვეტა კლასობრივი სოლიდარობის დაუშვებელი დარღვევა იქნებოდა.

ყველა, როგორც ერთი კაცი, უნდა აღსდგეს ინგლისელ ძმების დასახმარებლად!“.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 25 მაისი. **კომინტერნის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს: განაგრძონ დახმარების აღმოჩენა ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშებისადმი.**

„ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ, ნათქვამია მოწოდებაში,—სამარცხვინოდ უღალატა სამთამადნო მუშებს. სამთამადნო მუშების ბრძოლა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლაა. ამიტომ, ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი დახმარების აღმოჩენის კამპანია კვლავ უნდა გაგრძელდეს. ჩვენი ძველი ლოზუნგი: არც ერთი ტონა ნახშირი ინგლისს,—სავსებით რჩება ძალაში.

დემონსტრაცია ბერლინში

ბერლინი, 23 მაისი. ყოფილ ჯარისკაცთა წითელმა კავშირმა მოაწყო ფართო დემონსტრაცია, რომელშიაც დაახლოვებით 300.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის წევრები გერმანიის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდენ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. გარდა კავშირის წევრებისა, **დემონსტრაციაში 200.000-ზე მუშა იღებდა მონაწილეობას.** დემონსტრანტების [illegible] ქალაქში მთელი დღე გრძელდებოდა.

დიდ სახალხო პარკში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გერმანიის კომპარტიის ბელადმა ტელმანმა და პიკმა სიტყვები წარმოსთქვეს.

ისინი განსაკუთრებით აღნიშნავდენ ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის როლს პროლეტარული რევოლიუციისათვის ბრძოლაში.

ამ დღესვე **ყოფილ ჯარისკაცთა კავშირს საბჭოთა პროფკავშირების სახელით დროშა გადაეცა.**

დემონსტრაციას პოლიციასთან შეტაკება არ ჰქონია.

მეორე დღესაც ბერლინი სავსებით გრანდიოზული სახალხო დემონსტრაციის შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ იყო.

◆

განიარაღების კონფერენცია

ბონკურის პროექტი

ბერლინი, 23 მაისი. განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე ჟენევაში, ფრანგმა დელეგატმა, სოციალისტმა პოლ ბონკურმა კონფერენციის სარედაქციო კომისიას წარუდგინა პროექტი წესებისა, რომელიც შეეხება ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლში გათვალისწინებულ სამხედრო და ეკონომიურ ზომების სასწრაფოდ განხორციელებას. (ეს მუხლი ითვალისწინებს შეთანხმებულ დამსჯელ ზომებს ლიგის წევრების მხრივ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც მშვიდობიანობის დამრღვევად იქნება ცნობილი). ინგლისელ დელეგატის სესილის აზრით, ბონკურის პროექტი ითვალისწინებს ერთა ლიგის წესდების შეცვლას და, ვინაიდან კომისიას არ აქვს მისი განხილვის უფლება, პროექტი საფრანგეთმა უშუალოდ უნდა შეიტანოს ლიგის საბჭოში.

ბელგიელ დელეგატმა დე-ბრიუკერმა წარადგინა კომპრომისული წინადადება, რომლის თანახმად სარედაქციო კომისიამ ტეხნიკურ კომისიებს უნდა გადასცეს მე-16-ე მუხლთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც წმინდა ტეხნიკური ხასიათი აქვთ.

კომისიას ჯერ კიდევ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია.

◆

ფინანსიური კრიზისი რუმინეთში

ვენა, 24 მაისი. რუმინეთს ვალიუტის კურსი, ცოტათი გააუმჯობესა იმ გარემოებამ, რომ ნაციონალურმა ბანკმა უცხოეთის დიდძალი ვალიუტა გაყიდა. მაგრამ მიუხედავად ლეის კურსის განმტკიცებისა, ყველა საქონელი საგრძნობლად გაძვირდა. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ფაბრიკატები 25 პროცენტით გაძვირდა, ფუფუნების საგნები კი 50 პროცენტით.

◆

ჩინეთში

„1911 წლის რევოლიუცია განმეორდება“.

პარიზი, 24 მაისი. „ენფორმასიონ“ ჩინეთის ამბების შესახებ სწერს:

„ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს სახალხო არმიაზე გამარჯვება არ უნდა იქნას გაზვიადებული. ეროვნული მოძრაობა ჩინეთში ჯერ კიდევ ძლიერია. ინგლისელებს და იაპონელებს უკვე აღარ შეუძლიათ ნაციონალურ მოძრაობის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა, ისინი მოქმედებენ ჩან-ძოლინის და სხვა მათ მიერ დასმულ პირთა საშუალებით. **4.500.000 ჩინელი მოსწავლე ისეთ არმიას წარმოადგენს, რომელიც მზადაა 1911 წლის რევოლიუცია განიმეოროს“.**

საბჭოთა პრესა

სულ მცირე ათი პროცენტით

ამას წინად საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვით სასწრაფო ზომები უნდა იქნეს მიღებული მთელს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების აწევისათვის საშუალოდ **ათი პროცენტით მაინც** მიმდინარე სამეურნეო წლის დარჩენილ ნაწილისათვის. შრომის ნაყოფიერების ზრდა მეტად ნელა მიმდინარეობს. თუ შარშან მაისში ერთი მუშის დღიური გამომუშავების ღირებულება შეადგენდა 6 მ. 15 კ. (საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობისათვის), ოქტომბერში ის უდრიდა 5 მ. 70 კ., ნოემბერში 5 მ. 91 კ., დეკემბერში —6 მ. 5 კ., იანვარში 6 მ. 6 კ., მხოლოდ თებერვალში ავიდა 6 მ. 31 კაპეიკამდე. საჭირო შეიქნა მთელი 9 თვე, რომ შეგვეჩერებია შრომის ნაყოფიერების დაცემა, რომელიც დაიწყო გასულ ზაფხულიდან. მრეწველობის ზოგიერთ დარგში კი ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია წინანდელ დონემდეც.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნ“ ეხება ამ მოვლენას და სწერს:

„თვითეულ მუშის გამომუშავების ნორმის დაცემაზე ლაპარაკის დროს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მარტო ის ფაქტი, რომ ცუდი მოწყობილების ფაბ.-ქარხნები ავამოძრავეთ, რაც არაიშვიათად აფერხებს მთელ წარმოების პროცესს არამედ გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობაზე უფრო მეტი მუშების დაბანდება წარმოებაში და მთელ რიგ საწარმოში მუშა ხელის არარაციონალური გადაჯგუფება დამხმარე მუშების ხვედრითი წონის გადიდების მიმართულებით.

მაგრამ წარმოების ყველაზე დიდ უბედურებას წარმოადგენს სამუშაოს გაცდენა მუშების მიერ პატივსადებ და განსაკუთრებით არა პატივსადებ მიზეზების გამო, რომლებიც ლოთობის გავრცელებასთან არიან დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ განაცდენების ზრდა უშუალოდ ახდენს გავლენას შრომის ნაყოფიერების შემცირებაზე; გარდა ამისა, რომ ლოთობა გავლენას ახდენს გაფუჭებულ საქონლის გამოშვების ზრდაზე,—განაცდენებს და ლოთობას შეაქვთ კიდევ დეზორგანიზაცია თვით წარმოების მსვლელობაში, ვინაიდან ისინი იწვევენ მთელ ცეხების შეჩერებას მოსამზადებელ განყოფილებებში მუშაობის არევ-დარევის გამო“.

შრომის დისციპლინის დარღვევის აღმოსაფხვრელად მიღებულ ზომებს ჯერ-ჯერობით არ გამოაქვთ მაქსიმალური ნაყოფი. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება, როგორც ადმინისტრატიული, ისე პროფკავშირული ხაზით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა ლოთობასა და სხვა არა პატივსადებ მიზეზებით გამოწვეულ განაცდენებთან უსასტიკესი ბრძოლის წარმოებისა, აუცილებლად უნდა იქნას გამოკვლეული „პატივსადები მიზეზებიც“: ძალიან ხშირია ავადმყოფობის მომიზეზების შემთხვევებიც (სიმულიაცია), რაც ძირიანფესვიანად უნდა იქნას აღმოფხვრილი. აგრეთვე მუშები ბევრ სამუშაო დროს აცდენენ დაუსრულებელ კრებებსა, თათბირებსა და ყრილობებზე. აქაც საჭიროა კორექტივების შეტანა.

წარმოების რაციონალიზაციისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების გზით ჩვენ მოკლე დროში უეჭველად უნდა მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას ათი პროცენტით მაინც, როგორც ეს დაადგინა შრომისა და თავდაცვის საბჭომ.

„დემოკრატიის გზით“... სავარძლისაკენ

პილსუდსკი თანახმაა თავისი კანდიდატურა წამოაყენოს პრეზიდენტის არჩევნებზე
(დეპეშებიდან).



პილსუდსკის განცხადება

ვარშავა, 25 მაისი. (დასაწყისი არ არის მიღებული). მე დღეს საშუალება მომეცა კვლავ შევხვედროდი პილსუდსკის; შეხვედრა მოხდა უფრო ოფიციალურ პირობებში, გარეშე საქმეთა მინისტრის ზოლესკის თანდასწრებით უკანასკნელის კაბინეტში. პილსუდსკი შეკითხვაზე განსაკუთრებით თავაზიანად მიპასუხებდა, ლაპარაკობდა აუჩქარებლად, საჭირო სიტყვების შერჩევით. მას ისეთი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, რომელიც ხედავს „რთულ და მკაფიო სიზმარს“.

ჩემს პირველ შეკითხვას, რასაკვირველია, წარმოადგენდა შემდეგი: „მართლაც საბოლოოდ წამოაყენეთ თქვენ თქვენი კანდიდატურა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე?“.

— ჩვენი კანონების მიხედვით,—მიპასუხა პილსუდსკიმ,—პრეზიდენტის კანდიდატურის პარტიები ან საკანონმდებლო პალატების ცალკე წევრები აყენებენ. მე ვფიქრობ, რომ პოლონეთში მომხდარ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, ჩემი კანდიდატურა წამოყენებულია. ამის შემდეგ კენჭის ყრა ავტომატიურად ხდება. დაბოლოს, კენჭის ყრის გათავების შემდეგ არჩეული პრეზიდენტი მიიღებს ან უარყოფს თავის არჩევას. მარტო ჩემი კანდიდატურის წამოყენებას მე მირჩევნია სხვა კანდიდატებთან ერთად ვიყო სიაში; მე მინდა სხვა კანდიდატებთან შეთანხმებით, ვიკისრო ინიციატივა პოლონეთის იმ კანონების ნაკლულოვანებათა გამორკვევის მიზნით, რომელნიც ზღუდავენ პრეზიდენტის უფლებებს. პრეზიდენტი ფიცს უნდა ღებულობდეს, რომ დაიცვას სახელმწიფოს და ერის ღირსება, მაგრამ ამის განსახორციელებელ საშუალებას მას არ აძლევენ. დანარჩენ კანდიდატებთან შეთანხმებულად გამოსვლით, შესაძლო იქნება სათანადო შუამდგომლობით მიმართვა სეიმის და სენატის წევრებისათვის.

სეპარატიული მოძრაობის შესახებ პოზნანში პილსუდსკიმ მიპასუხა:

„მე ამაში სერიოზულ საფრთხეს არ ვხედავ. ეს ჩვეულებრივი შეხლა-შემოხლაა, რომელსაც განიცდის ყოველი სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში თანდათანობით შევიდენ წინათ უცხოელთა ხელისუფლების ქვეშ მყოფი პროვინციები. პოზნანში სჩანს ზეგავლენა გერმანიის ძალის, რომელმაც იცვალა ზნე-ჩვეულება და ადათი. მართალია დამოკიდებულება პოზნანსა და დანარჩენ პოლონეთს შორის გამწვავებულია, მაგრამ ასეთ მდგომარეობიდან სეპარატიზმის საფრთხემდე დიდი მანძილია“.

ჩემს შეკითხვაზე, როგორ ესმის მას სოციალური ორგანიზმი და ემხრობა თუ არა ფაშიზმს, პილსუდსკიმ განაცხადა:

„მე არ ვფიქრობ, რომ ასეთ პირობებს შეურიგდება პოლონეთი. მოსახლეობა მომთმენია, მაგრამ მას იმედი უნდა ჰქონდეს ბელადების. ის მხარს არ დაუჭერს ისეთი ძალის გამოყენებას, რომელიც ადგილობრივ უმნიშვნელო ორგანიზაციების ხელშია...“ (დასასრული მიღებული არ არის).

პილსუდსკი თანახმაა პრეზიდენტობაზე.

ბერლინი, 23 მაისი. ვარშავიდან იტყობინებიან, რომ თავის მომხრეების თხოვნით, პილსუდსკი დათანხმდა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

◆

პოლონეთის ინტრიგები

პარიზი, 24 მაისი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის მთავრობამ, იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს განზრახულ ხელშეკრულების დადებას ერთი მხრით საბჭოთა კავშირსა და მეორე მხრით ლატვიასა და ესტონეთს შორის, წინადადება მისცა ამ უკანასკნელთ საიდუმლო ხელშეკრულობა დასდონ მასთან: ამ ხელშეკრულების ძალით პოლონეთი ვალდებულობას კისრულობს, სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს ლატვიასა და ესტონეთს იმ შემთხვევაში, თუ მათ საბჭოთა კავშირი თავს დაესხმის. სამაგიეროთ ლატვიამ და ესტონეთმა ვალდებულება უნდა იკისრონ, რომ თავიანთ საგარეო პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ პოლონეთს შეუთანხმებენ.

გარდა ამისა პოლონეთმა ლატვიისა და ესტონეთს მოსთხოვა, რომ ისინი ფინლიანდიას შეუთანხმდენ, რათა ოთხი სახელმწიფოს გაერთიანებული ფრონტი შეიქმნეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მოლაპარაკებას ამ საგანზე რიგასა, რეველსა და ჰელსინგფორსში აწარმოებდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი იანიკოვსკი, რომელმაც ამასწინათ ინახულა ეს ქალაქები.

როგორც გადმოგვცემენ, ლატვია და ესტონეთი დიდი ინტერესით მოეპყრო ამ წინადადებას და დღესაც მოლაპარაკებას აწარმოებენ პოლონეთის ელჩებთან რიგასა და რეველში; ფინლიანდია კი უფრო თავდაჭერილად შეხვდა მას.

ზემოაღნიშნული წინადადება იანკოვსკიმ წარადგინა, სანამ პოლონეთში უკანასკნელი გადატრიალება მოხდებოდა. მაგრამ მას სავსებით იწონებს პოლონეთის ახალი მთავრობაც. როგორც ცნობილია, პილსუდსკი დიდი მომხრეა პოლონეთ-ბალტიური ფრონტის შექმნისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

◆

ეკონომიური კონფერენცია

ლონდონი, 24 მაისი. მომავალ კვირაში ლონდონში გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც 30 სხვადასხვა სახელმწიფოდან 130-დე სახელმწიფო მოღვაწე დაესწრება.

კონფერენციის დღის წესრიგშია იმ კანონთა უნიფიკაცია, რომელნიც სავაჭრო გარიგებებს აწესრიგებენ. კონფერენცია განიხილავს აგრეთვე პროექტს, რომლის თანახმად საერთაშორისო მასშტაბით მოწესრიგებული უნდა იქნეს გემების მიმოსვლის და საბაჟოების [illegible] მხარე, აგრეთვე ქვა-ნახშირის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების განვითარების პერსპექტივების განვითარება.

საერთაშორისო საპარლამენტო სავაჭრო კონფერენცია პირველად 12 წლის წინად იყო მოწვეული ბრიუსელში ექვსი სახელმწიფოს მონაწილეობით.

ამჟამად კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი 30-ს აღემატება.

ოსმალეთიდან კონფერენციას დაესწრება ორი წარმომადგენელი, რომელნიც სპეციალურად ჩამოვლენ ანგორიდან.

ვანისძე იოსელიანი შვილებით: [illegible]
სტარხ), ელენე და თამარი,
ირიკა და ნუნუ აუწყე-
ვაისში საგ [illegible]
ასი. ლაფეიწყარო

ოსმალეთ-სირიის საზღვარი

ანგორა, 27 მაისი. ვინაიდან საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ არ დაამტკიცა დე-ჟუვენელის მიერ ანგორაში ხელმოწერილი ხელშეკრულება, ოსმალეთსა და სირიის შორის განახლდა მოლაპარაკება ოსმალეთ-სირიის საზღვრების შესახებ.

ზაგლულ-ფაშას გამარჯვება

ლონდონი, 23 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ეგვიპტეს პარლამენტის არჩევნებში დიდი გამარჯვება ხვდა წილად ნაციონალურ პარტიას, რომელსაც ზაგლულ-ფაშა მეთაურობს.

ეს პარტია მოითხოვს ეგვიპტეს სრულ დამოუკიდებლობას და ეწინააღმდეგება ინგლისელების ბატონობას.

მაროკოში

ლონდონი, 25 მაისი. „დეილი მეილ"-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის ჯარების წინსვლის გამო მაროკოში აბდ-ელ-კერიმი ცდილობს განაახლოს საზავო მოლაპარაკება.

პარიზი, 25 მაისი. ფრონტის ესპანეთის რაიონში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ რიფების ძალები იხრწნებიან.

ფეციდან მიღებული ცნობით, აბდ-ელ-ქერიმმა გაუგზავნა სტემს ორი წერილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მას საფრანგეთის სულგრძელობის იმედი აქვს.

„ჟურნალ" სწერს, რომ „საფრანგეთი დათანხმდება მხოლოდ აბდ-ელ-ქერიმის სრულ დამორჩილებაზე".

„ექსელსიორ" სწერს: „საფრანგეთსა და ესპანეთს არ სურთ უჯას კომედიის განახლება".

„მატენ" სწერს: „საომარი მოქმედება შეწყვეტილ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აჯანყებულები სრულ მორჩილებას გამოაცხადებენ".

პურის დამზადების საქმე და კოოპერაცია

(„პრავდა"-ს მოწინავე)

პურის დასამზადებელ ბაზრიდან რ. ს. ფ. რ. და უკრაინის სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობების მოხსნის შემდეგ, დამზადებელ ორგანოების საგრძნობლად შემცირებულ მოცულობით ნავარაუდევი მუშაობა ფართოვდება.

პურის დამზადებისა და, მაშასადამე, ექსპორტის მომარაგების საქმეში დასახულ გეგმის შესრულება ზევრათ არის დამოკიდებული იმაზე,—შესძლებს თუ არა კოოპერაცია დასახულ ამოცანის შესრულებას.

კოოპერატიულ სისტემათა უკანასკნელი ორი წლის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათი საქმიანობა პურის დამზადების საქმეში უეჭველწლიურად იზრდებოდა და კოოპერატიული გეგმანი, ე. ი. ცენტრალიზაციაქმნილ დამზადების ტემპი არ ჩამორჩენილა, ხშირად კიდეც უსწრებდა წინ ძირითად სახელმწიფო ორგანიზაციების დამზადების ტემპს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოოპერაციის დამზადების ზრდამ ცენტრალიზაციაქმნილ წესით, გადააჭარბა ძირითად დამმზადებელ ორგანოების ტემპს 36,6 პროცენტით.

კოოპერატიულ ცენტრების დამზადებათა ასეთ საგრძნობმა ზრდამ, გაზარდა მათი როლი გეგმიანი წესით დამზადებული პურის საერთო მასაში 1925—26 საოპერაციო წლის ბაზარზე 18-დან 20,7 პროცენტამდე.

აღნიშნული მიღწევები პირველ რიგში უნდა მივაწეროთ კოოპერაციის გაძლიერებას, რაც შედეგია ურთიერთობათა მოწესრიგებისა როგორც კოოპერატიულ სისტემათა შიგნით, ისე უკანასკნელთა და სახელმწიფო დამმზადებელ ორგანოებს შორის.

მიუხედავად ამისა, კოოპერატიული ცენტრები ჯერ კიდევ ვერ არიან მომზადებული იმისათვის, რომ სავსებით მოუარონ პურის იმ უზარმაზარ რაოდენობას, რომელიც გადის კოოპერატიულ სისტემის ხელში მთლიანად.

კოოპერაციათა ორივე სისტემების ნაერ [illegible] უკვე პირველ აპრილისათვის უდრიდა, დაახლოვებით, 260—265 მილიონ ფუთს, რაც მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში ბაზარზე გამოტანილ პურის საერთო რაოდენობის 35 პროცენტს შეადგენს.

150—160 მილიონი ფუთი პური, რომელიც ვერ შეიძინა კოოპერატიულმა ცენტრებმა, გადაიქცა უმთავრესად ბაზრის დეზორგანიზაციის ფაქტორად. ძირითადი სახელმწიფო დამზადებელი ორგანოები და გეგმის გარეშე სახელმწიფო, კოოპერატიული, ხშირად კერძო დამმზადებლიც კი ერთი-მეორეს შეეჯიბრენ ამ მილიონების შეძენაში და სწევდენ ფასებს, სარგებლობდნენ რა ყოველგვარი კანონიერი და არაკანონიერი საშუალებებით (საკომისიო ჯილდოს გადიდება, პურის სადგურებზე მოტანისათვის ჯილდოს გაცემა, შენახვის, საორგანიზაციო და სხვა ხარჯები). შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1925 წლის 22 ივლისის დადგენილება, რომელიც აწესრიგებდა ურთიერთობას სახელმწიფო დამმზადებელთა და კოოპერაციის შორის, სამწუხაროდ, ყველგან არ იყო გატარებული.

გასული კამპანიის დროს სრულებით არ იყო მოწესრიგებული კოოპერატიული სისტემის და გეგმის გარეშე დამმზადებელთა ურთიერთობა. კოოპერაციის მუშაობას ხელი შეუშალა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ არ იყო დამყარებული სრული გარკვეულობა კოოპერატიულ ცენტრებსა და მათ საშუალო ორგანოებს შორის, არ იყო აგრეთვე საკმაოდ მიზანშეწონილი შემოწმებული შერჩევა საშუალო და მასთან ერთად, ძირითად კოოპერატივებისა. ამასვე შეუწყო ხელი საკომისიო ჯილდოს არათანაბარმა განაწილებამ და იმანაც, რომ კოოპერატიული ცენტრები თავის დროზე და სრულად ვერ აწვდიდენ ფინანსიურ საშუალებებს პერიფერიებს.

ამ ძირითად ნაკლის გამოსწორებას უნდა მიაქციოს ყურადღება მოწესრიგებელმა ორგანოებმა და კოოპერაციამ. კოოპერაცია მომავალ კამპანიის დროს უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ მძლავრ ფასების მომწესრიგებელ იარაღად პურის დასამზადებელ ბაზარზე.

კოოპერატიულმა სისტემამ უნდა გამართლოს თავის სახელწოდება. ის არ უნდა იყოს ჩარჩი.

უნდა დაწესდეს მაღლამდგომ ორგანიზაციების ნამდვილი კონტროლი ყველა ორგანიზაციებზე. პურის ბაზარზე დეზორგანიზაციის შემტანი ფაქტორები კოოპერაციის შიგნით, პირველ რიგში თვით კოოპერაციამ უნდა აღკვეთოს თავიდან.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ სამართლიან ფასის დაწესებისათვის გლეხის ნაწარმოებზე—პურზე—და მასთანავე არა ნაკლებათ უნდა ვიბრძოლოთ კოოპერატიული აპარატის სიიაფისათვის. [illegible] კოოპერაციას [illegible] აქვს გაკეთებული. ზედმეტ ხარჯების მინიმუმი [illegible] კოოპერაციის [illegible] წლების განმავლობაში. გასული წლების მაგალითებმა გვიჩვენა, რომ იქ, სადაც კოოპერაციის მუშაობა ხელსაყრელი იყო, დამზადებელნი თვით სტოვებდენ ბაზარს.

კოოპერაციამ [illegible] კამპანიის დროს ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ მოამზადოს თავის პერიფერია პურის დამზადებისათვის.

კოოპერატიული პუნქტები მომარაგებული უნდა იქნენ აუცილებელი ინვენტარით და მოწყობილობით (საწონები მანქანები და სხვა).

თუ კოოპერაციამ პურის დამზადების მიმდინარე კამპანიის დროს მოახერხა ყველა ამის გაკეთება, მისი როლი საგრძნობლად გაიზრდება.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 25 მაისი.

საბჭოთა კავშირში

ამხ. ძერჟინსკი „იუგოსტალ"-ის შესახებ

ხარკოვი, 25 მაისი. 24 მაისს „იუგოსტალ"-ის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირზე ამხ. ძერჟინსკიმ აღნიშნა, რომ „იუგოსტალ"-ის საწარმოო პროგრამა არ შესრულდა. დამზადებულ ნაწარმოების თვითღირებულება 29 პროცენტით აღემატება საპროგრამოს, რამაც წლის პირველ ნახევარში 22 მილ. მანეთის ზედმეტი ხარჯი გამოიწვია. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად დაეცა. ყოველივე ამის გამო „იუგოსტალ"-ი დიდ ზარალს განიცდის. შრომისა და თავდაცვის საბჭო დაეხმარა „იუგოსტალ"-ს და განზრახულ 17,5 მილ. მანეთის ნაცვლად 20 მილ. მანეთი მისცა. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა აგრეთვე, რომ წინადადება მისცეს სახელმწიფო ბანკს, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს „იუგოსტალ"-ს 3.5 მილ. მანეთის გრძელვადიანი სესხი საქონლის გირაოს ქვეშ.

წლის მეორე ნახევრის საწარმოო გეგმა „იუგოსტალ"-ის მუშაკთაგან მოითხოვს დიდი ენერგიის გამოჩენას. ამ პროგრამის მიხედვით მეორე ნახევრის წარმოება პირველს 33 პროცენტით უნდა აღემატოს და ამასთან ერთად შრომის ნაყოფიერება 28 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

შემდეგ თათბირმა მოისმინა „იუგოსტალ"-ის გამგეობის მოხსენება, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ქარხნების მოწყობილობა ძალიან გაცვდა. ნახევარი წლის განმავლობაში სამუშაო ხელფასი 41 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება კი მხოლოდ 21 პროცენტით. სამუშაოს გაცდენა 14 პროცენტს შეადგენს. გამგეობა ფიქრობს, რომ საწარმოო პროგრამა ამა წლის მეორე ნახევრისათვის უეჭველად შესრულდება.

კამათის დასასრულს გამოვიდა ამხ. ძერჟინსკი, რომელიც შეეხო მუშაობის გაცდენას და აღნიშნა, რომ ამას უდიდესი ვნება მოაქვს წარმოებისათვის. ამხ. ძერჟინსკიმ წინადადება მისცა „იუგოსტალ"-ის გამგეობას, რომ მექანიკურად, თვით საწარმოო პროგრამის შესრულების მიუხედავად, შეამციროს მუშათა შტატი იქ, სადაც მუშაობის გაცდენა ხდება.

ვოლგას ადიდება

პოკროვსკი, 25 მაისი. ვოლგამ ძალიან იმატა. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულია პარტიული ორგანიზაციები, ახ. კომკავშირი, პროფმუშაკნი, ქალაქის საბჭოს წევრნი და სხ. დღისითა და ღამით ამაგრებენ ნაპირებს, რომ წყალმა არ გადმოლეკოს. განზრახულია ქალაქიდან 12.000 მცხოვრების გადასახლება. მცხოვრებთა ერთი ნაწილი ქალაქის გარეთ გადასახლდენ და უბინაოდ არის.

საქართველოს ცხრაწლედების მუშაკთა კონფერენცია

პირველი სხდომა

24 მაისს, საღამოს, 1 შრომის სკოლის შენობაში გაიხსნა ცხრაწლედების გამგეთა სრულიად საქართველოს კონფერენცია.

კონფერენცია გაგრძელდება 30 მაისამდე. პირველი სამი დღის განმავლობაში კონფერენციის მონაწილენი ცალკე სექციების სახით ჩამოივლიან ადგილობრივ ცხრაწლედებს მათი მუშაობის გასაცნობად, მოსმენილ იქნება მოხსენებები ადგილებიდან, რათა ყველა ცხრაწლედების მუშაობის გამოცდილების მიხედვით გამომუშავებულ იქნეს პრაქტიკული ღონისძიებანი სკოლების შემდეგი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დღის წესრიგი

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის 1 საფეხურის შრომის სკოლის მეორე კონცენტრის რეორგანიზაცია, სკოლების საზოგადოებრივი მუშაობის განვითარება, მასწავლებელთა პედაგოგიური მომზადება და გადამზადება, მატერიალისტური ფსიქოლოგია შრომის სკოლებში, ანბანის სწავლება პლაკატით, პრაქტიკუმი პედაგოგიურ განხრაში და სხვა.

კონფერენცია გახსნა განათლების სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. **მარიამ ორახელაშვილმა**, რომელიც მისალმა კონფერენციას, აღნიშნა კონფერენციის წინაშე არსებულ ამოცანების დიდი მნიშვნელობა და უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა.

საქმიანი პრეზიდიუმის ამორჩევის შემდეგ კონფერენცია შეუდგა მუშაობას. პირველ რიგში მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან. განხილულ იქნება აგრეთვე მე-7-ე, მე-8-ე და მე-9-ე ჯგუფებში სავალდებულო გამოცდის დანიშვნის საკითხი.

კონფერენციაზე ჩამოვიდა 52 დელეგატი.

სექციების მუშაობა.

გუშინ, 25 მაისს, დილით სწარმოებდა ცალკე სექციების მუშაობა. ამავე დღეს საღამოთი შესდგა კონფერენციის პლენარული სხდომა, რომელზედაც დაიწყო სექციების წარმომადგენელთა მოხსენებები.

საბჭოთა ადმინისტრატიული განხრა ცხრაწლედში.

საბჭოთა ადმინისტრატიული განხრის სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს ქუთაისის ცხრაწლედის გამგე **ივ. ვართაგავა**. იგი მოკლე მიმოხილვას უკეთებს სექციის სხდომაზე ცხრაწლედების (საბჭოთა-ადმინისტრატიული განხრით) წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და დასკვნებს, რომ საბჭოთა-ადმინისტრატიული განხრა პროვინციის ცხრაწლედებში უფრო უკეთ ტარდება, ვიდრე სხვა რომელიმე (მაგ., პედაგოგიური, კოოპერატიული, სასოფლო-სამეურნეო და სხვა). ამ მოვლენის მიზეზი, მომხსენებლის აზრით, ის არის, რომ პროვინციალურ ქალაქებში უფრო ადვილია მომზადებული კვალიფიციურ მასწავლებლების გამოძებნა საბჭოთა-ადმინისტრატიული საგნების სასწავლებლად, ვიდრე პედაგოგიურ, კოოპერატიულ ან მეურნეობის სხვა რომელიმე დარგისათვის. მეორე მხრივ, მომხსენებელს პროვინციალურ ცხრაწლედების საბჭოთა-ადმინისტრატიული განხრა მიზანშეწონილად მიაჩნია, რადგან საბჭოთა აპარატი სოფლად და აგრეთვე საქართველოს სოფლის სინამდვილე ძალიან საჭიროებს მომზადებულ მუშაკებს. გარდა იმისა, რომ ასეთი ტიპის ცხრაწლედის კურსდამთავრებულთ შეუძლიათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ სოფლის საბჭოთა აპარატის მუშაობაში, მათ საკმარისი მომზადება ექნებათ მისთვის, რომ წესიერი რჩევა-დარიგება მისცეს ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე გლეხს, რომელიც მომზადებულ პირების უყოლობის გამო ეხლა მიმართავს სოფლის „აბლაკატებს" და სხვა საეჭვო პირებს. დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ასეთ ახალგაზრდებს აგრეთვე სახელმწიფოებრივ აღმშენებლობათა კამპანიის ჩატარების დროს სოფლად (მაგ., სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარება და სხვა). დასასრულ მომხსენებელი საჭიროდ სთვლის კონფერენციამ სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს იმ მიზნით, რომ საბჭოთა-ადმინისტრატიული განხრა მიეცეს ცხრაწლედებს ყველგან, სადაც ამას მოითხოვს ჩვენი სოფლის საჭიროება.

ამავე სექციიდან თავის დაკვირვებებს და გამოცდილებას კონფერენციის დელეგატებს უზიარებენ თბილისის რუსული 9 წლედის წარმომადგენელი ამხ. ფლორინსკი და ფოთის 9 წლედის წარმომადგენელი ამხ. ლაბარტყავა. ამხ. ფლორინსკი ამბობს, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში რუსულმა 9 წლედის განხრას მიეცა სპეციალური ხასიათი. მთავარი ყურადღება ექცეოდა სტატისტიკის შესწავლას. ამ დარგში სწარმოებდა, როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული მუშაობა. მოწაფეებმა მოახდინეს თბილისის 9 წლედის სტატისტიკური გამოკვლევა. ამხ. ლაბარტყავას გადმოცემით ფოთის 9 წლედს მიეცა საბჭოთა ადმინისტრატიული განხრა, რადგან ერთი მხრივ ასეთ განხრას მოითხოვს ქ. ფოთის მეურნეობის ხასიათი და მეორე მხრივ უფრო მოსახერხებელი შექნა კვალიფიციურ მუშაკების შერჩევა ადგილობრივი ძალებისაგან. სასწავლო პროგრამა დამუშავებულ იქნა ადგილობრივ, და თავის შინაარსით იგი სრულიად შეეფერება განათლების სახ. კომისარიატის მიერ დამუშავებულ პროგრამას.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ერთი რიგი ორატორების მიზანშეუწონლად სცნობდენ, რომ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონებში 9 წლედებს მიეცეთ საბჭოთა ადმინისტრატიული განხრა, რომელიც მათი აზრით იქნება რა გამოუდეგარი ჩვენი მეურნეობისათვის. გაამრავლებს მხოლოდ უმუშევარ მოხელეთა რიცხვს.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის აზრით, ზოგიერთი 9 წლედის საბჭოთა ადმინისტრატიული განხრა მიეცათ არა იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა საჭიროება, არამედ მიტომ, რომ ასეთი განხრა უფრო ადვილად განსახორციელებელი ყოფილა. ვიდრე სხვა რომელიმე. კონფერენციის მიზანია, რომ ასწონ-დასწონოს მიღებული გამოცდილება და გამოიმუშაოს ღონისძიებანი, რომ თვითეულ 9 წლედს მიეცეს ისეთი განხრა, როგორსაც საჭიროებს ის რაიონი, რომელსაც სასწავლებელი ემსახურება.

ბრძოლა მომჭირნეობის

მომჭირნეობის საკითხი ა.-კ. რკინის გზებზე

რკ. გზის მთავარ სახელოსნოების იარაღების გამცემი განყოფილება უმთავრეს დარგს წარმოადგენს მომჭირნეობის რეჟიმის თვალსაზრისით. ეს განყოფილება, გარდა სახელოსნოებისა, მთელ ა.-კ. რკ. გზის ხაზს და ადგილობრივ დაწესებულებებს ემსახურება.

რას ვხედავთ ამ დარგში ჩვენ? მუშა-ხელოსნის დათხოვნა ხდება საიარაღო განყოფილების გაფრთხილების გარეშე. ეს მაშინ, როცა წესის თანახმად საიარაღოს უნდა ჰქონდეს ცნობა ამა თუ იმ პირის დათხოვნის შესახებ. ეს იმიტომ, რომ დათხოვნილ პირზე ირიცხება იარაღები, რომელმაც მას უნდა ჩაბაროს საიარაღოში.

მუშა-ხელოსანს ითხოვენ სამსახურიდან, მას სრულ ანგარიშს უსწორებენ. მასზედ კი იარაღი ირიცხება. რამდენიმე დღის შემდეგ ატყობინებენ ამაზე საიარაღოს, მაგრამ ის უკვე წასულია. ამგვარად იარაღი იკარგება.

ამას გარდა ამ ბოლო დროს სახელოსნოებში სისტემატიურად ხდება იარაღის უჯრების მტვრევა და იარაღის ქურდულად გატანა. ეს იმ დროს, როდესაც სახელოსნოები გარშემორტყმულია დარაჯებით და შიგვე არის პასუხისმგებელი მორიგე. დაზარალებული უცხადებს მის უახლოეს ადმინისტრაციას იარაღის დაკარგვის შესახებ; ისიც ყოველივე ფაქტის დამტკიცების გარეშე ადგენს აქტს და ამით აძლევს საშუალებას ახალ იარაღის მიღებისას.

რით არის დარწმუნებული აქტის შემდგენელი საამქროს ადმინისტრაცია, რომ ეს საქმე ნამდვილად ეგრე მოხდა და არა სხვანაირად?! გამოიძია როდისმე? დაამტკიცა? არა, რასაკვირველია. აი სად იფლანგება ჩვენი საწარმოო იარაღები.

იარაღის ჩაბარების დროს, როდესაც რომელიმე იარაღი აკლია ჩამბარებელს, საიარაღო მიმართავს ბუღალტერიას, რომ დაუჭირონ ჯამაგირიდან დაკლებული იარაღის ღირებულება, მაგრამ ხშირად ხდება, ისე რომ ჩამბარებელს არაფერი არ ეკუთვნის და სახელოსნოები კი ზარალობს იარაღის დაკარგვით.

ამას გარდა სახელოსნოები აწვდის იარაღს ხაზის საყუდებს და ადგილობრივ ყველა რკ. გზის დაწესებულებებს დროებითი სარგებლობის მიზნით. იარაღი მიდის, მაგრამ უკან კი აღარ აბრუნებენ.

გარდა ამისა, საიარაღოში გროვდება ზევარი სხვადასხვა უვარგისი იარაღები, რომლებიც სათანადო აქტის და ფაქტურის შედგენის შემდეგ იგზავნება მთავარ საწყობში ჩასაბარებლად.

რამდენი კარგი იარაღი ურევია ამ უვარგისში, რომელიც შეიძლებ შეკეთდეს და ისევ გამოადგეს წარმოებას, ეს არავინ იცის.

სახელოსნოებში არსებულ იარაღის ბრუნვის წესი უნდა გადაისინჯოს, ის უნდა იყოს სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ.

ეს უნდა იცოდეს ჩვენმა ფაქტიურ კონტროლიორმა ზალიევმა.

მუშკორი რიხტიგ.

ეს არ არის მომჭირნეობა

თბილისის ვაგონთა საფარეხოში ხშირია ასეთი შემთხვევები: ჩამოაყენებენ შესაკეთებელ ვაგონს და მის შესაკეთებელ მთავარ ნაწილებს შეაკეთებენ, წვრილ შეკეთებას კი არა. დაზიანებულ ადგილებს სცრიან მაზუთით, ვითომდა ესეც შეკეთდა, როგორც მსხვილი ნაწილები. ხელფასი და სხვა ხარჯები კი გაცემულია სრული შეკეთების შესრულების კვალობაზე. ეს ხდება უმეტესად მეჭვაბეთა განყოფილებაში. ასეთივე მდგომარეობაა თბ-ის ორთქლმავალთა საყუდელშიც.

ამას გარდა, როდესაც მუშა-მოსამსახურე სამსახურის ასრულების დროს მსუბუქად დაშავდება, ის მიდის საექიმოდ რამოდენიმე ხნის განმავლობაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ის უკვე კარგად არის, მაგრამ ექიმები მას სამუშაოზე არ უშვებენ, ხელფასს კი ეს სიმულიანტები უკლებლივ ღებულობენ. ეს არის მომჭირნეობა და საჭიროა ამგვარ არა ნორმალურ მოვლენებს ბოლო მოეღოს.

მუშა კოჟანდარი.

ესეც მომჭირნეობაა?

მთავარ სახელოსნოების საქვაბო საამქროს აქვს ოთხი ახალი სახვრეტი მანქანები, რომლებიც იდგა თვით საამქროში და მუშაობდენ. ეხლა ვიღაცას განკარგულებით აღნიშნული მანქანებისათვის ჩამოუცვიათ ტილოს საფერები და გაუტანიათ გარედ სასადილოსთან, რომლებსაც რამდენი ხანია, აწვიმს.

ალბად, ესეც „მომჭირნეობის" თვალსაზრისით ხდება!

მუშკორი რიხტიგ.

საიჯარო-საბინაო ამხანაგობათა კონფერენცია

მეორე სხდომა

22 მაისს, საღამოს 7 საათზე, შესდგა საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა კონფერენციის მე-2 სხდომა, რომელზედაც წაკითხულ და განხილული იქნა საბ.-საიჯარო ამხანაგობათა წესდება. წესდება მცირეოდენი შესწორებით მიღებულ იქნა. შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ელბაქიანის მოხსენება საიჯარო-საბინაო კოოპერატიულ კავშირის აპარატის და შტატის შესანახ ხარჯებზე. კავშირში შემავალ ყოველ ამხანაგობის საწევრო თვიურ გადასახადათ წესდება სახლის მთელი შემოსავლის სამი პროცენტი. ამგვარად თბილისში არსებულ საბინაო ამხანაგობებიდან ამ ანგარიშით მოსალოდნელია 430 მანეთამდე თვიური შემოსავალი. გამგეობამ აპარატის შესანახათ უნდა იკმაროს ეს თანხა. გამგეობის წევრისგან ერთი სპეციალურად განთავისუფლებული უნდა იქნეს გამგეობაში სამუშაოდ. მას მიეცემა ჯამაგირი 150 მანეთის რაოდენობით. ჯამაგირი მიეცემა აგრეთვე საქმის და ანგარიშის მწარმოებელს—და ამხანაგობათა ინსტრუქტორს. იურისკონსულტი და შიკრიკი საბინაო კავშირისა და საიჯარო-საბინაო კოოპერაციის გამგეობას ეყოლებათ ერთი და იგივე პირები და ჯამაგირებსაც მათთვის გაიღებს ორივე დაწესებულება. სულ აპარატის შესანახად საჭირო იქნება არა უმეტეს 500 მანეთისა თვიურად.

ძირითად საწევრო გადასახადათ საიჯარო-საბინაო კოოპერაციაში შემავალ ამხანაგობისათვის კონფერენციამ დააწესა 10 მანეთი. ამხანაგობის სახლი 50 მანეთიანი თვიური შემოსავლით იხდის ერთს პაისს, სახლი 100 მანეთიანი თვიური შემოსავლით ორ პაისს, 150 მანეთიანი შემოსავლით 3 პაისს და ასე შემდეგ. პაის გადახდა კონფერენციის დადგენილებით შეიძლება ნაწილ-ნაწილად 5 თვის განმავლობაში.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია საიჯარო-საბინაო ამხანაგობათა კოოპერატიული კავშირის გამგეობა, საბჭო და სარევიზიო კომისია.

გამგეობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: ზაქრაძე, ცინცაძე, ცაგარელი და გვიტინი, კანდიდატებად: ივანოვი და მაქსიმოვი; სარევიზიო კომისიაში ამხანაგები—კარახანიანი, ჯავარჩეშვილი, კამაროვი, ხატისკაცი; კანდიდატებად—არჩვაძე, წალიქვაძე.

მიმდინარე საკითხების მოსმენის და განხილვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

პრესა მომჭირნეობის [illegible]

მებრძოლოთ ლოთობას

მომჭირნეობის რეჟიმი არის არა მარტო წარმოება - დაწესებულებათა ლოზუნგი. მან უთუოდ საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს მშრომელი მასების ყოველდღიურობაში, მათ შინაურ ცხოვრებაში და საქმიანობაში. თუ ასე გავიგებთ მომჭირნეობის ამოცანას (და ასედაც უნდა იქნას ეს ლოზუნგი გაგებული), ჩვენ გაცილებით უფრო მეტი მიღწევები გვექნება სოციალისტურ დოვლათის დაგროვების საქმეში და ზევრათ უფრო ჩქარა წავალთ წინ საბჭოთა აღმშენებლობის გზით.

ხელგაშლილობა, მფლანგველობა, დაუდევრობა და სხვა ამგვარი ნაკლულოვანებანი მარტო სახელმწიფო დაწესებულებათა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციების სენს როდი წარმოადგენს. მას ფართოდ აქვს გადგმული ფესვები ჩვენს პირად და ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაში. ეს ერთნაირად მავნებელია როგორც პირადათ თვითეულ მშრომელისათვის, ისე სახელმწიფოსათვისაც.

ჩვენ არა ერთი შემთხვევა ვიცით, როცა მფლანგველობა, ქურდობა და სხვა სახის ბოროტმოქმედებანი დაწესებულება-ორგანიზაციებში შედეგათ მოსდევს ამა თუ იმ მუშაკის არანორმალურ პირად ცხოვრებას. ლოთობა, ბანქოს თამაშობა და სხვა ამგვარი უზნეობა ჯერ საკუთარ ფულებით იწყება და შემდეგ სახაზინო სალაროების ხარჯზე სწარმოებს.

ესეც რომ არ იყვეს, საკუთარ ჯიბიდანაც რომ იხარჯებოდეს ფული ქეიფობასა და დროს გატარებაზე (უმეტეს შემთხვევაში კი ეს ასე ხდება), ამ უსაზღვრო ხარჯების გამართლება ხომ არაფრით შეიძლება?

საინტერესო ცნობა მოჰყავს ამ მხრივ მოსკოვის „რაბოჩაია გაზეტას" (№ 109). გაზეთის ცნობით მარტო ერთ ქალაქში ორეხოვო-ზუევოში 6.000 უპატრონო ბავშვია ქუჩაში. მათ შესანახად ადგილობრივ ხელისუფლებას სალარი არ მოეპოვება. რა ხდება ამავე დროს მოსკოვის ახლო მდებარე ერთ სოფელში, სადაც რამდენიმე ფაბრიკა-ქარხანა მუშაობს.

„აუცილებელია, სწერს გაზეთი, ბაღებისა და ბაგების რაოდენობის გადიდება. სახელმწიფოს ამისათვის ფული არ ჰყოფნის, მაგრამ არის ბავშვთა ბაგების კოოპერატიულად მოწყობის შესაძლებლობა. ფული მოიძებნება. ავიღოთ თუნდაც მაგალითისათვის სასმელებში დახარჯული ფული. **სოფელ ბოგოროდსკოში ნახევარი წლის განმავლობაში დახარჯულია სასმელებში 248.000 მანეთი. ამ ფულებით შეიძლებოდა ნახევარი წლის განმავლობაში 4.000 ბავშვის შენახვა ბაღებში ან 13.000 ბავშვის ბაგებში.**

თუ კი ლოთობისათვის ვიშოვნეთ ჩვენ ფული, ასკვნის გაზეთი, ნუ თუ ვერ მოვძებნით სალარს ბაგათა დასაარსებლათ?".

ლოთობას ჩვენშიაც საკმაოთ დიდი ვნება მოაქვს. ამ სენს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ქრონიკა

დეკრეტი მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ

ს. ს. რ. კ-ის სახ. კომ. საბჭომ მიიღო და ცაკის პრეზიდიუმს გადაუგზავნა დასამტკიცებლად დეკრეტი,—ყველა სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ დაწესებულებებსა, წარმოებებსა და საქციო საზოგადოებებში მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ.

ფასების დამკლები კომისიები აჭარისტანში და აფხაზეთში

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამართველომ წინადადება მისცა თავის რწმუნებულებს აჭარისტანში და აფხაზეთში სავაჭრო სამმართველოებთან დაარსონ ფასების დამკლები კომისიები.

ამასთანავე მათ წინადადება მიეცა შუამდგომლობა აღძრან აჭარისტანის და აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოების წინაშე, რათა აჭარისტანში დაარსებული იქნეს ფასების დამკლები ცენტრალური კომისია, რომელმაც უნდა იმუშაოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ კომისიის დირექტივების თანახმად.

საქ. სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოში

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისია აწყობს თათბირებს საქ. სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს ყველა ტრესტებში.

23 მაისს შესდგა თათბირი ტყავის ტრესტში, 24 მაისს საქ. სახ. სათბობის ტრესტში, 25 მაისს ლითონ-ტრესტში, 26 მაისს თათბირი მოეწყობა საქ. სამკერვალო ტრესტში, 27 მაისს სამთო-ქიმიურ კომბინატში.

თათბირების ჩატარების შემდეგ კომისიის მუშაობა გადატანილ იქნება ადგილებზე, ასე მაგ. ტყვიბულის მაღაროებში, სატყეო ტრესტში და სხ. თათბირებზე გამომუშავებული ღონისძიებანი დაუყოვნებლივ ტარდება ცხოვრებაში. მაგ. ტყავეულობის ტრესტში ხარჯების შემცირების შედეგად სამეურნეო წლის დასასრულს 13.000 მანეთის ეკონომია იქნება მიღებული.

განყოფილებათა შორის მუშაობის განაწილების წესის შეცვლით გაუქმდა ზედმეტი საათების სამუშაო.

მუშათა მასიურ შვებულების დროს შესაძლო ხდება 30 კაცის მაგიერ 10 კაცის აყვანა დროებით სამუშაოზე. ეს იძლევა 8.623 მან. ეკონომიას.

ექიმთა მეოთხე კონგრესი

სიმსივნეები საქართველოში

კონგრესის მეექვსე-მეშვიდე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები სიმსივნეების შესახებ.

სიმსივნეების მოძღვრების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს პროფ. **ჟღენტი**. მომხსენებელი ეხება სიმსივნეების საერთო დახასიათებას, აღნიშნავს სიმსივნეების ძირითად თვისებებს. სხვათა შორის სიმსივნის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს დაუსრულებელი ზრდა. ასეთი ზრდის მიზეზი დღემდის გამოურკვეველია.

არ არსებობს აგრეთვე ამ სიმსივნეების მიზანშეწონილი კლასიფიკაცია, რამდენადაც გამოურკვეველია ხორცმეტების წარმოშობის მიზეზი. კლინიკურად სიმსივნეებს ყოფენ ორ ნაწილად: კეთილთვისებიანი და ავ თვისებიანი. ასეთი დაყოფა ზედმიწევნით სწორი არ არის; რადგან შეუძლებელია საზღვარის გავლება კეთილ და მავნე თვისებიან ხორცმეტებს შორის.

შემდეგ მომხსენებელი იხილავს ყველა არსებულ თეორიებს და ჰიპოტეზებს სიმსივნეების წარმოშობის შესახებ და აღნიშნავს, რომ დღემდის მეცნიერებამ არ იცის ნამდვილი მიზეზი სიმსივნეების გაჩენისა; უმთავრეს როლს აწერენ ქსოვილის გაღიზიანებას. სიმსივნეების გაჩენაში ერთგვარ როლს თამაშობს მემკვიდრეობითი განწყობილება.

დასასრულ მომხსენებელი ეხება სიმსივნეების ხელოვნურად მიღების საკითხს. ზევრ მეცნიერს უცდია ცდები ცხოველებზე სიმსივნეების გადანერგვით და გადამყნობით და მიუღიათ დადებითი შედეგები.

პროფ. **მუხაძე** თავის მოხსენებაში ეხება სიმსივნეების გავრცელების საკითხს საქართველოში; ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს 25 წლის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ სიმსივნეების რიცხვი არც ისე დიდი ყოფილა სხვა ქვეყნებთან შედარებით. უცხოეთში სიმსივნის ნიადაგზე იღუპება ყოველი მე-8 დედაკაცი და მე-10 მამაკაცი.

მომხსენებლის აზრით საბოლოო დასკვნის გამოტანა წარმოდგენილ მასალის მიხედვით არ შეიძლება, რადგან ეს მასალები არ გამოხატავენ ჩვენში სიმსივნეების გავრცელების სურათს. ამიტომ ამ საკითხის მეცნიერულ ნიადაგზე დასამყარებლად საჭიროა სწორი სტატისტიკური მასალის შეგროვება მთელ საქართველოში. ამ მიზნით ყველა სამკურნალო დაწესებულებებში უნდა სწარმოებდეს სიმსივნეთა სწორი რეგისტრაცია; უნდა მოეწყოს სპეციალური დაწესებულება სიმსივნეების საკითხის შესასწავლად. მთელ საქართველოში ყოველ გარდაცვლილის შესახებ უნდა შესდგეს ერთგვარი ანკეტა ექიმის მიერ, თუ რით გარდაიცვალა ესა თუ ის პირი, უნდა სწარმოებდეს გვამების გაკვეთა, სადაც ეს მოსახერხებელია და სხვა.

საინტერესო მასალები მიაწოდეს კონგრესს ექ. ციცვინიძემ, ექ. ფავლენიშვილმა, ექ. ხეჩინაშვილმა, ექ. მერაბიშვილმა, ექ. ფურცელაძემ, ექ. ნაცვლიშვილმა, ექ. ელიავაშვილმა და ექ. გოგოლაძემ.

საბოლოო სიტყვაში პროფ. **ჟღენტი** აღნიშნავს, რომ სიმსივნეების საკითხი საკმარისად იყო გაშუქებული კონგრესზე, მაგრამ სიმსივნეების სტატისტიკა არ არის სრული. საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებებს გამომუშავება ამ მიმართულებით. ვინაიდან სიმსივნის ნიადაგზე გარდაცვლილთა რიცხვი საკმაოდ დიდ რაოდენობას შეადგენს, საჭიროა ეს საკითხი სახელმწიფოებრივ საკითხად იყოს გამოცხადებული. ისე როგორც საბჭოთა რუსეთში, საქ. სახ. ჯანმრთელობის კომისარიატთან მოეწყოს განსაკუთრებული სამეცნიერო საბჭო, რომლის მიზანს უნდა შეადგენდეს სიმსივნეების საკითხის შესწავლა, მისი პოპულიარიზაცია ბროშიურების გამოცემით, (ლექციების კითხვით და სხვ.).

სიმსივნეების გამომწვევ მიზეზების და მკურნალობის შესასწავლად უნდა მოეწყოს სპეციალური ინსტიტუტი ლაბორატორიულ და ქირურგიული განყოფილებებით.

მუცლის მოწყვეტა

(აბორტი)

კონგრესმა მერვე და მეცხრე სხდომა მოანდომა მუცლის მოწყვეტის საკითხის განხილვას.

პირველი მომხსენებელი პროფ. **თიკანაძე** თავის მოხსენებაში შეეხო სხვადასხვა ქვეყნებში და კერძოთ საქართველოში გავრცელებულ მუცლის მოწყვეტას. აღნუსხა მუცლის მოწყვეტის უმთავრესი მიზეზები, ხაზი გაუსვა იმას, თუ რა საფრთხეს უმზადებს აბორტის ასეთი გახშირება ყოველ ერს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, მიიღო რა მხედველობაში სოციალური პირობები, აბორტის კეთება სარდაფებიდან მზის სინათლეზე ამოიტანა, დააკანონა აბორტი და მუცლის მოწყვეტის კეთება მხოლოდ სამკურნალო დაწესებულებებს მიანდო. ლეგალიზაციის შემდეგ აბორტის რიცხვმა შესამჩნევად იმატა, მაგრამ ამავე დროს კრიმინალურ აბორტების რიცხვიც დიდათ არ შემცირებულა.

აბორტის შემდეგ გართულებებმა და ქალთა სიკვდილიანობამ თვალსაჩინოთ იკლო, რადგან აბორტის წარმოება გამოცდილ ექიმთა ხელში გადავიდა.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, აბორტის ფართოდ გავრცელება დიდ ზიანს აყენებს ერს და გადაშენების გზაზე აყენებს მას.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აბორტის საკითხი სასურველად არ არის გადაწყვეტილი, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე ჩვენში, რადგან მუცლის მოწყვეტამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. იგი არის სოციალური უბედურება და ამიტომ საჭიროა არსებულ კანონმდებლობაში სათანადო კორექტივის შეტანა.

დოცენტი **ლოლობერიძე** თავის მოხსენებაში ეხება აბორტის საკითხს თანამედროვე პირობების მიხედვით. აღნიშნავს, რომ სოციალურ ჩვენებათა რიცხვი აბორტის გასაკეთებლად თანდათან იზრდება, რაც დამღუპველ მოვლენას წარმოადგენს. მომხსენებლის აზრით საჭიროა სოციალურ პირობების სასტიკად გარჩევა და სოციალურ ჩვენებათა შემცირება. სრულიად უნდა აიკრძალოს აბორტის კეთება კერძო ბინებზე ექიმებსაც კი. უნდა იქნას წარმოებული ფართო პროპაგანდა აბორტის წინააღმდეგ, ფართოდ უნდა იქნას დაყენებული ექიმების მიერ რჩევა-დარიგების მიცემა ქალებისათვის და სხვა.

ფრიად საინტერესო და საყურადღებო მოხსენებას აკეთებს ექიმი **მუჯირი** სოფლად აბორტის წარმოების შესახებ. ირკვევა, რომ მუცლის მოსაწყვეტად სოფლის ქალები მიმართავენ მრავალ ანტიჰიგიენურ და ველურ საშუალებებს, რაც ხშირად დედის სიკვდილით თავდება. ნაყოფის მოსაცილებლად სოფლად ხმარებაშია უბრალო ჩხირები, თითისტარები, ქინაქინის და იოდის დიდი დოზები, რაც მოწამვლას იწვევს; ხმარობენ თურმე ერთგვარ ბალახის ძირებს (ხარის ძირას), რაც იწვევს საშვილოსნოს დაზიანებას და ხშირად ქალის სიკვდილს.

გარდა ამისა, ქალები მუცლის მოწყვეტის მიზნით მიმართავენ მუცლის მექანიკურ შერყევას (ცხენზე ჯირითი, მძიმე ტვირთის აწევა, გვერდით ან მუცლით დაცემა და სხვ.). ხშირად ამას შედეგად მოსდევს, გარდა მუცლის მოწყვეტისა, ქალის სამუდამოდ დასნეულება.

ყველაფერი ამის მიზეზია ჩვენი სოფლის უკულტურობა და სიბნელე. ასეთ უბედურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სოფელში მეტი შეგნების და საექიმო ცოდნის შეტანა ხალხში.

ექ. **ზერანოვა-კუტაიძე**, ექ. **მგალობლიშვილი**, ექ. გ. **ლორთქიფანიძე** თავიანთ მოხსენებებში ეხებიან იმ გართულებებს, რომელსაც იწვევს ხელოვნური მუცლის მოწყვეტა და თავიანთ დებულებებში ავითარებენ იმავე აზრს, როგორც წინამომხსენებლები.

ექ. **შალამბერიძე, ჩარკვიანი, ხეჩინაშვილი** და **მგალობლიშვილი** აშუქებენ ხელოვნურ მუცლის მოწყვეტასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

მოხსენებების შემდეგ იმართება გაცხოველებული კამათი.

კონგრესის წევრთა უმრავლესობა უარყოფითად უცქერის აბორტს და მოითხოვს შესაფერ ზომების მიღებას გახშირებულ მუცლის მოწყვეტის წინააღმდეგ.

კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები საპროგრამო საკითხებზე. მოხდა შემდეგი, მეხუთე კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის არჩევა და საპროგრამო საკითხებად მომავალი კონგრესისათვის დამტკიცებულ იქნა: 1) კუჭ-ნაწლავების ავადმყოფობანი და 2) ქართველი ხალხის მოძრაობის (დაბადების და სიკვდილიანობის) საკითხი.

კონგრესმა დაადგინა მომავალი ყრილობა მოწვეულ იქნეს ქ. ბათომში 1927 წლის ოქტომბერში.

ქართული უნივერსიტეტი

რუსეთის რევოლიუციის ერთ უდიდეს მონაპოვართაგანს ქართველი ხალხისათვის შეადგენს უფლება, რომლის ძალით მას შეძლება მიეცა მიიღოს სწავლა-განათლება თავის დედა-ენაზე. ის, რაც თვითმპყრობელობის დროს მხოლოდ საოცნებო იდეალად იყო ქცეული, დღეს ფაქტია—ჩვენი ბავშვები ქართულ სკოლებში სწავლობენ. ურიცხვია და მრავალია დღეს ჩვენი სკოლის დეფექტები, კიდევ დიდი ხანია საჭირო მათ თავიდან ასაცილებლად, კიდევ დიდი ძალღონე და ენერგიაა საჭირო, რომ ჩვენი სკოლა მოეწყოს ისე, როგორც ეს ჩვენ გვინდა. მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს, რადგან სკოლის მოწყობაზე, სკოლის გაჯანსაღებაზე ერთი და იმავე მიმართულებით მუშაობს როგორც ქართველი ხალხი, ისე ხელისუფლება: ხელისუფლებისა და ხალხის ინტერესები აქ ერთი მეორეს არამც თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ ეს ორი ერთი და იმავე ინტერესიდან გამომდინარე ძალა ერთდება და მედგრად მიყავს ჩვენი სკოლა საუკეთესო მომავლისაკენ. და ამ გარემოების შედეგი ბრმისათვისაც კი დღით-დღე უფრო-დაუფრო თვალსაჩინო ხდება.

ამ უკანასკნელ ხანში მე საშუალება მომეცა გავცნობოდი ჩვენ ინდუსტრიალურ ტეხნიკუმებს. ნებას მივცემ ჩემ თავს აქ მოვიყვანო ის შთაბეჭდილებები, რომლებიც მე და ჩემთან ერთად სხვებმაც (სპეციალისტ-ინჟინერებმა და პედაგოგებმა, კომისიის წევრებმა) ამ გამოკვლევიდან მივიღეთ:

„ის საერთო სულიერი განწყობილება, რომელსაც ადგილი აქვს დღეს საერთოთ საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკებში და კერძოდ საქართველოშიაც, ახასიათებს ჩვენ მიერ გამოკვლეულ სკოლებსაც: დაუღალავი და გულწრფელი მუშაობა, როგორც მასწავლებლების, ისე მოწაფეების. ეს ტეხნიკუმები წარმოადგენენ ნამდვილ შრომის საუფლოს, სადაც ყოველი მონაწილე გრძნობს თავის პასუხისმგებლობას საერთო საქმის წინაშე. არ დაგვიტოვებია არც ერთი საგანი, არც თეორეტიული და არც პრაქტიკული, რომ არ დავსწრებოდით და არ გვენახა, როგორც მასწავლებელთა, ისე მოწაფეთა შრომა. და უნდა ვაღვიაროთ, რომ ინდუსტრიალური სკოლები მტკიცე და სწორ ნიადაგზე სდგას, რომ ის მიზანი, რაც მათ აქვს დასახული—საზოგადოებრივად და პოლიტიკურად მომზადებული და საშუალო სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მუშაკთა გამოშვება საერთოთ მტკიცედ სრულდება".

მაგრამ, რაც უმთავრესია, თქვენ ყველგან, სკოლის ყველა კუთხეში, სკოლის ყოველ ადამდგარ ნაბიჯში აშკარად ამჩნევთ, რომ ეს სკოლა საბჭოთა საქართველოს, ნამდვილი მშრომელი მასის, მუშათა კლასის სკოლაა. ის უჩინარი სული, რომელიც აქ არის გამეფებული, ყოველ წუთში ჩასჩურჩულებს მოწაფეს, რომ ის მზადდება ქართველი მუშის სამსახურისათვის, ცხოვრებაში მისი მოთხოვნის მტკიცედ გატარებისათვის. ასეთ პირობებში, ვიმეორებ, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ის თუგინდ ნაკლი და დიდი დეფექტები, რომლებიც ამ სკოლებს თან ახლავს. აქ ჩვენ სრულიად გულდამშვიდებით შეგვიძლია ვუცქიროთ მომავალს.

და იგივე მდგომარეობა საერთოდ ყველა ძირითად შრომის სკოლებშიც.

სამწუხაროდ, არ შეგვიძლია იგივე ვსთქვათ ჩვენ უმაღლეს სასწავლებელზე, რომელიც დამაგვირგვინებელი და დამამთავრებელი უნდა იყოს მთელი ჩვენი სასწავლო სისტემისა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ არ მოიპოვება არც ერთი ქართველი, ვერ შეხვდებით ვერც ერთ [illegible] მთელ საქართველოში, რომ [illegible] სიამაყით და სიხარულით არ შესცქეროდეს ჩვენ უნივერსიტეტს. მთელი იმედი ქართველი საზოგადოებისა თავის ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ, მაგრამ მეცნიერულად სრულიად გამოუკვლეველ სამშობლოს შესწავლისა დამყარებული იყო ამ დაწესებულებაზე. და როდესაც ის არსდებოდა, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ქართულ უნივერსიტეტს, ჩვენი საზოგადოების ყველა ფენები ერთი ერთმანეთს ასწრებდენ, რომ თავისი წვლილი შეეტანათ მის მოწყობა-მოწესრიგებაში, არა ნაკლებ მზრუნველობას ჩვენ უნივერსიტეტისადმი იჩენდა და იჩენს დღესაც თვით ამ ქართველი ხალხის ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია, და ყოველივე ამის შედეგია ის, რომ ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტი დღეს თავის მოწყობით, თავის კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, წიგნთსაცავითა და მუზეუმებით არაფრით არ ჩამოუვარდება ასი წლის წინედ დაარსებულ უნივერსიტეტებსაც კი.

და თავისთავად ცხადია, ქართველ მშრომელ მასას სრული უფლება აქვს მოითხოვოს, რომ უნივერსიტეტი მთელი თავის არსებით, მთელი თავის შინა ბუნებით შეიქმნეს მისი, მშრომელი მასის სულისკვეთებისა და ინტერესების გამომკვლევი და გამომხატველი.

და ეს აუცილებლად ასეც უნდა იყოს, რადგანაც ის მიზნები, რომელიც უნივერსიტეტს აქვს დასახული, არ არის საქმე მხოლოდ იმ რამოდენიმე ათეული პირისა, რომლებიც დღეს ამ უნივერსიტეტს ხელმძღვანელობენ, არამედ შეადგენს უპირველეს საზრუნავ საქმეს მთელი მშრომელი ხალხისას და პირველ ყოვლისა ამ მშრომელი ხალხის ბელადის—მუშათა კლასისას. და ეს არ არის გასაკვირი: ასობით და ათასობით უნივერსიტეტი ყოველ წლიურად უშვებს ცხოვრებაში განსწავლულ ახალგაზრდობას, რომლებიც მომავალში სათავეში უნდა ჩაუდგენ მთელ ჩვენ სამეურნეო და კულტურულ მუშაობას; და განა შესაძლებელია არ იფიქროს ამ ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების მიმართულების შესახებ ჩვენმა მუშათა კლასმა. განა რამოდენიმე ათეული წელი ის მისთვის არ იბრძოდა, რომ ხელთ ეგდო ძალა-უფლება და მისი საშუალებით მოეწყო ყოფა-ცხოვრება თავის ინტერესების მიხედვით. რასაკვირველია კი, და თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ როგორც უნივერსიტეტი, ისე ყოველივე სხვა დაწესებულება უნდა ემსახურებოდეს მის მთავარ მიზანს.

სამწუხაროდ, ის პირობები, რომლებშიაც მიმდინარეობს ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრება, ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. მთელი რიგი მოვლენებისა ჩვენი უმაღლესი სკოლის ცხოვრებიდან იმის მაჩვენებელია, რომ იქ მომუშავეთ ჩაუფლიათ თავი მეცნიერების სილაში და ვერ ხედავენ რა ხდება მათ გარშემო. და მართლაც, დღეს მხოლოდ ბრმას არ შეუძლია დაინახოს, რომ ქართველი ხალხის ბედი ფოლადისებური სიმტკიცით არის გადაჯაჭვული რუსეთის ბედთან. არ იფიქროთ ის, რომ თითქოს ეს მხოლოდ ორიენტაციის საკითხი იყოს. არა, ეს საკითხი შეეხება ერთ ერთის არჩევას იმ ორი ბანაკიდან, რომლებადაც დღეს მთელი ქვეყნიერება გაიყოფილა: ან ბურჟუაზია, ან პროლეტარიატი, ან, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ან ბურჟუაზიული ევროპა, ან პროლეტარული რუსეთი. ან ერთი, ან მეორე. აქ სხვა გამოსავალი გზა არ არის. და აი ქართველმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ გადასჭრა ეს თავსატეხი საკითხი და, თვით ბურჟუაზიული ევროპის მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილთან ერთად, გვერდში ამოუდგა წითელ რუსეთს. და ისმება საკითხი, შეიგნეს თუ არა ეს დღეს ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა, და თუ შეიგნეს, რა ნაბიჯები გადადგეს მათ ამ კავშირის განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად. რასაკვირველია, შეიგნეს, ღრმად შეიგნეს, და ამის აბსოლიუტურად დასამტკიცებლად თავიანთ მეცნიერულ შრომებს სცემენ ქართულსა და ფრანგულ ენებზე. ქართველი ხალხის განსწავლული ნაწილი და თვით ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორების 99 პროცენტი აღზრდილი და გათვითცნობიერებულია რუსულ კულტურაზე და რუს მეცნიერთა ნაწარმოებებზე. ჩვენ უხვად ვეწაფოდით, დღესაც ვეწაფებით და მომავალშიაც დავეწაფებით რუსეთის გენიის მიერ შექმნილ კულტურულ და მეცნიერულ სიმდიდრეს და, სოციალიზმსა და სოციალიზმისათვის ბრძოლას რომ თავი დავანებოთ, უბრალო თავაზიანობა—ქართველნი ხომ ამ თვისებით განთქმულნი არიან—მოითხოვდა, რომ ის პატარა წვლილი, რომელიც ჩვენ შეგვაქვს კაცობრიობის სამეცნიერო სალაროში, პირველ ყოვლისა რუსებისათვის მიგვეწოდინა.

მაგრამ რუსეთს ვინ დაეძებს, ჩვენ იმ შეგნებამდინაც ვერ მივხვულვართ, რომ ჩვენთვის საჭიროა მჭიდრო და მტკიცე კავშირი ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ერებთან. მუსავატელებმა, დაშნაკელებმა და რამიშვილებმაც კი შეიგნეს დღეს, რომ სომხებს, აზერბაიჯანელებს და ქართველებს ურთმანეთოდ ცხოვრება არ შეუძლიანთ, რომ მხოლოდ მჭიდრო კავშირი ამ ერთა შორის წინ წასწევს, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას, მთელ კავკასიისას. კომუნისტების პოლიტიკა კი, როგორც გუშინ, ისე დღესაც სავსებით ეყრდნობა ამ ერთა შორის შუღლისა და მტრობის ნაშთების მოსპობას და მათ შორის ძმური კავშირის აღდგენას. და ყველა ჩვენ ვხედავთ, თუ რა მეთოდიურად და სიმტკიცით ტარდება ეს პრინციპები ჩვენი ხელისუფლების მიერ. ეს მუშაობა ჯერაც არ არის დამთავრებული და, საუბედუროდ, დიდხანს კიდევ არ დამთავრდება, რადგანაც ძლიერ მაგრად არის გამჯდარი ბნელ მასებსა და ხშირად განსწავლულ მეცნიერებს შორისაც ის ურთიერთი სიძულვილი და მტრობა, რაც რამოდენიმე ათეული წლობით ინერგებოდა ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორის. და ყველა ამ ეროვნების ცხოველი ძალების მოვალეობაა, რითაც კი შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ხალხების გულიდან ამ ძველი დროის საძაგელ ნაშთის ძირიან-ფესვიანად ამოგლეჯას. და პირველ რიგში ამას უნდა შეუდგნენ ჩვენი მეცნიერები და ჩვენი უნივერსიტეტი. სამწუხაროდ, ჩვენ უმაღლეს სასწავლებელს ამ მხრივაც არაფერი არ გაუკეთებია. ჩვენ კი ვფიქრობთ და გვგონია, რომ აქ ზევრის გაკეთება შეიძლება. გარდა უშუალო კავშირისა ყველა ჩვენი მეზობელ მეცნიერებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ჩვენი უნივერსიტეტი უნდა ცდილობდეს დააჯეროს ახალგაზრდობა შეისწავლონ და შეითვისონ მეზობელი ერების ენები, ამისათვის უნდა შექმნას მან სპეციალური კათედრები, არა მარტო ფილოლოგებისათვის, არამედ სხვა ფაკულტეტებისათვისაც კი, რომ მომავალში მაინც შევძლოთ ჩვენ მეტი დაახლოვება, მეტი ცოდნა ირთმანეთის ჭირ-ვარამის და სვე-ბედის. უნდა განვაცხადოთ, რომ ურთიერთი გათიშვის მიზეზი არა მარტო ჩვენი მეცნიერებია, იგივე ბრალი ედება სხვა ერების მეცნიერებსაც. ისინი ჩვენ მეცნიერებზე არა ნაკებ უნდა ზრუნავდენ ერთა შორის ასეთი დაახლოვებისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენ აღვნიშნავთ და მწარეთაც აღვნიშნავთ ყოველივე იმას, რაც ჩვენ არ მოგვწონს და რაც არ შეესაბამება კერძოდ მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელი ხალხის ინტერესებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ვერ ვხედავდეთ ჩვენი უნივერსიტეტის დადებით მხარეებს და მიღწევებს. როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ჩვენი უნივერსიტეტი თავის მოწყობილობით და წიგნთსაცავით ზევრ რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებს სჯობია. ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს ისეთი მეცნიერები, რომლებითაც შეუძლია იამაყოს უფრო დიდი ქალაქების უნივერსიტეტებმაც კი. უდიდესი ნაწილი, როგორც პროფესორთა, ისე სტუდენტებისა ეწევა დაუღალავ შრომას. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად არის ისეთი მხარეებიც, რომელთა განვითარება და თუ გინდ იმავე სახით დატოვება არავითარ ხეირს არ მოუტანს არც ჩვენ ხალხს და არც თვით უნივერსიტეტს. ერთი უმთავრესი ნაკლთაგანი არის ის საშუალო საუკუნის კარჩაკეტილობა, რომელიც ახასიათებს უნივერსიტეტის დღევანდელ ვითარებას. რომ დღეს მკვდრეთით აღდგეს ლენინი და პლეხანოვი და მოისურვონ მათ ქართულ უნივერსიტეტში ლექციების კითხვა პოლიტიკურ ეკონომიაში და ფილოსოფიაში, მათ ამის ნებას არ მისცემენ. ეს მოხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ჩაბარებული საჭირო გამოცდები და არ მიუღიათ ხარისხი მაგისტრანტის, მაგისტრისა და დოქტორის. არ გეგონოთ, რომ ეს მაგალითი უბრალო თქმა იყოს; არა, აქ ჩვენ უნივერსიტეტში მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი. და ამავე დროს ლექციებს კითხულობენ ისეთნი, რომლების მეცნიერული ცოდნა და მეცნიერული წონა მისხლებით აიწონება. ვიცი ისიც—და სხვებმაც ზევრმა იციან—რომ კათედრები უჭირავთ ისეთ პირებს, რომლებთაც მეტი ღვაწლი მიუძღვის ზაჰესისათვის აგებულ რკინის სვეტებზე ფორთხვაში, ვინემ მეცნიერების გაფართოვება - განვითარებაში. ისიც შემჩნეულია, რომ ასისტენტებად და საერთოდ მომავლისათვის საპროფესოროთ მოსამზადებლად მოწვეულნი არიან ისეთი პირნი, რომლებიც გამოუსადეგი გამოდგენ საშუალო სასწავლებლებშიაც კი, მაშინ როდესაც ნიჭიერნი და მცოდნენი უნივერსიტეტის გარეშე დგანან. და ყოველივე ამის ბრალია ჩვენ უნივერსიტეტში გამეფებული კარჩაკეტილობის რეჟიმი. ჩვენ აქ ზევრს არ მოვითხოვთ, ჩვენი სურვილია მოუახლოვდეთ ამ მხრივ, თუ რუსეთს არა, ბურჟუაზიულ ევროპას მაინც და ნუ განვამტკიცებთ და ნუ დავიცავთ ჩვენში იმას, რაც საძაგლად და საგინებლად მიგვაჩნდა თვითმპყრობელ რუსეთშიაც კი. უნდა მოისპოს სრულიად უსარგებლო ფორმალობა, მაგალითად, საექიმო ფაკულტეტზე 14 საგნის ჩაბარება იმ პირთათვის, ვისაც დოქტორის ხარისხის მიღება სურს, და სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს ამა თუ იმ საპროფესოროო პირის მეცნიერული წონის შეფასებაზე. ეს კი შესაძლებელია მოხდეს უგამოცდებოთაც. შემდეგ: ფართოთ ასპარეზი ახალგაზრდობას. ვინც კი ნიჭსა და ცოდნას იჩენს, ის დაშვებულ უნდა იქნეს ლექციების საკითხავად, თუ გინდ ამისათვის საჭირო შეიქნეს პარალელური კათედრის დაარსება.

განსაკუთრებით შემცირებულ და შესუსტებულ უნდა იქნეს ფორმალური მხარე იმ შემთხვევებში, როდესაც არა ჰყავს უნივერსიტეტს კანდიდატები და ზევრი, ხალხისათვის ფრიად საჭირო კათედრები ცალიერია, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტმა უნდა მიმართოს საზოგადოებას და იქიდან შემატოს საჭირო ძალები, თუ გინდ მათ დაწესებული ხარისხიც არ ჰქონდეთ.

იგივე კარჩაკეტილობა არის მიზეზი, რომ ნაკლები და უმეტეს შემთხვევაში არავითარი კავშირი არ არსებობს კათედრებს და წარმოებას შორის. ამ მხრივ ფრიად უმწეო მდგომარეობაშია სოციალურ - ეკონომიური ფაკულტეტი, რომლის დანიშნულებაა ცოდნით აღჭურვილი, მაღალ კვალიფიკაციის მუშაკების გამოშვება ჩვენი სამეურნეო ორგანოებისათვის. ამ ფაკულტეტს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩვენ საწარმო და სამეურნეო ორგანოებთან — მაგალითად, სტატისტიკურ სამმართველოსთან, ქალაქისა და რესპუბლიკის სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებებთან. ისე ათავებს სტუდენტი უნივერსიტეტს, რომ მას თვალით არ უნახავს პრაქტიკული მუშაობა. ასეთი ხალხი ალორძინების გზაზე დამდგარ საქართველოს არაფრად არ გამოადგება. იქ გამეფებულია წიგნი და სიტყვა, და ისიც საეჭვო წიგნი და საეჭვო სიტყვა, და არა პრაქტიკა და ცხოვრება. და არ არის გასაკვირი, რომ ყოველი ნიჭიერი და მუყაითი სტუდენტი გარბის ფაკულტეტიდან, რადგან მის შემოქმედებით უნარს ფაკულტეტი ვერ აწვდის ვერც მეცნიერულ და ვერც პრაქტიკულ საზრდოს. ისინი ამჯობინებენ უშუალოდ ჩაებან თვით ცხოვრებაში და იქ საეჭვო პროფესორების დაუხმარებლად შეიძინონ ის, რაც უნდა უკეთეს პირობებში შეეძინათ ჩვენი მეცნიერების ტაძარში. იგივეა საექიმო ფაკულტეტზედაც. მას არავითარი, ან ძლიერ მცირე კავშირი აქვს საავადმყოფოებთან. მე მეტს ვიტყვი, საავადმყოფოებთან კი არა, თვით ჯანმრთელობის კომისარიატთან და მის მუშაობასთან ფაკულტეტის კავშირი არარაობას უდრის.

ასეთ პირობებში ცხოვრება ყოვლად დაუშვებელია მომავალში და საჭიროა ჩვენი უნივერსიტეტის შეცვლა ძირიან - ფესვიანათ. უნდა მოისპოს ძველი დახავსებული ციხური სტრუქტურა და უნივერსიტეტი უნდა ჩამოყალიბდეს ახალ საზოგადოებრივ ფორმებში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე უნივერსიტეტში სწავლის მეთოდსაც. ვისაც კი ოდესმე უნივერსიტეტის კარები უნახავს, მან კარგად იცის, თუ რა ფასი აქვს ლექციურ სისტემას. ვიცით აგრეთვე, თუ რა დიდი მიღწევებია დღეს ახალ ლაბორატორიულ მეთოდის შემოღებით ზოგ უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი კომუნისტურ უნივერსიტეტში. ისიც გვესმის, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პირობებში ლაბორატორიული მეთოდის განხორციელება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ზოგ ფაკულტეტზე და ზოგიერთ საგნებში ამ მეთოდის განხორციელება თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც შესაძლებელია, და ეს კიდეც უნდა გატარდეს ცხოვრებაში. ოღონდ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია ლექციური მეთოდი შეიცვალოს იმ წესით, რომელიც დღეს განხორციელებულია რუსეთის უნივერსიტეტებში. მე ვლაპარაკობ სემინარულ მეთოდებზე: $^{1}/_{4}$ ლექციები, $^{3}/_{4}$ სემინარიებში მუშაობა. ასეთი მეთოდი ცოტათი მაინც გაანაყოფიერებს უნივერსიტეტის მუშაობას.

მაგრამ მთავარი მაინც სხვაა. მთავარი არის ის, რომ ჩვენს უნივერსიტეტებში გამეფდეს ის სული, რომლის შესახებაც მე თქვენ გელაპარაკებოდით ჩვენი ინდუსტრიალურ ტეხნიკუმების განხილვის დროს. ეს სული უნდა გამოიყურებოდეს უნივერსიტეტის ყოველი კუთხეებიდან და უნდა გვეუბნებოდეს, რომ უნივერსიტეტი ისე, როგორც სხვა ყველა საფეხურის სკოლები, საბჭოთა საქართველოს ღვიძლი შვილია, რომ ის მშრომელი მასის, მუშათა კლასის სულისკვეთების გამომხატველია და ამ კლასის მესაიდუმლე. უნდა აშკარად ვსთქვათ, რომ ამ სულს ვერ ვხედავთ ჩვენ ჩვენს უნივერსიტეტში დღეს, პირიქით, იქ სულ სხვა ხასიათის სული გამოიყურება. რა მუშური სული იქნება იქ, სადაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებიდან ყოველ დღე, ყოველ საათში გაისმის თავშეუკავებელი ღაღადი იმის, რომ მუშური მსოფლმხედველობა, მუშათა კლასის ბრძოლის გზის მაჩვენებელი და მისი გამშუქებელი მეცნიერული კონცეპცია სისულელეა და მეტი არაფერიო. თითქოს განგებ ასეთი კათედრებისათვის იწვევენ და ამზადებენ ისეთ ხალხს, რომლებიც წინათაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და დღესაც მთელი თავის არსებით წინააღმდეგი იყვნენ მუშათა კლასის ბრძოლის და მისი საბოლოო იდეალისაც. საინტერესოა ის, რომ უნივერსიტეტს წესდებაში გათვალისწინებული აქვს მუშათა ფაკულტეტების დაარსებაც კი. და აი, ამ მუშათა ფაკულტეტებზედაც კი ჩვენი პროფესორები აპირებენ იდეალისტურ ფილოსოფიის, სტრუვესებურ პოლიტიკურ ეკონომიის ლექციების კითხვას. აი, ამას ბოლო უნდა მოეღოს, იქ, სადაც მუშათა კლასს აღებული აქვს ხელში ძალა-უფლება და მისი საშუალებით ცდილობს მთელ ქვეყანაში თავის საბოლოო იდეალის განხორციელებას, შეუძლებელი და დაუშვებელია ასეთი მდგომარეობის გაგრძელება.

ეს სრულებით არ ნიშნავს მეცნიერული კვლევა - ძიების თავისუფლების მოსპობას. რამდენიც უნდათ, იმდენი წერონ და იკვლიონ ჩვენმა იდეალისტებმა დიალექტიურ მატერიალიზმის და შრომის ღირებულების თეორიის საწინააღმდეგოდ. ასეთი მათი კვლევა - ძიების არავის არ ეშინია. ვინ არ აკრიტიკებდა და არ „ანიავებდა" მარქსიზმს ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ვინ არ „სამარებდა" და „მტვრად არ არ აქცევდა" მუშურ მსოფლმხედველობას, მაგრამ ის ისევ ძველებურად შეურყევლად გამოიყურება. არც ერთი პოზიცია, არც ერთი ხაზი მუშური მეცნიერული მსოფლმხედველობის არ არის შერყეული და დაზიანებული. ასეთ პირობებში, აშკარად უნდა გამოვტყდეთ, დიდ საშიშროებას არც ქართველი ანტიმარქსისტები წარმოადგენენ. მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ მუშათა კლასი ვერ მოითმენს ახალგაზრდობის იმ მიმართულებით აღზრდას, რომ მომავალში ის არა მას ამოუდგეს გვერდში, არამედ მის მტერს.

ამრიგად, ჩვენი უნივერსიტეტი საჭიროებს დიდ გადახალისება - გარდაქმნას. თუ ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილი უმზერთ, როდის მოხდება ეს თავის თავად, ლოდინი დიდხანს დაგვჭირდება. აქ საჭიროა მუშურ საზოგადოებრივი აზრის ჩარევა ამ საქმეში და უნივერსიტეტისათვის ისეთი სახის მიღება, რომელიც უფრო შეეფერება მის დღევანდელ ვითარებას.

ასეთი მისი გარდაქმნა არამც თუ შეცვლის მის ნაციონალურ სახეს, არამედ მხოლოდ მაშინ შეიძენს ის ნამდვილ ნაციონალურ ხასიათს, ისეთ ნაციონალურს, რომელიც დღევანდელ ქართველი ხალხის სულიერ განწყობილებას შეეფერება.

შ. სულაბერიძე

ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდ
კომუნისტი
დ ღ ი უ რ ი
ოთხშაბათი, 26 მაისი 1926 წ. № 117 (1572)

ცხოვრება

ოხმევა პარტიიდან გარიცხულთათვის

ექცობის პრაქ- არანორმალურ მო- ს პარტიიდან გარი- ბილეთის დატოვება და პარტსასჯელის არ აღნიშვნა. ამას შედეგათ ის მოსდევს, რომ პარტიიდან გარიცხულნი, ხელში ჰქონდათ რა მათ პარტბილეთი, სარგებლობდნენ პარტიის წევრთა ყოველგვარი უფლებებით.

დამახასიათებელია ამ მხრივ შემდეგი მაგალითი: ერთ-ერთი პარტიის წევრი სამჯერ იყო გარიცხული პარტიიდან, ის ერთი ორგანიზაციიდან მეორეში მიდიოდა და, რადგან პარტბილეთი ჩამორთმეული არ ჰქონდა, სარგებლობდა პარტიის წევრის უფლებებით.

მეორე ფაქტი: პარტიის წევრი პასუხისგებაში მიცემული და პარტიიდან გარიცხული იყო; ის სარგებლობდა პარტიის წევრის უფლებებით, რადგან თავის დროზე პარტბილეთი არ ჰქონდა ჩამორთმეული.

ის გარემოება, რომ პირად საქმეში ხშირად არ შეაქვთ ხოლმე არავითარი ცნობა პარტსასჯელის შესახებ, საშუალებას ართმევს პარტორგანიზაციას სრული წარმოდგენა ჰქონდეს ამა თუ იმ ამხანაგზე.

გამოდის რა ზემოაღნიშნულიდან ს.კ.პ.(ბ) ა. კ. ს. კომიტეტი წინადადებას აძლევს რესპუბლიკურ საკონტროლო კომისიებს ამა თუ იმ პარტსასჯელის შესახებ დადგენილების ამონაწერი დაუყოვნებლივ გადაუგზავნონ სათანადო ორგგანყოფილებებს. პარტორგანიზაციების ორგგანყოფილებებს ევალებათ თვალყური ადევნონ იმ დადგენილებების შესრულებას, რომლებიც ეხებიან სამუშაოდან მოხსნას, გადაყვანას ერთი სამსახურიდან მეორეში, დასჯაზე გაგზავნას და აგრეთვე პარტიიდან გამორიცხვას პარტბილეთის ჩამოსართმევათ. გარდა ამისა აღრიცხვა-განაწილების განყოფილების მიერ უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ პარტსასჯელის შესახებ დადგენილებების ოქმების ამონაწერი ჩაკერებული იქნეს პირად საქმეში

სოფლად საშეფო მუშაობის შესახებ.

ძალიან ხშირად საშეფო მუშაობა სოფლად სწარმოებს ადგილობრივ ორგანოებთან (პარტუჯრედი, საბჭო, კოოპერატივი, გლეხკომი და სხვ.) ყოველგვარ კავშირის გარეშე. ბევრი კარგი საქმეც რომ წამოიწყოს შეფმა სოფლად, ასეთი მდგომარეობის დროს გამოიღებს თუ არა იგი რაიმე დადებითი ნაყოფს? ვფიქრობთ, რომ არა. შეფის მიერ წამოწყებული საქმე, ადგილობრივ ორგანოების დაუკითხავათ და მათთან შეუთანხმებლად, ვერ ჰპოვებს გამოხმაურებას ადგილობრივ ორგანოებში. ამას გარდა, ასეთი მუშაობა ვნებს კიდევაც საერთო საქმეს, ვინაიდან იგი არამც თუ ამაგრებს, არამედ ამცირებს ადგილ. ორგანოების ავტორიტეტს გლეხობის თვალში. ამიტომ პირველი და მთავარი პირობა საშეფო მუშაობის წარმატებისათვის სოფლად არის—მტკიცე კავშირი და შეთანხმებული მუშაობა ადგილობრივ საბჭოთა-პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

როგორი ხასიათის უნდა იყოს საშეფო მუშაობა სოფლად? საშეფო მუშაობა სოფლად უნდა სწარმოებდეს ორი მიმართულებით კულტურულ-განმანათლებელ და საორგანიზაციო-სამეურნეო გზით. როგორია ამ მხრივ თბილისის საშეფო საზოგადოების მუშაობა?

უნდა ითქვას, რომ იგი არც ერთი მიმართულებით არ აწარმოებს სისტემატიურ მუშაობას. გასულთან შედარებით თბილისის საშეფო საზოგადოებას დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ სოფლად მუშაობის გაფართოების და გაღრმავების საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი დგას მის წინაშე. ჩვენი შეფების უმრავლესობის მუშაობა სოფლად გამოიხატება იმაში, რომ რომელიმე მასიურ კამპანიის დროს (7 ნოემბერი, 25 თებერვალი, 1 მაისი და სხვ.) ერთ-ორ დღით წავლენ სოფელში, შეკრებენ გლეხობას, გააკეთებენ მოხსენებებს ამა თუ იმ დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ, დაურიგებენ გლეხებს პლაკატებს, ლიტერატურას და დაბრუნდებიან უკან. ვისთვის რა სარგებლობა მოაქვს ამ მიტინგების მოწყობას და მოხსენებებს? ყოველ შემთხვევაში გლეხობა ამაში ბევრ რამე სახეიროს არ ხედავს. მართალია, კულტურულ ძალებით ღარიბ სოფელს დახმარება უნდა რევოლიუციონურ დღესასწაულების ჩატარებაში. მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ბევრი ჩვენი შეფები უწევენ მას. და მარტო ამით არ უნდა განისაზღვროს საშეფო მუშაობა.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად შეფების მიერ უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად და არა მხოლოდ დღესასწაულების ჩატარების დროს. რასაკვირველია, შეფი მთელი თვეებით ვერ დარჩება სოფელში. მაგრამ მან უნდა იშოვოს იმდენი დრო, რომ სოფელში წელიწადში რამოდენიმე დღე მაინც დაჰყოს. შეფების მიერ სოფლად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში მთავარი ყურადღება იმას კი არ უნდა მიექცეს, რომ გაუხსნა სოფელს ქოხ-სამკითხველო ან მასწავლებელი დაუქირავო და სხვ.,—რასაკვირველია კარგია ესეც,—არამედ იმას, რომ ეს გლეხობა ჩააბა ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში, დააინტერესო გლეხი გაზეთით და წიგნებით, აუხსნა და განუმარტო საჭირბოროტო საკითხები, მისცე იურიდიული რჩევა-დახმარება, გააცნო პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სოფლად, ჩააბა გლეხობა კედლის გაზეთის მუშაობაში, ყოველმხრივ ხელი შეუწყო სოფლის კორესპონდენტების წამოყენებას მოწინავე გლეხობიდან, და საერთოდ დაახლოვო გლეხობა პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. აი ის, რასაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად საშეფო მუშაობაში.

საორგანიზაციო-სამეურნეო მუშაობა არ უნდა ატარებდეს წმინდა მატერიალურ დახმარების ხასიათს. იყო შემთხვევები, როცა შეფი სოფელს სახნისს უგზავნიდა, კოოპერატივს ფართალს აწვდიდა და სხვ. ასეთი დახმარების მიცემა სოფლისათვის არ არის შეფის მოვალეობა, ეს მავნე გადახრაა მის მუშაობაში. ასეთი დახმარება ატარებს ქველმოქმედების ხასიათს. ქველმოქმედებას სოფელი არ საჭიროებს, ეს ავნებს მის სამეურნეო წარმატებას. საორგანიზაციო-სამეურნეო დახმარების სწორად დაყენება მდგომარეობს იმაში, რომ შეფმა გააღვიძოს გლეხობის ინიციატივა, მობილიზაცია უყოს მის ძალებს და საშუალებებს და დაეხმაროს მის სწორად და მიზანშეწონილად მოხმარების საქმეში. მაგალითად, სოფელი საჭიროებს ტრაქტორს, ან სხ. მანქანას. აქ შეფი უნდა მივიდეს გლეხობასთან არა ფულით, არამედ მან უნდა უჩვენოს გზა გლეხობას, თუ როგორ, რა პირობებში და სად შეიძლება მისი შეძენა. თვით შეფს შეუძლია მხოლოდ ასესხოს გლეხობას ფული იმ პირობით, რომ განსაზღვრულ დროში დაუბრუნებს; ან კიდევ, სოფელს კოოპერატივი არა აქვს და კერძო ჩარჩი ტყავს აძრობს გლეხობას აქ შეფმა უნდა მოკიდოს ამ საქმეს ხელი, უნდა შეაკავშიროს გლეხობა, დაუმტკიცოს მას მთელი უპირატესობა კოოპერატივისა კერძო ვაჭართან შედარებით, უჩვენოს გზა და საშუალება, შეათანხმოს ადგილობრივ ორგანოებთან ეს საკითხი და ამით საფუძველი ჩაუყაროს კოოპერატივის საქმეს. ასევე უნდა მოიქცეს შეფი სხვა ამგვარ შემთხვევებშიაც. და ასეთი სახე საორგანიზაციო-სამეურნეო დახმარების იქნება გაცილებით ნაყოფიერი, ვიდრე საჩუქრების მიცემა გლეხობისათვის.

შეფების მუშაობაში სოფლად მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე მუდმივი კავშირი სოფელთან. ცოცხალი კავშირის საშუალებით შეფს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს სოფელს ამა თუ იმ რჩევა-დარიგების მიცემით და სხ.

ასეთია ზოგადი საშეფო მუშაობის ამოცანები სოფლად. აქეთკენ უნდა მიაქციოს ყურადღება თბილისის საშეფო საზოგადოებამ.

მაგრამ შეფების მუშაობის წარმატება, აგრეთვე, დიდათაა დამოკიდებული იმისგან, თუ როგორ დახმარებას გაუწევს მას ადგილობრივი ორგანოები. თუ ადგილობრივი პარტ-საბჭოთა მუშაკები ყოველმხრივ დაეხმარებიან შეფებს, აწევენ მათ ავტორიტეტს გლეხობის თვალში და წინ წასწევენ და დაამთავრებენ შეფების დაწყებულ საქმეს,—საშეფო მუშაობა მოგვცემს იმ შედეგს, რომელსაც ჩვენ მოვითხოვთ მისგან.

ს. ვ.

პატარა ფელეტონი

სასწაულმოქმედება

ვინა სთქვა, რომ სასწაულმოქმედებას აღარა აქვს ადგილი ამ ქვეყანათ?

რამდენიც გნებავთ!..

მართალია, დღეს შეუძლებელია ისეთი პიროვნების არსებობა, რომელიც ექვსი დღის განმავლობაში შესძლებს თავი მოუყაროს და ჰარმონიულად ააწყოს ქაოსით მოცული სამყარო, როგორც ეს იმოქმედა მამა ღმერთმა.

მაგრამ, მაგიერში, სულ ადვილი საქმეა ბურჟუაზიულ გემოვნებაზე აწყობილი ქვეყნის არევ-დარევა.

ამისთვის საკმაოა მხოლოდ ზინოვიევის მოსკოვში ყოფნის დროს ვენაში დაწერილი მისი წერილი და მეტი არაფერი!..

მართალია, მიუხედავათ მშობიარობის ტეხნიკის უაღრესათ განვითარებისა, შეუძლებელია დღეს თიხისგან ცოცხალი ადამიანის შექმნა, როგორც ადამი გააჩინა ღმერთმა.

მაგრამ, მაგიერში, სულ ადვილი საქმეა რადიო-სხივებით, ტელეგრაფის მავთულით, სიტყვით, ან გაზეთის ფურცლებით ურიცხვი იხვების გაფრენა, როგორც ამას სჩადიან ყოველ დღე-ღამ ბურჟუაზიული ქვეყნების ყოველნაირი სააგენტოები.

მართალია, შეუძლებელია დღეს ვინმეს დარწმუნება იმაში, რომ ბავშვი სულიწმიდისაგან ჩეისახება, როგორც ეს მოუვიდა იესო ქრისტეს დედა მარიამს.

მაგრამ, მაგიერში, შესაძლებელია, ქალმა რამდენიმე შვილი შობოს ისე, რომ მან არ იცოდეს, ვინ არის მისი შვილების მამა.

შეუძლებელია ორმოცი დღე-ღამე კოკისპირულათ იწვიმოს და ტბა დადგეს არარატის მწვერვალამდე, სადაც ერთ დროს მიადგა ნოეს კიდობანი შვიდ-შვიდი წმინდა და უწმინდური ცხოველებით სავსე.

მაგრამ, მაგიერში, შესაძლებელია, თანამედროვე ნოებმა ისე წარყვნან მენშევიკური ქვეყანა, რომ აუცილებელი შეიქნეს ბოლშევიკური გამწმენდი წარღვნა.

სწორეთ ასე მოხდა ამ ხუთიოდე წლინახევრის წინათ საქართველოში.

მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არც კოკისპირული წვიმა წამოსულა ციდან და არც კიდობანის კეთება დასჭირებიათ ნოებს.

განკითხვის დროს მზათ იყო მათთვის ბათომის ნავთსადგურში ინგლის-საფრანგეთის თანამედროვე ისეთი კიდობნები, რომლებთან შედარებით ნოეს ძველი კიდობანი ბავშვის ნათამაშევათ გამოჩნდებოდა.

ამ კიდობნებში ჩაალაგენ ბლომათ სურსათ-სანოვაგე, ძვირფასი განძეულობა და თვითეულმა ნოემ შვიდჯერ-შვიდი წყვილი წმინდა და უწმინდური ცხოველები, და შესცურეს ზღვაში სამშვიდობოს გასასვლელათ.

ნოეთა კიდობანი გაირიყა საფრანგეთში, მიდამო ლევილიეს ჭონჭყოში.

აქედან იწყება მათ, პატრიარქ ნოესავით, კიდობნიდან მტრედების გამოფრენა წარღვნის გათავების შესახებ ამბის გასაგებათ.

მოფრინავენ მათი მტრედები საქართველოში, მაგრამ, გაიგებენ რა, რომ აქ არავითარ წარღვნას არ ჰქონია ადგილი, აღარ ბრუნდებიან უკან მახარობლათ თავიანთ მატყუარა პატრონებთან.

ლევილიელ კიდობნის მცხოვრებნი კი ამ მოვლენას იმითი ხსნიან, რომ ეს მტრედები უწმინდურთა წყვილებს ეკუთვნიანო.

მხოლოდ ერთი გამორევია მათში წმინდათა ჯიშის, თავადი **შალვა ამირეჯიბი**, რომელსაც მიუტანია ამბავი კიდობანში, მარა რა ამბავი!..

ამ მტრედის ცნობით, საქართველოში ქართველი იშვიათი საპოვნია. ქართულ ენას ველარსად გეიგონებს კაცი, და თუ გეიგონებს, იმასაც ჩურჩულით. ქართული წიგნები და გაზეთები რუსულ და სომხურ ენებზე გამოდიან. ს. თ—დია თავის პატარ ფელეტონებს რუსულ და სომხურ ენებზე სწერს, თურმე.

ეს კიდევ არაფერი! მთელ საქართველოში ელექტრონი არსად ბჟუტავს. ზაჰესი არც კი დაწყებულა ჯერ, რადგან მტკვარი აღარ მიმდინარეობს. საზოგადოთ, საქართველოში ყველაფერი სდგას და პირდაღებული შესცქერის ნოეთა კიდობანის გამოჩენას შავ ზღვაზე...

ამის შემდეგ, მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ სასწაულმოქმედებას ძველებურათ ადგილი არა აქვს ამ ქვეყანათ!

მე დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ვსწერდი ქართული ანაბანით. თურმე ეს სომხური ყოფილა!

ღამეა, მარა გარეთ სინათლეა. მე მაგიდაზე ელექტრონის სანათი მიდგას და მშვენიერათ მიშუქებს. მაინც მოუთმენლათ ველი რამდენიმე თვის შემდეგ ზაჰესის დამთავრებას, რომელიც კიდევ უფრო ბრწყინვალე და იაფ შუქს მომცემს. მარა, საქმე არა გაქვს! თავად შ. ამირეჯიბის სიტყვით, ეს მხოლოდ მოჩვენება ყოფილა. სინამდვილეში არავითარ ზაჰესს და ელექტრონის შუქს ადგილი არ ჰქონია საქართველოში.

თავადების არას დროს არაფერი მწამდა და არც ეხლა დაუჯერებდი შ. ამირეჯიბს, მარა რაღა მეთქმის, როდესაც არა თავადი, არამედ აშორდიას მაძიებელი აზნაური, **ევგენი გეგეჭკორიც** ასე ლაპარაკობს!

მისი სიტყვით, არავითარი რევოლიუციონურ მოძრაობას ადგილი არ ჰქონია გერმანიაში წასულ წლებში.

გენერალი ჰინდენბურგი კომუნისტებს თავიანთი ხელით დაუსკუპებიათ პრეზიდენტათ გერმანიაში.

რის გაფიცვები, რა გაფიცვები,—ფიქრადაც არ მოსვლიათ თავში ეს ინგლისის მუშებს არასდროს.

ჩინეთის მოძრაობა ვის გაუგონია? კანტონის მხარე არც კი არსებობს ქვეყანაზე, თურმე, არამც თუ იქაური ხალხური მთავრობა.

ყველაფერი ესენი ბოლშევიკების შეთხზული ამბავი ყოფილა...

ნამდვილი აზნაური რა არის, მაძიებელი რაღა იქნება! მარა, დახეთ, ნამდვილი აზნაური, **გიორგი გვაზავაც** რომ ამ ყაიდაზე ლაპარაკობს!

ჩვენ აქ არაფერი არ ვიცოდით, და თურმე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი წარმომადგენელიც კი დანიშნა საქართველოში, მხოლოდ არა საბჭოთა, არამედ ლევილიეს კიდობნის საქართველოში.

ამისთვის ხარჯების გაღებაც კი გადაუწყვეტიათ. მხოლოდ არ არის განსაზღვრული დრო, როდის გაემგზავრება ეს წარმომადგენელი თავის მოვალეობის შესასრულებლათ. საზოგადოთ, გვაზავს სიტყვით, ამერიკელებს სძინავთ და ძილში ესიზმრებათ ნოეთა კიდობანის მცხოვრებთა ბედიღბალი და მუდამ მზათ არიან მათ მისაშველათ.

ჯანი გავარდეს! არც ამ ნამდვილ აზნაურს დაუჯერებ არაფერს, მარა გლეხს, წმინდა ჯიშის გლეხს, **ს. ფირცხალავას** როგორ არ დაუჯერო?

ის ამბობს, რომ ევროპა ყოველნაირათ უფრო ახლოა საქართველოზე, ვიდრე რუსეთი. ასე იყო უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაშიო.

ხუთი საუკუნე რა მოგახსენოთ და ხუთი წელიწადი კი არის მას შემდეგ, რაც ნოეთა კიდობანის საქართველო ბევრათ უფრო ახლოს არის ევროპასთან, საფრანგეთის ლევილეში, ვიდრე რუსეთთან.

ჩვენც დაულოცავთ ნოეთა კიდობნის ლევილიელ ქართველებს, თავადი იქნება ის, აზნაური, თუ ს. ფირცხალავას ყაიდის გლეხი,—მჭიდრო კავშირი ევროპასთან.

ჩვენ კი როგორმე იოლათ წავალთ რუსეთთან კავშირით.

ს. თ—ია.

საბჭოთა საქართველო

მანდატის მოყვარული მდივანი

(ს. კიწია, სენ. მ.)

1 მაისის წინადღეა. სოფელში სადღესასწაულო განწყობილებაა. კიწიაში ქალაქიდან შემთხვევით მოხვდა ამხ. იოსებ ლაგვილავა. აქა-იქ გლეხებს მოეყარათ თავი და სოფლის საჭირ-ბოროტო კითხვებზე ბაასობენ.

ლაპარაკში ჩაერია ამხ. ლაგვილავა. მან მალე სიტყვა ხვალინდელ დღეზე გადაიტანა და გლეხებს 1 მაისის მნიშვნელობაზე დაუწყო საუბარი. მაგრამ უეცრივ ლაგვილავასთან მოდის ერთი ადგილობრ. მასწავლებელთაგანი და ჩურჩულით ეუბნება: „თემკომი გიბარებს, ეხლავე უნდა წამოხვიდეო“.

ცოტა არ იყოს, ეს მოულოდნელი დაპატიჟება გაუკვირდა ლაგვილავას, მაგრამ წასვლაზე უარი მაინც არ სთქვა. შესწყვიტა ლაპარაკი და თემკომისკენ გაემართა. მისვლისთანავე შეატყო, რომ რაღაც არაჩვეულებრივ მასპინძლობას უპირებდენ მას აქ. დიდ საიდუმლოებით და ფუს-ფუსით შეიყვანეს ლაგვილავა ოთახში და წამსვე კარები გამოიხურეს.

კიდევ ცოტა ხანი და ერთი ახალგაზრდა, დაახლოებით 17—18 წლის კაცი, მრისხანეთ მიმართავს დამარტოხელებულ ლაგვილავას: „თქვენი მანდატი“. ლაგვილავა აღელდა. გაუკვირდა, რომ ასე უხეშათ შეხვდენ. მიზეზი ვერ გაიგო, რამ გამოიწვია თემკომის ამგვარი მოქმედება.

„თქვენ მე ვერ მიცნობთ, უპასუხა მან მანდატის მოყვარულ ახალგაზრდას, ისე კი, მე ამ თემში უცხო კაცი არა ვარ, ვისაც გინდათ ჰკითხეთ და ჩემს ვინაობას გაიგებთ“.

— „მანდატი ჩქარა, ბევრს ნუ მიედ-მოედები“—მოკლეთ მოსჭრა ახალგაზრდამ. რაღა დარჩენოდა ლაგვილავას, ამოიღო და წარუდგინა მანდატი. ახალგაზრდამ ახედ-დახედა ქაღალდს წარბების აგრეხ-დაგრეხით და შარის მოსადები ვერაფერი რომ ვერ ნახა, მკვახეთ უბრძანა ქალაქელ სტუმარს:

„დღესვე დასტოვეთ კიწიის ტერიტორია, რომ თქვენი ბურდღა არსად სჩანდეს ამ ახლო-მახლოო“. ზევრი თათბირისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა მოლბა მრისხანე ახალგაზრდას გული და მან ნება დართო ლაგვილავას ერთი ღამე კიდევ დარჩენილიყო კიწიის ტერიტორიაზე.

შეიძლება ვინმემ სთქვას, მერე რა, ალბათ დაიშავა რამე ლაგვილავამ, თორემ მას ასე უხეშად არ მოეპყრობოდნენ. ვთქვათ ეს ასედაც იყო, თუმცა ამის საბუთი ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს, საკითხავია აქ მეორე რამ: რა უფლების ძალით, ან ვისი დავალებით ითვისებს თემკომი კიწიაში ადმინისტრატიულ უფლებებს. სად არის მილიცია, სად არის აღმასკომი? ნუ თუ ყველაფერი წყალმა წაიღო?

როგორ მოხდა, რომ დღემდი კიწიის პარტიულ ორგანიზაციას თავისი ადგილი ვერ მოუნახავს?

ი. ხაწკელი.

ექსკურსიათა ერთი ნაკლი.

(წინანდალი, თელავის მ.)

ამას წინად, 15 მაისს, ს. წინანდალში მოვიდა გურჯაანის (სიღნაღის მაზრა) შვიდწლიან შრომის სკოლის ექსკურსია. ბავშვთა ხელმძღვანელებმა ღამის გასათევი ბინა სთხოვეს სახალხო მამულის გამგეს. მაგრამ, ვინაიდან იქ მათთვის ბინა არ აღმოჩნდა, იძულებულნი ვიყავით ს. წინანდლის შრომის სკოლის საკლასო ოთახები დაგვეთმო.

მეორე დღეს, როდესაც ექსკურსიამ დასცალა ბინა და ვინახულეთ, ერთი უბედურება იყო: ფანჯრების მინები ჩამსხვრეული, მერხები, მაგიდა, სკამი, კარები—დამტვრეულ-დალეწილი დაგვხვდა. როდესაც ხელმძღვანელებს შევეკითხეთ, თუ როგორ მოხდა ეს, მათ გვიპასუხეს: „ვერ გავიგეთ და გურჯაანში რომ მივალთ, გამოვიძიებთ“-ო. საკვირველია ასეთი ხელმძღვანელობა! დღეს, როდესაც ყველგან მომჭირნეობაზე ლაპარაკობენ და როდესაც სკოლებში ინვენტარის ძლიერი ნაკლებობაა, დაუშვებელი და მიუღებელია ექსკურსიის ხელმძღვანელთაგან დათმობილ ბინაზე ასეთი უყურადღებობის გაწევა.

ამჟამად ექსკურსიების მოწყობა ძალიან ხშირია. თუ ყველამ პატარა ზიანიც მოუტანა საექსკურსიო ადგილს, ეს საკმაოდ დიდ ზარალს მოგვცემს.

ექსკურსიები წინდაწინვე მოფიქრებით და ფრთხილად უნდა მოემზადონ, რომ არც ექსკურსიის მიერ დასახული მიზანი დარჩეს მიუღწეველი და არც დასათვალიერებელ ადგილს, თუ წარმოება-დაწესებულებას მიეცეს ზიანი.

ყველა ექსკურსანტმა უნდა იცოდეს, რომ რაც ნახვის და დათვალიერების დროს იწვევს სიამოვნებას თუ გაკვირვებას, არის ის დაწესებულება, ქარხანა-ფაბრიკა, მუზეუმი, სახალხო ბაღი თუ სხვა რამ—ყველაფერი მხოლოდ მოვლა-გაფრთხილებით და აუარებელი შრომითაა შენახული.

ექსკურსიის ხელმძღვანელთ მეტი წინდახედულობა და სიფრთხილე ჰმართებთ.

სამსონ ხუციძე.

წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

გიორგიწმინდა (გარე-კახეთი).

წყალსადენი უპატრონოდაა. ჩვენი წყალსადენიდან წყალი ყოველ მხარეზე იღვრება, მცხოვრებლები კი უწყლოდ სხედან. ქალსა და კაცს მთელი საათობით უხდებათ რიგში დგომა თითო კოკა წყალისათვის. ახალი მერაბი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ასეთ მდგომარეობას. ვნახოთ, საბჭო რა ზომებს მიიღებს.

ურანი.

ზედა-შუხუთი (გურია)

დაგვიარსეთ კოოპერატივი. სოფლის ყველაზე მეტად მოხერხებული სავაჭრო ადგილი კერძო პირს უკავია, სადაც დუქანი აქვს გახსნილი და შეუბრალებლათ კრეჭავს ხალხს. დროა ჩვენში გაიხსნას კოოპერატივი, რომ მადა შეეკვეცოს თავგასულ ვაჭარს.

ხანი.

ძველი აბაშა (სენაკის მ.).

მევახშე ქორიავა. ირაკლი ქორიავა ხელს ითბობს გლეხების გაჭირვებაზე. მას ორიოდე გროში დაუგროვებია და მამასისხლად ასესხებს ამ ფულებს გლეხებში. არის შემთხვევები, როცა გლეხს 5 თუმანს ასესხებს და ხელწერილს 8 თუმნისასართმევს. გარდა ამისა, ცალკე სარგებელს ღებულობს. დროა ამოსდონ ლაგამი თავგასულ მევახშეს.

პერო.

ნახუნოვო (სენ. მ.)

საჭიროა მეტი თვითმოქმედება. არა გვაქვს გლეხკომი, გზები უმწეო მდგომარეობაშია, კულტურული მუშაობაც მოდუნებულია. საბჭო თავს დიდათ არ იწუხებს, საჭიროა მეტი თვითმოქმედება. ამდენი ძილი არ გვარგებს.

მედგარი.

ს ო ფ ლ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

— **კავთისხევის** აღმასკომმა დაადგინა მოაგარაკეებს მიაქიროს ადგილობრივი სკოლა და შემოსულ ფულით შეაკეთოს სკოლის შენობა.

— **სისუფთავის დაცვა.** კავთისხევის აღმასკომმა დაადგინა გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობის საქმე და გამოსცეს შესაფერი დადგენილება.

— **საძოვარი.** ახალქალაქის მაზრაში, მეცხვარეთა ამხანაგობამ „სოფელმა“ იჯარით აიღო 150 დესეტინა საძოვარი.

— **გლეხთა სახლი.** ცხინვალში ახლო ხანში დამთავრდება გლეხთა სახლის აგება.

— **აგარაკი ურაველი.** ახალციხეში მდებარე აგარაკი ურაველი სამაზრო აღმასკომმა გადასცა სამაზრო გლეხკომს.

— **ბაზრობა.** სოფ. ქვიშხეთში არსდება ბაზარი მოაგარაკეთათვის.

— **სოფ. სუქითი, ჯაგარაანთკარი და კუდატუე** გამოეყო ზღურდის თემს და მიეწერა გომის თემს.

— **ამხ. ალამალი-ოღლის** მიერ გადმოგზავნილი 300 მანეთი ახალქალაქის აღმასკომმა გადასცა სასოფლო-სამეურნეო სკოლის ამგებ კომისიას.

მუშათა ცხოვრება

როგორ მუშაობდა ჩვენი ადგილკომი

(სახალხო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა № 1 გაერთიანებული ადგილკომის მუშაობის მოკლე ანგარიშებიდან)

დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ჭრელი შემადგენლობის გამო ადგილკომს აქ მუშაობა უხდება განსაკუთრებულ პირობებში.

საორგანიზაციო მუშაობა

ადგილკომი აერთიანებს შემდეგ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს: საქ. ცაკის, საქ. სახკომსაბჭოს, საქ. საგეგმო კომისიის, ა.-კ. ცაკის, ა.-კ. სახკომსაბჭოს და ს. ს. ს. კ. რწ. სამ.

მთელი თანამშრომელთა რიცხვი დაახლოებით უდრის 400 კაცს.

მთავარი ყურადღება იქნა მიქცეული სხვა კავშირის წევრების გადმორიცხვაზე ჩვენ კავშირში, ამავე დროს ვაწარმოებდით კავშირის გარეშე მყოფ ამხანაგების მიღებას, შემდეგ დიდი ყურადღება ექცეოდა საკანცელარიო მუშაობას, სადაც შემოღებულია საქმის წარმოება ახალ სისტემაზე და სხ.

ადგილკომთან არსებობს სხვადასხვა კომისიები:

კულტ-განმანათ. მუშაობა

აქ არსებობდა პროფესიონალური და პოლიტიკური წრე ამხ. ბოკუჩავას ხელმძღვანელობით, ტარდებოდა მეცნიერული ხასიათის საუბრებიდა ლექციები, როგორიცაა მაგ. **მუშათა მოძრაობის განვითარება, მედიცინა ლიტერატურა** და სხ. ამავე დროს მუშათა კლუბში საერთო ძალებით საღამოების ჩატარება და სხ.

ადგილკომი სასახლის კომ-უჯრედთან და ახ. ლ. კ. კ. უჯრედებთან ერთად უშვებს ყოველთვიურ კედლის გაზეთს ქართულ-რუსულ ენაზე.

შრომის დაცვის კომისიის მუშაობა

კომისიის მუშაობა მიმართული იყო მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, მაგ. სამუშაო ბინების სათანადო მოწყობა, ზედმეტი საათების მუშაობის წინააღმდეგ ბრძოლა, და საერთოდ, მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა და სხ.

დღემდის ადგილკომთან არსებობდენ სხვადასხვა მოხალისე საზოგადოებანი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა მთლიანად ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. დ. კოპლატაძეს.

არსებობს შემდეგი მოხალისე კომისიები: „რემედასი“, ავიაქიმი, წერკუმსი, შეფბიურო და სხვა.

წერკუმსი ჯერჯერობით აწარმოებს ორგანიზაციულ ხასიათის მუშაობას. მას კავშირი აქვს რაიონულ საბჭოსთან; აყვანილი ჰყავს აღრიცხვაზე წევრები და სხვა.

ჩ/შეფობის ქვეშ იმყოფება სოფ. დიდითონეთი, სადაც შეფბიურო აწარმოებს ენერგიულ მუშაობას; სისტემატიურად ტარდება ყველა ის კამპანიები, რაც აუცილებლად საჭიროა. ჩატარებული იქნა ოქტომბრის რევოლიუციის, ქალთა საერთაშორისო დღის, 1-ლი მაისის მიტინგები. ამავე დროს ეწყობა სოფლად პიონერთა ორგანიზაცია, რომლის ხარჯებსაც კისრულობს შეფ-ბიურო ადმინისტრაციების დახმარებით.

წერკუმსის ბიურო ამ მოკლე დროში აპირობს მოახდინოს ადგილობრივ გლეხთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

კომ-უჯრედის, ა. ლ. კ. კ. უჯრედის და ადგილკომის დამოკიდებულებანი

ადგილკომიტეტი მტკიცე კონტაქტში იმყოფება კომუნისტურ და ახალგაზრდების უჯრედთან, ტარდება მათთან ერთად გაერთიანებული კრებები, სადაც ესწრება უპარტიო ამხანაგების უმრავლესობა ადკომში შედის ახ.-მუშათა წარმომადგენელი, კომუჯრედს ჰყავს გამოყოფილი ქალთა შორის მომუშავე ერთი ამხანაგი; არსებობს ქალთა აქტივი ტეხნიკურ პერსონალიდან, რომელნიც ჩაბმული არიან კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პოლი კოპუხიძე.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

როგორც გავიგეთ, ქალაქის აღმასკომს განზრახული აქვს ამჟამად ქალაქის საავადმყოფოებში მომუშავე ექიმებს ნება არ მისცეს საზაფხულო სეზონში სამუშაოთ წავიდნენ აგარაკებზე.

ამნაირად, საკურორტო სამმართველოს შეიძლება არ შერჩეს ამ საზაფხულო სეზონში სახეირო ექიმები, ხოლო ავადმყოფები იქ დარჩებიან იმ ექიმების ზედამხედველობის გარეშე, რომლებთანაც ექიმობდენ აქ, თბილისში.

თუ აღმასკომს მხედველობაში აქვს აქ დარჩენილ ავადმყოფების ინტერესი,—რა დააშავეს იმ ავადმყოფებმა, რომლებიც კურორტებზე მიდიან.

ვფიქრობთ, რომ ეს გაუგებრობაა და ის თავის დროზე უნდა იქნას თავიდან აცილებული.

ავადმყოფი მუშა.

რას მემართლებიან—არ ვიცი!

(განათ. მუშაკთა კავშირის ც. გ. საყურადღებოდ)

1924 წლამდის მასწავლებლად ვიყავი ს. გურჯაანში (სიღნ. მაზრა). 1923 წლის 1 სექტემბრიდან 5 დეკემბრამდე ჯამაგირი არ მიმიღია, თუმც მის მიცემის შესახებ იყო დადგენილება 5 დეკემბერს 1923 წ.

ამ სხდომას დაესწრენ როგორც სიღნაღის გან. განყოფილების, ისე განათლების კავშირის წარმომადგენელი და აგრეთვე თბილისიდან კავშირის წარმომადგენელიც ამხ. შიუკაშვილი—კალუენაია.

ამის შემდეგ მაშინდელ გან. განყ. ინსპექტორს (ალ. ნაცვლიშვილს) რამდენჯერმე მივმართე, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როგორც იყო, გაიღო „წყალობა“ და 1925 წლის აპრილში გამომიგზავნა თბილისში ერთი თვის ჯამაგირი 30 მანეთის რაოდენობით.

ის იყო და ის. ამის შემდეგ არაფერი მიმიღია, მივმართე ორჯელ განცხადებით გან. კომისარიატს, რადგან სიღნაღის გან. განყოფილებამ არც კი მიპასუხა. კომისარიატში მირჩიეს,—მიმემართა აქ, თბილისში, გან. კავშირში. ასეც მოვიქეცი და მივეცი განცხადება 1925 წლის ნოემბერში. არც აქ გამოვიდა რამე. ამის წინად გადმომცეს; სიღნაღის გან. კავშირს შენი საქმე სასამართლოსთვის გადაუციაო. გადაწყვეტილი საქმე სასამართლოსთვის გადაუციათ, და ეს იმ დროს, როცა ყველა იმ ამხანაგებმა ვინც ჩემ მდგომარეობაში იყვნენ, უკვე მიიღეს ფული.

რას მემართლებიან, არ ვიცი!

და ან ვინ გამიმართავს საქმეს, რომელ უმაღლეს ინსპექციასღა მივმართო, არც ეს ვიცი.

მასწავლებელი **დ. კარბელაშვილი.**

გამოგზავნილ წერილებიდან

— **გაკეთებით გაკეთდება, მაგრამ არა ისე, როგორც წესი და რიგია.** ანტონოვის ქუჩის რაიონი ბევრგან შეკეთდა, მოიკირწყლა; ბევრგან კანალიზაცია და წყალიც გაყვანილია, მაგრამ აქ ბევრი რამ არ არის ისე გაკეთებული, როგორც საჭიროა. მაგ. ახალ გეგმის ქუჩაზე მცხოვრები მუშა-მოსამსახურეები განიცდიან დიდ ტანჯვა წვალებას იმის გამო, რომ ქუჩების გაყვანის დროს. ნიადაგი ძირს დაუშვეს და სახლები დარჩა ისეთ მაღლობზე, რომ ქუჩიდან მათ უნდა გაუკეთდეს კიბეები.

აღმასკომო, მოგვაქციე ყურადღება?

მუშა გოგია.

— **ეს ლოთი კონდუქტორი უნდა აილაგმოს.** დასავლეთ საქართველოს რკინისგზის საბარგო მატარებლის კონდუქტორი ნუნუა ხშირად ლოთობს და რკინისგზაზე ქმნის ერთ აყალ-მაყალს ჩვენი ცენტრალური გაზეთების რედაქციების კონტრაგენტებთან. არ აძლევს მათ გაზეთებს; ლანძღავს და აგინებს მათ და სხ. საჭიროა აილაგმოს ეს თავხედი „მოქალაქე“.

ფ. გუ—რი.

წითელ ჯარში

ცენტრალური ბიბლიოთეკა.

მე-2-ე ქართულ დივიზიის ცენტრალურ ბიბლიოთეკის დანიშნულებაა გაუწიოს დახმარება თბილისში მდგომ ნაწილებს.

ამჟამად ბიბლიოთეკაში ირიცხება 20.000 ტომი წიგნი.

მდიდარია სამხედრო განყოფილება, რომელშიაც მოიძებნება ყველა ახალი გამოცემები რუსულ და ქართულ ენებზე.

ბიბლიოთეკას შემოღებული აქვს კოლექტიური აბონემენტები, რითაც ნაწილების ბიბლიოთეკებს ეძლევათ საშუალება ისარგებლონ წიგნებით განსაზღვრულ დროით.

ბიბლიოთეკასთან არსებობს საბიბლიოთეკო წრე, სადაც წითელარმიელნი სწავლობენ საბიბლიოთეკო საქმის ტეხნიკურ და იდეურ მხარეს.

კამპანიების დროს ბიბლიოთეკა აწყობს სათანადო წიგნების გამოფენას და ადგენს სარეკომენდაციო სიებს, რითაც სარგებლობენ ნაწილების ბიბგამგეები.

არსებობს აგრეთვე საბიბლიოგრაფიო ბიურო. მისი დანიშნულებაა წითელარმიელთათვის და მეთაურთა შემადგენლობისთვის სამეცადინო წიგნების შერჩევა, გაზეთ „წითელ-არმიელ“-ში რეცენზიების მოთავსება და სხვა.

ცენტრალურ ბიბლიოთეკას აქვს კავშირი თბილისის სამოქალაქო ბიბლიოთეკებთან, ხშირად ეწყობა გაერთიანებული მეთოდიური თათბირები.

გარდა ჯარის ნაწილების, ბიბლიოთეკით სარგებლობენ სამოქალაქო დაწესებულებებიც კოლექტიური აბონემენტების სახით.

ქ რ ო ნ ი კ ა

თადარიგის მეთაურთა სამოსწავლო შეკრება

1 ივნისიდან დაიწყება სამოსწავლო შეკრება თადარიგის მეთაურთა, რომელნიც მიწერილნი არიან საკადრო ნაწილებზე. შეკრება გაგრძელდება თვე ნახევარი.

შეკრების მიზანია თადარიგის მეთაურთა გადამზადება.

ის მოქალაქენი, რომელთაც ეხება შეკრება, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სათანადო სამხედრო კომისარიატებში მისაღებლად მიწერილ ნაწილში 1 ივნისამდე.

ეკონომიური ცხოვრება

ფასების დაკლება ბოსტნეულზე

24 მაისს ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა სამმართველოსთან არსებულ ფასების დამკლებ კომისიის თათბირი, რომელზედაც მიღებულ იქნა დადგენილება ფასების შემცირების შესახებ ზოგიერთ ბოსტნეულზე.

თათბირმა დაადგინა დაევალოს „ზაღბოსტანკავშირს“ და „მდელოს“-ს ამიერიდან კოოპერატიულ ორგანიზაციებს კომბოსტო მიჰყიდონ ბითუმად ფუთი 2 მ. 90 კაპ. (აქამდე საბითუმო ფასი იყო 3 მან.—3 მან. 50 კაპ.).

დაევალოს კოოპერატიულ ორგანიზაციებს (მუშკოოპს, „ზოეც“-ს და „ზაკტპო“-ს) ცალობით გირვანქა კომბოსტო ნაცვლად 12 კაპიკისა ამიერიდან გაჰყიდონ 10 კაპეიკად. ამრიგად, გირვანქა კომბოსტოს ფასი დაკლებულია 2 კაპეიკით.

კარტოფილის ძველი საშუალო ფასი—3½ კაპეიკი—დარჩა უცვლელად; კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაევალა შინავაჭრობის კომისარიატის სპეციალური ნებართვის გარეშე არ აუწიონ კარტოფილს ფასი.

წითელი ლობიოს ფასი 6 კაპეიკიდან გირვანქა შემცირებულია 5 კაპეიკამდე; ჭრელი ლობიოს ფასი—8 კაპეიკი—დარჩა უცვლელი. გურული ლობიოს ფასი ნაცვლად 12 კაპ., გირვანქაზე დაწესებულია 11 კაპეიკი.

ხახვის ფასი გირვანქა 6 კაპეიკი დარჩა უცვლელი და დაევალა კოოპერატიულ ორგანიზაციებს შინავაჭრობის კომისარიატის ნებართვის გარეშე არ გაადიდონ ხახვის ფასი.

რადგანაც ყველა ეს საქონელი სეზონური ხასიათისაა და ცვლილებას განიცდის, დაევალა სამმართველოსთან არსებულ ფასების დამკლებ კომისიას ერთი კვირის შემდეგ მოიწვიოს კოოპერატიულ ორგანიზაციათა თათბირი და ხელახლა გადასინჯოს აღნიშნულ საგნებზე დაწესებული ფასები.

ამასთანავე თათბირმა დაადგინა დაევალოს სამმართველოს ფასების დამკლებ კომისიას ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს მწვანეულობაზე ფასების დაკლების ზომები დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

წინადადება მიეცა მუშკოოპს და „ზაკტპო“-ს სხვა დანარჩენი ოპერაციების ხარჯზე რამოდენიმედ მაინც გაადიდოს ბოსტნეულითა და მწვანეულობით ვაჭრობის ოპერაციები.

საქონლის ბირჟის მუშაობის გაცხოველებისათვის

„ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ცირკულიარული წერილი დაუგზავნა თავის რწმუნებულებს, რომ საქონლის ბირჟების პრაქტიკიდან, როგორც ამა თუ იმ რაიონის საქონლის ბრუნვის ხელისშემწყობი საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან, განდევნილი უნდა იქნას ყოველგვარ ბიუროკრატიული წესები.

ბირჟის დარბაზი უნდა გახდეს ნამდვილი ვაჭრობის ადგილად, და არა გარიგებების მექანიკური რეგისტრაციის ადგილად, რასაც ხშირად აქვს ადგილი ამ ჟამად. ფორმალური მხარეები, რომლებიც შემოღებული იქნა საბირჟო კომიტეტების მიერ სავაჭრო ორგანიზაციების ინტერესების გაუთვალისწინებლად, აიძულებენ ამ უკანასკნელებს დიდი დრო დაკარგონ ბირჟაში საქმის გაკეთებაზე.

ამას გარდა მაკლერები გადაიქცენ უბრალო რეგისტრატორებად, რომლებსაც საშუალება არ აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში და შეასრულონ კლიენტების დავალებები საქონლის მიწოდება-ყიდვის საქმეში, რისი შედეგიცაა ის, რომ გაიზარდა ბირჟის გარეშე გარიგებები, რაც დაშვებული არ უნდა იყვეს. განსაკუთრებითი ფართო ხასიათი მიიღო ამ მოვლენამ თბილისის საქონლის ბირჟაზე.

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა თავის რწმუნებულებს მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის წესით გააძლიერონ მეთვალყურეობა საქონლის ბირჟებზე და წინადადება მისცენ საბირჟო კომიტეტებს, რომ გადასინჯული იქნეს გარიგებების მოხდენის, მათი აღრიცხვის, ფულის შეტანის და ცნობების გაცემის წესები მათი გამარტივების და სავაჭრო ორგანიზაციების დროის ხარჯვის შემცირების მიზნით.

თავის მხრივ ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ურჩევს საბირჟო კომიტეტებს შეიტანონ თავისი მუშაობის პრაქტიკაში კომისარიატის მიერ გამომუშავებული ზოგიერთი ახალი წესები, რომლებიც გაუადვილებს სავაჭრო ორგანიზაციებს გარიგებების მოხდენას საქონლის ბირჟაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება

ავანსების დარიგება

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება-რეალიზაციის საკითხი.

მ ა ტ ყ ლ ი

თათბირზე გამოირკვა, რომ წარმოკავშირმა წელს უნდა დაამზადოს 40.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი. აქედან 30.000 ფუთი უკვე დამზადებულია და დანარჩენი რაოდენობაც ახლო მომავალში იქნება დამზადებული. კერძო პირები მართალია აქა-იქ აწარმოებენ დამზადებას, მაგრამ წარმოკავშირს ხელს ვერ უშლიან.

წარმოკავშირმა თავის წევრებს დაურიგა ავანსები მატყლის დასამზადებლად. წარსულში წარმოკავშირს ეკარგებოდა გაცემული ავანსების 20 პროც., ეხლა კი სათანადო ზომების მიღების შემდეგ ავანსების მთელი 100 პროც. იქნება განაღდებული.

წარმოკავშირის გარდა მატყლის დამზადებას აწარმოებს ცეკავშირი. გეგმით დამზადებული უნდა იქნეს 8.000 ფუთი მატყლი. აქედან უკვე დამზადებულია 5.000 ფუთი. დანარჩენი რაოდენობა ახლო მომავალში იქნება დამზადებული.

თ ა მ ბ ა ქ ო

„ტაბაკსირიო“-მ ცეკავშირის საშუალებით ლეჩხუმში დაამზადა 10.000 ფუთი თამბაქო. ამას გარდა თამბაქო დამზადებულია აფხაზეთში—140.000 ფუთი და წარმოკავშირმა დაამზადა კიდევ 40.000 ფუთი თამბაქო.

სამეგრელოში შეიძლება დამზადდეს 10.000 ფუთი თამბაქო. ამის დამზადება შეუძლია წარმოკავშირს, მაგრამ დამზადების წარმოებას აფერხებს ფასების საკითხის მოუგვარებლობა. თამბაქოს ტრესტი იძლევა მცირე ფასს—10—12 მანეთს, რაზედაც თამბაქოს მეპატრონენი და წარმოკავშირი არ სთანხმდება. ამ ჟამად 10.000 ფუთი თამბაქო მეთამბაქოეთა ხელშია.

აბრეშუმის პარკი

განზრახული იყო 110.000 კოლოფი თესლის დარიგება, მაგრამ უკვე დარიგებულია 120.000 კოლოფი. დამზადებას ხელს შეუშლის მცირე ფასის დაწესება.

ღ ვ ი ნ ო

„საქართველოს ღვინოს“ წელს განზრახული ჰქონდა დაემზადებია 200.000 ვედრო ღვინო, ნამდვილად კი დამზადებულია 100.000 ვედრო, რადგან ძნელი შეიქნა სათანადო კრედიტების გამონახვა.

ერთი ელექტროსადგურის ისტორია

ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე გარე-კახეთის რაიონში არსებობდა ამხანაგობა „იორა“, რომელსაც განზრახული ჰქონდა მდ. იორას გამოყენება გარე-კახეთის რაიონის ელექტროფიკაციისათვის.

1924 წელში შესაძლებელი გახდა ამ საკითხის განხორციელება და 26 აპრილს ამხანაგობის საერთო კრებაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ინჟ. ბილანიშვილისა, რომელიც წინასწარ მუშაობას აწარმოებდა ჰიდროსადგურის აგების შესაძლებლობის გამოსარკვევად.

პირველი პროექტით განზრახული იყო დინამომანქანის დადგმა ამხანაგობა „იორას“ წისქვილზე და აქედან ენერგიის გადაცემა სოფ. ხაშმში მდ. იორიდან. წინასწარმა მუშაობამ დაამტკიცა, რომ ეს პროექტი მიუღებელია როგორც ტეხნიკური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით; გამოკვლევის თანახმად, სადგურის ასაგებად საჭირო იყო ზერების-არხის გამოყენება მდინარის მარცხენა ნაპირზე სოფელ ხაშმთან.

საერთო კრებამ მოიწონა წინადადება სადგურის თვითონ სოფ. ხაშმში აგების შესახებ.

ამ კრებას ექსპერტის სახით დაესწრო სახელმწიფო ელექტროტრესტის („ეტცო“) წარმომადგენელი.

მიუხედავათ ამისა, იმავე წლის 25 ოქტომბერს თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში მოსმენილი იქნა პროექტი ხელშეკრულებისა, რომელიც დადებული იქნა გარე-კახეთის რაიონული აღმასკომის მიერ ელექტროტრესტთან; ამ ხელშეკრულების მიხედვით განზრახული იყო ისევ ამხანაგობა „იორა“-ს წისქვილის გამოყენება. ამასთანავე არც რაიონული აღმასკომი და არც ელექტროტრესტი, რომლებმაც იცოდენ, რომ ეს პროექტი მიუღებელია, სრულიად არ შეეხენ საქმის ამ მხარეს და მოხსენებაში აღნიშნული იყო მხოლოდ, რომ რაიონულ აღმასკომსა და ელექტროტრესტს შორის დადებული ხელშეკრულება მისაღებია.

საბოლოოდ ხელშეკრულება დადებული იქნა 1924 წლის 19 დეკემბერს, ე. ი. ორი თვის შემდეგ იმ დროიდან, როდესაც პროექტი საერთო კრების მიერ მიუღებლად იქნა ცნობილი.

ეს კიდევ ცოტაა. ელექტროტრესტი ვალდებული იყო გამზადებული სადგური ჩაებარებია რაიონულ აღმასკომისათვის ხელშეკრულების ხელისმოწერიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ. გაიარა ერთმა წელიწადმა,—სადგური კი არ არის მზად; ერთი წლის განმავლობაში სამონტაჟო მუშაობაც კი არ იყო დაწყებული. აღნიშნული სამუშაო სახელმწიფო ელექტროტრესტმა 1925 წლის 25 ოქტომბერს დადებულ ხელშეკრულების ძალით გადასცა მესამე პირს, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

შემდეგ ტრესტი შეეცადა ჩაებარებია აღმასკოსათვის ჯერ კიდევ გაუმზადებელი სადგური. სამუშაოების მოიჯარადრისაგან ჩაბარების დროს კომისიაში მოწვეული იქნა სოფ. ხაშმის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ასათიანი, ალბათ, იმ მიზნით, რომ ეს ოპერაცია ჩათვლილი ყოფილიყო სადგურის ჩაბარებად აღმასკომისათვის; 1925 წლის 23 დეკემბერს შედგენილ აქტში კი გარკვევით ნათქვამია, რომ მუშაობა ჯერ არ არის დამთავრებული,

მიუხედავათ ამისა, ელექტროტრესტი თავის მიწერ-მოწერაში ეყრდნობა ამ დოკუმენტებს, რომლებიც, ვითომ, ადასტურებენ ხელშეკრულების შესრულებას და სცდილობს ფულის მიღებას აღმასკომისაგან.

1926 წლის 14 მაისს სადგური დათვალიერებული იქნა განსაკუთრებული ავტორიტეტული კომისიის მიერ; დათვალიერებამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები, რომელთა მიხედვით კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სადგური ეხლანდელი სახით არა თუ არ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად, არამედ ის სრულიად გამოუსადეგარია სამუშაოდ.

ამრიგად, სახელმწიფო ელექტროტრესტმა კეთილსინდისიერად არ შეასრულა 1924 წლის 19 დეკემბრის ხელშეკრულებით თავის-თავზე მიღებული ვალდებულებები და არახელსაყრელ ოპერაციაში ჩააბა გარე-კახეთის რაიონული აღმასკომი, რომელსაც იკისრა სადგურის აგება დაწუნებული ვარიანტის მიხედვით.

ქვანახშირის მრეწველობა

(ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან).

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ამიერ-კავკასიის ნახშირის მრეწველობის მდგომარეობისა და მისი რაციონალიზაციის შესახებ.

საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მხრივ არის მნიშვნელოვანი მიღწევები. დინამიტის გამოყენება თანდათან მცირდება; დინამიტი შესცვალა თოფის წამალმა, რომელიც საგრძნობლად აუმჯობესებს ნახშირის ამოღებას. მაღაროებს შემდეგში განსაზღვრული აქვთ თოფის წამლიდან გადავიდნენ ჰიდრავლიურ ვაზნებზე.

მაღაროები უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური მუშა-ხელის მუდმივი კადრით. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საბინაო კრიზისი, რომელიც ხშირად იწვევს მუშების წასვლას სხვა რაიონებში.

ტყიბულის ქვა-ნახშირის მთავარი კონკურენტია ამიერ-კავკასიის ბაზარზე და, უმთავრესად, რკინისგზებზე, ნავთი. ტყიბულის ქვა-ნახშირის გამოყენება რკინისგზებზე შესაძლებელია იმ დრომდე, სანამ ნახშირის ღირებულება ზედნადებ ხარჯებთან ერთად არ გასცილდება მაზუთის ღირებულებას.

ტყიბულში, გარდა ქვა-ნახშირისა, არის კიდევ სხვა მადანიც: კირნარი, თიხა და სხვა.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აუცილებლად სცნო, რომ მიმდინარე წელშივე დაწყებული იქნეს წინასწარი სამუშაოები და მოსამზადებელი მუშაობა ტყიბულის ქვა-ნახშირის ამოღების გასაფართოვებლად.

ტყიბულის ქვა-ნახშირის ამოღების რაციონალიზაციის მიზნით კომისიამ დაამტკიცა მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებანი და წინადადებები.

ნიაღვარის შედეგები

6000 სული ცხვრის დაღუპვა

კოჯორის და პრიუტის მიდამოებში ცხვრის ფარის დაზარალების შესახებ ამხანაგობა „მწყემსი“-ს გამგეობაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

— ამჟამად შირაქიდან ახალქალაქის საზაფხულო საძოვრებისაკენ დაძრულია 120 ათასი სული ცხვარი.

24 მაისს ჩვენმა მეცხვარეებმა გვაცნობეს ტელეფონით, რომ ისინი იღუპებიან და ითხოვეს მიშველება.

ამ ცნობის მიღებისთანავე გამგეობის წევრები გაემგზავრენ კოჯორისაკენ; მათთან გაჰყვა მაზრის საადგილ-მამულო განყოფილების გამგე ამხ. ადიკაშვილი. ისინი დაბრუნდენ უკან ღამის 12 საათზე და ჩამოიტანეს შემდეგი ამბავი:

მწყემსებისათვის, რომლებიც მიერეკებოდენ ცხვარს, კოჯორ-მანგლისის შუა მოუსწრია კოკისპირულ წვიმას, რასაც თან მოჰყოლია იმდენად ძლიერი ნიაღვარი, რომ, არამც თუ ცხვარი, არამედ ცხენებიც კი ვერ იძროდენ ადგილიდან. დამფრთხალი და სიმშილ-სიცივისაგან შეწუხებული ცხვარი გაიფანტა. დიდძალი ცხვარი გაიტაცა ნიაღვარმა, ბევრი კიდევ გასწყვიტა სიმშილ-სიცივემ. სულ დაღუპულია 6 ათასამდე ცხვარი. ზოგიერთ მწყემს სრულიად დაეღუპათ ფარები. ამის გამო ორ მეცხვარეს მოუკლავს თავი (ვინაობა გამოურკვეველია).

გარდა ცხვრებისა, დაღუპულია ცხენებიც. ერთ-ერთ მსხვილ მეცხვარე ლაშქარაშვილისათვის წყალს გაუტაცია ცხვრის მთელი ფარა და თვით ცხენით გადაუჩეხია ხრამში. ლაშქარაშვილს ფეხი აქვს მოტეხილი და იგი თბილისშია საექიმოდ ჩამოყვანილი.

სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების გამგე ამხ. ადიკაშვილი შევიდა მწყემსების მდგომარეობაში და გასცა განკარგულება, რათა შეეშვათ ცხვარი ყველგან საძოვრად, გარდა ყანებისა. ამასთანავე მილიციას მიეცა წინადადება, რომ დახმარებოდენ მეცხვარეებს გაფანტული ცხვრების მოსაგროვებლად.

ამასთანავე „მწყემსი“-ს გამგეობამ სთხოვა კოჯორის, პრიუტის და მანგლისის აღმასკომებს, რომ უფულო მეცხვარეებს, რომლებსაც მართებს სოფლის რამე ბეგარა, ჩამოართვან ხელწერილები და გადმოუგზავნონ ამხანაგობას მათ გასანაღდებლად, რათა სხვა მწყემსებსაც ასეთი ბედი არ მოსვლოდათ, „მწყემსი“-ს გამგეობამ აცნობა გზაში მყოფ მეცხვარეებს—ნუ დაიძვრიან ადგილიდან, სანამ ამინდი არ იბრუნებს პირს.

კოჯორის მიდამოებში დაზარალებული მეცხვარეები ამინდის გამოკეთებამდე დაბრუნდებიან და შეისვენებენ თბილისის მიდამოებში.

გუშინ თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ მიიღო ცნობა, რომ ცხვრები უკვე გამორეკილია კოჯორიდან.

თ ბ ი ლ ი ს შ ი

აგურის ქარხნების ზარალი.

წვიმებმა დიდი ზარალი მიაყენეს ვაკეს, ღრმა-ღელის და ავლაბრის აგურხანებს. ჯერ კიდევ პირველი წვიმის დროს მარტო ვაკის ქარხნებს მოუვიდათ 3.000 მანეთამდე ზარალი.

წვიმების დროს ყველა ქარხნებში გაფუჭდა ერთ მილიონამდე ნედლი აგური. ისინი შრებოდენ მოედნებზე და ნიაღვარმა მთლიანად წალეკა. გარდა ამისა ნიაღვრების მიერ წალეკილ იქნა გამზადებული თიხა 100 კუბიკური საჟენის რაოდენობით და ფორმებისათვის გამზადებული სილა.

ქარხნების ღუმელები გადარჩენილ იქნენ მუშების და ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომებით.

გეგმით ამ თვეში დამზადდებოდა 3 მილიონი აგური, ეხლა კი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ 1 მილიონი. საერთო ზარალს უნდა მიემატოს მუშების უქმად გაჩერება 5 დღის განმავლობაში.

საბურთალოზე.

24 მაისს ღამით ადიდებული მტკვარი ისევ შეიჭრა საბურთალოზე და წალეკა საქართველოს სამხედრო გზა ერთი ვერსისდე ზარალი.

თბილისის აღმასკომის ბაღი, რომელიც მდებარეობს მდ. ვერის მარცხენა ნაპირზე და რომელიც გადაცემული აქვს მოიჯარადრეს, მთლად დაფარული იქნა წყალით; წყალმა დაანგრია და წაიღო მოიჯარადრის სახლი.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა, რადგან მობინადრეები ჯერ კიდევ დღისით იყვნენ გამოყვანილი სახლიდან. წყალი ცეცხლის მქრობელ რაზმელების მიერ გადაშვებული იქნა თხრილში, საიდანაც შეუერთდა მტკვარს.

საბჭოთა ქუჩაზე.

გუშინ, შუადღის 4 საათისათვის, მთელი საბჭოთა ქუჩა გაივსო სილით და დაიფარა წყლით, რომლის სიმაღლე ნახევარ არშინს აღწევდა. ზოგიერთ ადგილას წყალი კიდევ უფრო მაღლა იყო.

მთელ ქუჩაზე შესწყდა ავტომობილების, ეტლების და ტრამვაის მოძრაობა. მთელი საღამოს და ღამე სწარმოებდა ქუჩის წმენდა, მაგრამ, ვინაიდან წყალი თანდათან მატულობდა, მუშები იძულებულნი შეიქნენ მუშაობა შეეწყვიტათ.

ღამის 3 საათისათვის მოძრაობა კიდევ არ იყო აღდგენილი.

მოსალოდნელია, რომ მოძრაობა შესწყდება ორი დღით.

საბჭოთა და მის ახლო მდებარე ქუჩებზე წყალი შეიჭრა სარდაფებში.

ზოგიერთ ადგილას საჭირო შეიქნა ცეცხლისმქრობელი რაზმის გამოწვევა.

ვინაიდან ღამის 11 საათიდან წყალის დონე თანდათან მატულობდა და მოჰქონდა ხრეში-სილა, მთელი ქუჩა დაყოფილ იქნა რამოდენიმე რაიონად, რომელსაც დარაჯობენ მილიცია და მეეზოვეები.

ვერის წისქვილი.

ადიდებული მდინარე ვერა წალეკას უქადდა წისქვილს, რის შესახებ აცნობეს ქალაქის ადმინისტრაციას. მიღებული ზომებით წისქვილიდან გამოტანილ იქნა ყოველგვარი ნივთები. მდინარეს წისქვილი არ წაუღია.

სახლის დანგრევა.

დიდი წვიმების გამო 25 მაისს [illegible]დის ქუჩაზე სახლმა № 146 იწყო [illegible]რევა; გაიბზარენ კედლები, ჩამოინგრა [illegible]ურავი; სასწრაფოთ მიღებული ზომებით ყველა მდგმურები გამოსახლებულ იქნენ. ადგილზე გამოცხადდა ცეცხლის მქრობელთა რაზმი და აღმასკომის მიერ გამოგზავნილი ინჟენერები.

მსხვერპლი არ ყოფილა.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება.

გუშინ, დილის 9 საათზე, თავისუფლების მოედანზე ლიანდაგის გა[illegible]რთოების გამო შეჩერდა ტრამვაის მოძრა[illegible] ნახევარი საათის განმავლობაში მოძ[illegible]ა სწარმოებდა მხოლოდ ერთ ხაზზე.

ლიანდაგის გადიდებას ადგილი აქვს ქალაქის სხვა ადგილებშიაც, რის გამო გუშინ კიდევ სხვადასხვა რაიონებში ფერხდებოდა ტრამვაის ნორმალური მოძრაობა.

ბორანი არ მუშაობს

მდინარე ვერისა და მტკვარის ადიდების გამო ვერის ბორანი მდ. მტკვარზე სამი დღეა არ მუშაობს. ადიდებულმა მტკვარმა წაიღო ბორანის მისაყენებელი ორივე გადმოსასვლელები. ძლიერ დაზიანებულია აგრეთვე ბორანთან მისასვლელი გზა მდინარე ვერის მხარეზე.

ბორანი მუშაობას დაიწყებს რამოდენიმე დღის შემდეგ.

წ ვ ი მ ე ბ ი ს მ ი ზ ე ზ ე ბ ი

უკანასკნელათ მოსულ დიდი წვიმებისა და ცუდი ამინდების გამო საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— მრავალი წლების განმავლობაში შემუშავებული გამოცდილებით, მაისის განმავლობაში, თბილისში ნალექების რაოდენობა უნდა უდრიდეს 81 მილიმეტრს. წელს კი, 1 მაისიდან 24-მდე თბილისში ნალექების სიღრმე უდრის 160 მილიმეტრს, ანუ ორჯერ მეტს, ვიდრე ნორმით უნდა იყოს. ამნაირად მაისში წელს მოვიდა ორჯერ უფრო მეტი რაოდენობის წვიმა, ვიდრე სხვა დროს.

ეს მოვლენა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მაისის განმავლობაში ჩრდილოეთში შემჩნეული იყო ჰაერის დიდი წოლვა და დაბალი ტემპერატურა. ამავე დროს, სამხრეთში ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო მოვლენას, ე. ი. ჰაერის დაბალ წოლვასთან ტემპერატურა მაღალი იყო. ამ მოვლენებმა გამოიწვიეს ე. წ. ზეაღმავალი დენები, რომლებიც გრილდებოდენ ჩრდილოეთის ცივი დინებით.

ასეთი პირობები ჩვეულებრივათ ყოველთვის იწვევენ დიდ წვიმებს, ხოლო რადგანაც საქართველოზე მოხდა ამ ორი საწინააღმდეგო მოვლენების შეხვედრა, ამიტომაც სწორედ აქ მოვიდა დიდი წვიმები.

ამჟამად ჰაერის წოლვამ მიიღო მიმართულება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ვრცელდება აგრეთვე დასავლეთის მიმართულებითაც.

ვინაიდან დასავლეთ ევროპიდან ობსერვატორიას ჯერ-ჯერობით არა აქვს დაწვრილებითი ცნობები ამ მოვლენის შესახებ, ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ ჯერ კიდევ რამდენი ხნით გაგრძელდება ასეთი ამინდი. ყოველ შემთხვევაში, ამ ორ დღეში ამინდის ცვლილება არაა მოსალოდნელი.

ნიაღვარი პროვინციაში

დურუჯის ადიდება

უკანასკნელ დიდი წვიმების გამო, თელავის მაზრაში ადიდდა ყველა მდინარეები და გადალეკა ახლო მდებარე ყანები. განსაკუთრებით დიდი ზარალია მდ. დურუჯის ნაპირებზე.

საგურამოში

წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე დუშეთის მაზრას. საგურამოს რაიონში, სოფელ ნავდარაანთ-კარში ადიდდა პატარა ღელე, რომელმაც წალეკა დიდძალი ნათესები, დაანგრია სახლები და დაღუპა მრავალი შინაური პირუტყვები. ზარალი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. სოფლელებმა მიმართეს შუამდგომლობით წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინჟენერის გაგზავნის შესახებ ადგილობრივ მუშაობის სახელმძღვანელოთ.

ადამიანთა მსხვერპლი არაა.

დასავლეთ საქართველოში

წყალდიდობასთან მებრძოლ სამეულის სახელზე მოდის ცნობები დასავლეთ საქართველოს მდინარეების ადიდების შესახებ. ძლიერ ადიდებულია ყვირილა და რიონი.

დაწვრილებითი ცნობები არაა.

ქრონიკა

დასასვენებელ სახლებში

მუშა-მოსამსახურეთა დასასვენებელ სახლებში გაგზავნის წესი, თბილისის დამზღვევ სალაროს დადგენილებით, შეცვლილია. ძველი წესით ადგილკომებს უნდა წარედგინათ სია იმ მუშა-მოსამსახურეთა, რომლებიც მიდიან შვებულებაში, შვებულებაში წასვლამდე 2 კვირით ადრე. ახალი წესით კი თვით მუშა-მოსამსახურემ უნდა წარუდგინოს საექიმო კომისიას ადგილკომისაგან აღებული მოწმობა მისი შვებულებაში წასვლის შესახებ.

გლეხების ექსკურსიები

საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო გამოფენას დაათვალიერებს 720 გლეხი-ექსკურსანტი, აზერბეიჯანიდან—800, სომხეთიდან—400.

ფუნიკულიორი

ივნისის 1-დან იწყებს მუშაობას ფუნიკულიორი. მუშაობა იწარმოებს დილის 10-დან ღამის 12 საათამდე.

კავკასიის წითელი არმიის მეხუთე ოლიმპიადა.

16 ივნისს თბილისში შესდგება კავკასიის წითელი არმიის მეხუთე საიუბილეო ოლიმპიადა.

ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ დივიზიის ხელმძღვანელთა საუკეთესო ძალები.

არმიის ნაწილებში უკვე დაიწყო სხვადასხვა სახის შეჯიბრება.

წისქვილები

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წისქვილების ტრესტის წისქვილები გადაეცა ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

შინა-ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გაადიდოს აღნიშნულ წისქვილების დატვირთვა 100 პროცენტამდე.

ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში მეცადინეობა დამთავრდება 5 ივნისს. უნივერსიტეტს ამთავრებს 119 კაცი. მათ შორის 17 ქალია. ეროვნულ შემადგენლობის მიხედვით: ქართველი 26, სომეხი—42, თურქი—8, რუსი—34 და სხვა ეროვნების—9.

სანიტარულ-ეპიდემიური თათბირი.

31 მაისს თბილისში გაიხსნება ამიერ-კავკასიის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატების სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებათა გამგეების თათბირი. თათბირზე განხილულ იქნება ამიერ-კავკ. ანტიმალარიულ ყრილობის მოწვევის საკითხი, სანიტარული სტატისტიკის და სხვა საკითხები.

სეტყვა

სეტყვამ კახეთში დააზიანა ვენახები ყვარელში, თელავში, გრემში და შამაურში. ვენახების 25%-დან 30%-დე დაიღუპა.

საქონლის ჭირი

— **ახალციხის** მაზრის სოფ. წრიოხში გაჩნდა საქონლის ჭირი. საწინააღმდეგო ზომები უკვე მიღებულია.

— **ტაბახმელის** საშრატე სადგურმა მიმდინარე თვის პირველ ნახევარში გამოიმუშავა 600 ლიტრი საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

— **კავთისხევის რაიონში** მიწათმოქმედების კომისარიატმა გაგზავნა 117 ლიტრი შრატი თემში საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

— **ახალქალაქის მაზრაში** ჭირი თითქმის სავსებით მოისპო.

— **სამხრეთ-ოსეთში.** სოფ. მოხისში და წინაღარში კვლავ იჩინა თავი საქონლის ჭირმა. შრატი უკვე გაიგზავნა.

— **ოსიაურის სადგურმა** აპრილში გამოიმუშავა 22 ლიტრი ღორის ჭირის საწინააღმდეგო შრატი და 500 გრამი ჰიჟინის ვაქცინა და 3¼ ლიტრი ფრინველის ხოლერის შრატი.

სხვადასხვა

— **ცეკავშირის** ცნობით, გასულ წელს ახალციხის მაზრის კოოპერაციამ მოიგო 30 ათასი მანეთი.

— **სატყეო ტრესტი** ბორჯომის რაიონში შეუდგა ხე-ტყის დამუშავებას.

— **მალარიის საწინააღმდეგო** ამიერ-კავკასიის ყრილობა გადაიდო შემოდგომისათვის.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, 26 მაისს, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ტეხნიკურ თანამშრომელთათვის პროფწრის მეცადინეობა.

შემთხვევები

— **შეპყრობა.** შეიპყრეს ქურდობისათვის ანდრო გარშკოვსკი.

— ამავე დღეს შეიპყრეს ქურდი მუსტაფა ასკერ-ოღლი.

— **ქურდობა.** 24 მაისს ქსნიევის ქუჩაზე გაქურდეს პეტრე გელაშვილის ბინა.

სპარსეთის კონსულის ბინის გაქურდვა.

გუშინ, დილის 10 საათზე სპარსეთის კონსულის ბინაზე (პანასკევიჩის ქუჩა) შეიპარენ ქურდები და მოინდომეს ბინის გაქურდვა. მათ ჩაალაგეს ყველა „საჭირო“ ნივთები ტომრებში, დამშვიდებით მოუკრეს მათ თავი და აპირებდენ გამოსვლას, რომ... კარები შემოაღო სტუმარმა აზაშიძემ და დააპატიმრა ორივე ქურდი. თავმოყრილ ხალხის ჩოჩქოლში ერთმა ქურდმა მოასწრო გაპარვა და უმნიშვნელო ნივთების გატაცება. დაპატიმრებულის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

საკონტროლო ციფრები

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს საქართველოს მრეწველობის საკონტროლო ციფრების შედგენა, მიიღო ტყავის, ნახშირის, ლითონის და სატყეო მრეწველობის საკონტროლო ციფრები.

კომისიამ საჭიროდ სცნო ტყიბულის ქვა-ნახშირის ამოღების გადიდება 46 პროც. მიმდინარე წელში ტყიბულში ამოღებული უნდა იქნეს 5.400.000 ფუთი ნახშირი, მომავალ წელში კი 7.400.000 ფუთი.

სატყეო მრეწველობაში კომისიამ საჭიროდ სცნო 305.000 მანეთის დახარჯვა არსებული წარმოების აღსადგენად და გასაფართოებლად.

ტყავის მრეწველობაში აუცილებლად იქნა ცნობილი წარმოების გაფართოება.

მიმდინარე წელში ტყავის ქარხნებში გადამუშავებული იქნა 54.000 მსხვილი ტყავი და 45.000 წვრილი. ფეხსაცმელების ფაბრიკაში დამზადებული იქნა 150.000 წყვილი ფეხსაცმელი.

ლითონის მრეწველობაში კომისიამ საჭიროდ სცნო მთელი რიგი ხარჯების გაწევა არსებული წარმოებების გასაფართოებლად.

კერძოდ ჩატახის ქარხანას უფლება მიეცა მოაწყოს ახალი დომენის ღუმელი, რის შემდეგაც ქარხნის ნაყოფიერება გაიზრდება 640.000 ფუთი თუჯით. ამისათვის საჭირო იქნება დამატებითი კრედიტი 230.000 მანეთის რაოდენობით.

სას. სამ. გამოფენისათვის

საექსკურსიო ბიუროში

ა.-კ. სასოფ.-სამეურნ. გამოფენის 30 მაისისათვის გადადების გამო, გამოფენის საექსკურსიო ბიურომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიწათმოქმედების კომისარიატებს დაუგზავნა დეპეშები გამოფენაზე ექსკურსანტ-გლეხების გამოგზავნის შესახებ.

თანახმად ამ დეპეშისა, საქართველოდან ექსკურსანტები გაემგზავრებიან გამოფენაზე 17 ივნისიდან, ხოლო აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან—5 ივნისიდან.

ლექტორების მოწვევა

გამოფენის საექსკურსიო ბიურომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებიდან მოიწვია 20 ლექტორი გამოფენის დროს სასოფლო-მეურნეობის თემებზე ლექციების საკითხავათ.

პროფკავშირის თხოვნა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ მიმართა გამოფენის საექსკურსიო ბიუროს თხოვნით—მიიღოს თავის თავზე პროფკავშირის წევრ-ექსკურსანტების გატარების ხელმძღვანელობა გამოფენაზე. საექსკურსიო ბიურომ შეიწყნარა ეს თხოვნა.

აგარაკები

ბაკურიანის კეთილმოწყობა

ერთ-ერთ საუკეთესო აგარაკათ საქართველოში ბაკურიანი ითვლება, მაგრამ მას აკლია სასმელი წყალი.

ამჟამად ბაკურიანის აღმასკომთან შემდგარია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მიიღოს სასწრაფო ზომები და დაუყოვნებლივ შეუდგეს კურორტზე წყალსადენის გამოყვანას.

მიმდინარე საგარაკო სეზონისათვის ბაკურიანს ექნება წყალსადენით მიწოდებული სალი წყაროს წყალი.

ბაკურიანში გარდა ამისა არ არსებობს საექიმო პუნქტი. ეს კი ბაკურიანისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს, რადგანაც ზაფხულობით აქ ჩამოდიან საგარაკოთ აუარებელი მუშა-მოსამსახურეები და საკურორტო საექიმო დახმარების განყოფილებას არა აქვს საშუალება ყველას გასწვდეს. გარდა ამისა თვით ბაკურიანის რაიონის მცხოვრებნი შორს არიან რაიონის ცენტრ—ბორჯომიდან და ყოველ ცალკე შემთხვევაში გლეხისათვის ძნელია 40 ვერსის მანძილზე ეძიოს ექიმი.

ამის გამო ბაკურიანის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საკურორტო სამმართველოს და გორის სამაღმასკომის წინაშე გახსნან საექიმო პუნქტი.

განათლების კომისართა თათბირი

თბილისში შესდგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისართა თათბირი.

თათბირმა განიხილა საკითხები: უმაღლეს სასწავლებლებისათვის გაერთიანებული წესდების შემუშავებისა, სოციალ-ეკონომიურ და პედაგოგიურ ფაკულტეტების პროგრამისა და გეგმის და აგრეთვე სოციალურ აღზრდის პროგრამისა და გეგმის შესახებ. თათბირმა დაადგინა—შესცვალოს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლების წესდებანი და გამოიმუშაოს რ. ს. ფ. ს. რ.-ში მოქმედ წესდებასთან შეფარდებული ახალი წესდება.

თათბირმა დასახა პედაგოგიურ ფაკულტეტის სამოსწავლო გეგმების ძირითადი დებულებანი და წინადადება მისცა რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატებს, რომ მათ შეიმუშავონ ეს გეგმები განათლების სახ. კომისარების მომავალ თათბირზე წარმოსადგენად.

ვინაიდან მასალა სოციალურ აღზრდის საკითხების შესახებ არ იყო შემუშავებული, თათბირმა დაადგინა, რომ ამ საკითხის განხილვა გადასდოს მომავალ თათბირისათვის, რომელიც ახალი სამოსწავლო წლის დასაწყისში შესდგება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარების მომავალ თათბირზე სხვა საკითხებთან ერთად დაისმება საკითხები სახალხო განათლების სისტემისა, საყოველთაო სწავლისა, პროფტეხნიკურ განათლებისა და ახალგ. გლეხთა სკოლების შესახებ.

ინგლისის მუშების დასახმარებლად

საქართველოს მშრომელთა წვლილი.

მიმდინარე წლის 24 მაისამდე ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ საქართველოს პროფსაბჭოს მიერ შეგროვილია 20.226 მანეთი 81 კაპ. ეს თანხა შესდგა კავშირების ცენტრალურ გამგეობის, სამაზრო პროფბიუროების და აჭარისტანის პროფსაბჭოს მიერ გადადებულ თანხებიდან. ყველაზე მეტი თანხა გადასდო (2.000 მანეთი) ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანმა საბჭოთა მუშაკების კავშირმა. შემდეგ მიდის გემო-კვების კავშირი (1.500 მან.) და სხვა.

თანხების შეკრება ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ გრძელდება. შეგროვილი თანხები იგზავნება სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში.

სასამართლო

განაჩენი ბოკერიას საქმეზე.

სასამართლომ ბრალდებული ვლადიმერ ბოკერია უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

ქურდობა და მკვლელობა.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ წალკაში გაარჩია **მამედ-ალი, უმატ-ალი, მამედ-პირი და ისა პირი-ოღლების** საქმე.

ყველა ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ ქურდობა და მკვლელობა.

მამედ-ალი და უმატ-ალი-ოღლიმ თავიანთი სოფლის გლეხს მოჰპარეს ხორბალი. ეს ამბავი გაიგო სოფლის მილიციელმა ვალი ალი-ოღლიმ. ბრალდებულებმა ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ვალი ალი-ოღლის შესთავაზეს ნაქურდალი ხორბლის ნაწილი, რაზედაც უკანასკნელი არ დასთანხმდა. ამის გამო ბრალდებულებმა მოჰკლეს იგი.

სასამართლოს კვლევა-ძიებაზე ზემოთაღნიშნული გარემოება დადასტურდა.

სასამართლომ მამედ-ალი, უმატ-ალი, მამედ პირი და ისა პირი-ოღლები სცნო დამნაშავეთ და მიუსაჯა მათ ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით. ამასთანავე სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა მსჯავრდადებულებზე არ იქნას გავრცელებული ამნისტია.

მკვლელობა სისხლის აღების ნიადაგზე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით აღბულაღში გაარჩია დავით **ქორთიაშვილის** საქმე.

ქორთიაშვილს ბრალდებოდა მოქ. ტიმოთე ანტონოვის მოკვლა.

1922 წლის აგვისტოში ბრალდებული ჩაუსაფრდა და მოჰკლა ანტონოვი. გამოირკვა, რომ წინეთ ანტონოვს შურისძიების ნიადაგზე მოუკლავს ბრალდებულის ძმა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა ანტონოვი.

სასამართლომ დაჰკითხა მთელ რიგ მოწმეებს, რომლებმაც დაადასტურეს წინასწარი გამოძიებით გამორკვეული ფაქტები.

სასამართლომ ქორთიაშვილი სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა მას ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა მსჯავრდადებულზე არ იქნას გავრცელებული ამნისტია.

ქალების მსხვერპლი.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით გაარჩია **დიმიტრი, სავა და ალექსანდრე მოსიევების** საქმე.

გასული წლის ნოემბერში ბრალდებულები მიპატიჟებული იყვნენ მეზობლისას ქელეხზე. დიმიტრი მოსიევი დათვრა და სილა გააწნა კონოსოვს. ალექსანდრე მოსიევი მიეშველა თავის ძმას და ხანჯლით დაჭრა მოქ. კონოსოვი. ამ ჭრილობისაგან ის გარდაიცვალა.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც დიმიტრი და ალექსანდრე მოსიევს მიესაჯათ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით. საბა მოსიევი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გამართლებული იქნა.

საკავშირო თანხების მითვისება.

4 ივნისს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ დაიწყება საზოგადოებრივ - საჩვენებელი გასამართლება ს. მ. უ. საბჭოს პოლიგრაფტრესტის 1-ლ სტამბის გამგის **ნიკოლოზ მალანიასი**, რომელმაც მიითვისა და გაფლანგა 6.000 მანეთამდე საკავშირო თანხები.

საოლქო სასამართლოს სესიის მგზავრობა.

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით დღეს მიემგზავრება ყარაიაზში, სადაც გასარჩევად დანიშნულია 5 საქმე.

სასამართლოს სესიის მუშაობა.

გუშინ დაბრუნდა თბილისის მაზრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია.

სესიამ მანგლისში, წალკასა და აღბულაღში გაარჩია სულ 24 საქმე.

რკინის გზებზე

ფოილოს ხიდის გამოცდა

კვირას, 23 მაისს, ა.-კ. რკინისგზების სპეციალურმა კომისიამ: გზათა უფროსის ამხ. **ბერიძის**, პროფ. **ზავრიევის** მონაწილეობით მოახდინა ფოილოს ხიდის გამოცდა.

ამხ. ბერიძის ცნობით, ხიდის გამოცდამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო.

ხიდის ოფიციალური გახსნა მოხდება უახლოეს ორი-სამი კვირის განმავლობაში.

პირდაპირი მოძრაობა

ამიერ-კავკასიის და ჯულფა-ბაქოს რკინისგზების შორის მოხდა შეთანხმება ბაქო და ჯულფა-ბაქოს გზის უკანასკნელ პუნქტებს შორის პირდაპირი მიმოსვლის დაწესების შესახებ.

ამ შეთანხმების თანახმად, მოძრაობა იწარმოებს მატარებელ № 15, 16 და 3-4-ით. თითეული მათგანი შესდგება შვიდი სამგზავრო და ერთი საბარგო ვაგონისაგან.

მატარებელი ამ გზაზე ივლის კვირაში სამჯერ. მოძრაობა უკვე გახსნილია.

ორთქლმავალის გადავარდნა

გუშინ, დაახლოვებით 7 საათზე, სადგ. ნახიჩევანში მატ. № 12-ს ორთქლმავლის მოსაბრუნებლიდან გამოყვანის დროს, იგი სამი ბორბლით ასცდა ლიანდაგს. მატ. № 12 ნახიჩევანიდან ამის გამო გავიდა დაგვიანებით.

შემთხვევის მიზეზს იკვლევენ.

სახ. კომისართა საბჭოში

ახალი შრიფტი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის მიერ წარმოდგენილი პირობები ქართული ახალი შრიფტის მატრიცების დამზადების შესახებ საერთოდ მისაღებად იქნა ცნობილი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

განათლების სახალხო კომისარს დაევალა დასდოს ზემოხსენებულ პირობების თანახმად სათანადო ხელშეკრულება აღნიშნულ ორგანიზაციასთან.

შრიფტის რეფორმისათვის საჭირო ტეხნიკური მუშაობის ჩასატარებლად დაარსდა მუდმივი კომისია ამხ. დ. კანდელაკისა (თავმჯდომარე), ე. ბოლქვაძისა და მხატვარ დ. შევარდნაძის შემადგენლობით.

ამხ. სანაკოევის დანიშვნა.

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს რწმუნებულად სამხრეთ-ოსეთში დაინიშნა ამხ. ე. სანაკოევი.

ჯვარი-მესტიას გზატკეცილის გაყვანის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს ჯვარი-მესტიას გზის გაყვანის სამუშაოზე გაგზავნილ ამიერ-კავკ. წითელდროშოვან არმიის მესანგრეთა ათასეულის საჭიროებისათვის გაიღოს 15.000 მანეთი.

მორსმაუწყებელ რადიოსადგურის მოწყობა.

ს. ს. სრ. კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ამიერ-კავკასიის რწმუნებულის და საქართველოს საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში მორსმაუწყებელი რადიოსადგურის მოწყობა მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი.

აცილებული უბედურება

გუშინ, დღის პირველ საათზე 10 თებერვლის ქუჩაზე მოულოდნელათ ცეცხლი გაუჩნდა ტრამვაის დენის გამტარებელ ბოძს. ცეცხლმა მოულოდნელათ საშიში ხასიათი მიიღო: მოსალოდნელი იყო მავთულების გაწყვეტა, რაც უდიდეს საფრთხეს უმზადებდა გამვლელთ. საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა № 366 დროზე მიაქცია ყურადღება ამ საფრთხეს და მოწვეულ მეეზოვეების საშუალებით ხალხი არ გაატარა საშიშარ ადგილისკენ.

ტრამვაის სამმართველოდან დაჩქარებით მოვიდენ მექანიკოსები და დამწვარი ბოძი შეაკეთეს.

მოძრაობა რამოდენიმე წუთით შესწყდა.

ბუნების შესწავლისათვის

მიწათმოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილებას განზრახვა აქვს ახლო ხანში შეუდგეს ორგანიზაციულ მუშაობას „ბუნების მოყვარულთა საზოგადოების" დასაარსებლათ. საზოგადოება თავის მუშაობას გაავრცელებს უმთავრესათ მოსწავლე ახალგაზრდობასა და ახალგაზრდა გლეხებს შორის.

საზოგადოების მიზანია შეაყვაროს ხალხს ბუნება, პოპულიარობა მოუპოვოს ტყეების მრეწველობის იდეას, შეასწავლოს ხალხს ტყის მოშენების საშუალებები და საზოგადოება აწარმოოს მოსახლეობაში ამ მხრივ აღმზრდელობითი მუშაობა.

საზოგადოების ცენტრალური გამგეობა იარსებებს თბილისში, ხოლო განყოფილებები იქნება მაზრებში. თითეულ სოფელში ცალკე მოეწყობა ბუნების მოყვარულთა წრეები, სადაც მეცადინეობას უხელმძღვანელებენ ადგილობრივ სატყეოების მუშაკები და თვით საზოგადოების ინსტრუქტორები.

ცოფის მკურნალობა

პასტერის ინსტიტუტში ცოფიან ცხოველების მიერ დაკბენილ მოქალაქეთა მკურნალობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— უკანასკნელ ხანებში ძლიერ გახშირდა ცოფიანი ცხოველების მიერ მოქალაქეთა დაკბენა. საშუალოთ ინსტიტუტი ყოველთვიურათ ექიმობს 200-ზე მეტ ავათმყოფს. 1-ლი იანვრიდან 25 მაისამდე ინსტიტუტს განუკურნებია 1050 ავათმყოფი. ინსტიტუტი უმთავრესათ აწარმოებს ამბულატორიულ მკურნალობას პასტერის მეთოდით. დასავლეთ ევროპაში ამჟამად ექიმობენ უმთავრესათ იტალიელი მეცნიერის **ფერმიის** მეთოდით. ინსტიტუტს განზრახული აქვს იტალიაში მიავლინოს ექიმი ამ მეთოდის შესასწავლათ, რაიც ძლიერ გაადვილებს ჩვენში ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

გარდა ამისა ვანზრახულია ინსტიტუტთან მოეწყოს მწოლიარე ავათმყოფთა თავშესაფარი, რისთვისაც შესაფერი ხარჯთაღრიცხვა უკვე შემუშავებულია.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რამოდენიმე სადგურის გასახსნელათ პროვინციის ქალაქებში. სადგურების გასახსნელათ მუშაობა მხოლოთ ეხლა დაიწყო.

ავათმყოფების უმრავლესობას იძლევა თბილისი, შემდეგ ბათომი და მერე ქუთაისი. დიდძალ ავათმყოფებს იძლევა აგრეთვე სომხეთი, სადაც უმთავრესათ ავათ ხდებიან ნადირების (მგელი) დაკბენით.

ცივი წყლების კარვები

თბილისის მუშკოოპმა გადასწყვიტა ქალაქის უმთავრეს ქუჩებში მოაწყოს და გახსნას გრილი წყლების გასასყიდათ კარვები. ოთხი ასეთი კარავი უკვე დადგმულია,— ორი რუსთაველის პროსპექტზე, მუშკოოპის პასაჟთან და ორი თავისუფლების მოედანზე.

წინასწარ დამზადებული კარვები ადგილზე მიიტანეს და დასდგეს 23 მაისს. კარვების მოწყობა დამთავრდება დღეს და გაიხსნებიან ამ დღეებში.

ახალი ბაღი

ყოფილი იერუსალიმისა და სიონის ქუჩების კუთხეში, ახლათ გაფართოებულ შუა ბაზრის ბოლოს, ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებამ ამას წინეთ დაიწყო ბაღის გაშენება. ამჟამად ბაღის მოწყობა თითქმის დასრულებულია. მოთავდა მცენარეულობის და ბალახების დარგვა, ბაღს გაუკეთდა ქვის ღობე და რგავენ ყვავილებს. ახლო ხანში ბაღს გაუკეთდება რკინის მოაჯირი და შემდეგ გაიღება მოქალაქეთათვის.

ბოროტმოქმედებები

წარსული წლის ოქტომბრიდან ა. წ. 1-ლ მარტამდე საქართველოს მ.-გ. მილიციის მუშაობა ბოროტმოქმედებების აღმოჩენის საქმეში იძლევა შემდეგ სურათს:

მარტო თბილისში გამოძიებაში გატარებულა ამ ხნის განმავლობაში 1168 საქმე. აქედან აღმოჩენილია 1157 საქმე. მთელ რესპუბლიკაში კი მოკვლევით დამთავრდა 3.883 საქმე, აქედან აღმოჩნდა 3226 ანუ 83,1%.

მაზრების მიხედვით ბოროტმოქმედებათა რიცხვი ასეთ სურთს იძლევა: ახალციხის მაზრაში ადგილი ჰქონდა ამ ექვსი თვის განმავლობაში 316 შემთხვევას, ახალციხისაში—154, ბორჩალოში—203, გორის—197, დუშეთის—27, თელავის—348, სიღნაღის—157, თბილისის მაზრა (ქალაქის გამოკლებით)—160, ზემო-სვანეთში—3, ზუგდიდის მაზრაში—62, ლეჩხუმში—39, რაჭაში—4, ქუთაისის მაზრაში—151, ოზურგეთისაში — 141, სენაკის მაზრაში—172, შორაპნის—224 და ქალაქ ფოთში და მის რაიონში 67 შემთხვევა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ვინ რას და რამდენს სჭამს?

თანამედროვე მეცნიერება შესაძლებლად ხდის ყველა საკვებ ნივთიერებათა (პურის, ხორბლის, ხილის და სხ.) გაზომვას ორგანიზმისათვის მათი სარგებლიანობის თვალსაზრისით ისევე, როგორც ხდება სიმძიმის, მოცულობის, სიგრძის და სხ. გაზომვა. საკვებ ნივთიერებათა სარგებლიანობის ზომის ერთეული არის ე. წ. კალორია. კალორია—ეს არის სითბოს ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ერთი გრამი (გრამი—$1/400$ გირვ.) წყალის გასათბობათ ერთი გრადუსით. ყოველგვარი საკვები ნივთიერება ორგანიზმში გადამუშავდება და გამოყოფს სითბოს, რომელიც ათბობს სხეულს და ხელს უწყობს მასში სისხლის მიმოქცევას. რამდენათაც მეტი გამოსადეგი პროდუქტებია საჭმელში, მით უფრო მეტ სითბოს გამოყოფს იგი, ე. ი. მეტ კალორიებს წარმოშობს.

გერმანელმა მეცნიერმა **მაქს რუბნერმა** მიზნათ დაისახა გამოერკვია—რომელი ერი მეტ საჭმელს ხმარობს და როგორს. ანგარიში სწარმოებდა კალორიებით. ამისათვის მხედველობაში იქნა მიღებული თვითეული ქვეყნის არა მარტო ექსპორტის და იმპორტის სტატისტიკა, არამედ მოახდინეს დაკვირვებები თვითეული ერის წარმომადგენლის ყოფა-ცხოვრებაზე. ბოლოს და ბოლოს მაქს რუბნერი მივიდა მეტად საინტერესო დასკვნამდი, რომლებიც წარმოდგენილია პატარა ცხრილის სახით, რომელიც აქვე მოგვყავს. (ცილოვან ნივთიერებათა ჯგუფს ეკუთვნის—ხორცი, კვერცხი, თევზი; წყლონახშირმანებს—ხილი, შაქარი, კართოფილი, პური; საერთოდ კი, ყოველგვარი საჭმელი, განსაკუთრებით კი რძის საჭმელი, წარმოადგენს ცილოვან, წყლონახშირიან და ცხიმოვან ნივთიერებათა ნარევს.)

ყოველწლიურად ცალკე ეროვნების წარმომადგენლები სჭამენ:

	სულ კალორიები	ცილოვ. ნივთ. გრამობით	ცხიმოვან ნივთ. გრამობით	წყლონახშირმან. ნივთ. გრამ.
იაპონელი	2.553	81	29	485
იტალიელი	2.612	88	58	466
რუსი	2.666	79	43	473
გერმანელი	2.770	87	60	478
ავსტრიელი	2.825	81	57	478
ფრანგი	2.973	88	67	485
ინგლისელი	2.997	90	105	403
ამერიკელი	3.308	89	117	430

ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ფანჯრის მინა

ულტრა-იისფერი სხივებით მედიცინაში ფართოდ სარგებლობენ. ულტრა-იისფერი სხივების ქვეშ იგულისხმება მზის სხივების ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივად სჩანს და არ ანათებს საგნებს, არამედ აშავებს სინათლის სხივებისადმი მგრძნობიარე ფოტოგრაფიულ ფირფიტას ისე, რომ არ ახურებს მას. ეს სხივები მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდენ რახიტის (ინგლისური ავადმყოფობის) და ძვლებისა და სახსრების ტუბერკულიოზის, კანის, ნერვიულ და სხვა ავადმყოფობათა სამკურნალოდ. ის გარემოება, რომ მზის სხივები ჰკლავენ ბაქტერიებს, უმთავრესად ულტრა-იისფერი სხივების მოქმედებით აიხსნება.

სამწუხაროდ, ახლანდელი ფანჯრის მინები არ უშვებენ ულტრა-იისფერ სხივებს და ამით ართმევენ ადამიანს, რომელსაც უმეტესი დროის გატარება ოთახში უხდება, ძლიერ მოკავშირეს ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველად. აი ამიტომ არის, რომ სხვადასხვა ავათმყოფობათა მკურნალობის დროს ულტრა-იისფერი სხივებით, ხმარობენ არა შუშის, არამედ ე. წ. „ქვარცის ლამპას". ქვარცით სარგებლობენ იმიტომ, რომ იგი ულტრა-იისფერი სხივების გამტარია. შეერთებული შტატების ზოგიერთ საავადმყოფოებში, ჩვეულებრივი ფანჯრის მინების ნაცვლად ქვარცის მინებით სარგებლობენ. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ქვარცის მინების დამზადება ძვირი ჯდება და ყველა საავადმყოფო როდი შესძლებს მის შეძენას.

მაგრამ უკანასკნელად ინგლისიდან მიღებულია ცნობა, რომ იქ დაამზადეს ახალი შუშა, რომელიც ატარებს ულტრა-იისფერ სხივებს (გამომგონებელი **ლეონარდ გილი**) ეს შუშა ძლიერ იაფია და მისაწვდომია ყველასათვის. მხოლოდ საჭიროა, ამ შუშის ყოველდღე წმენდა, რადგან თუ გაისვარა, უკვე აღარ უშვებს ულტრა-იისფერ სხივებს.

ელექტრო-ცემენტი

ინგლისში მასიური ხასიათი მიიღო განსაკუთრებული სახის ცემენტის—ე. წ. „ელექტრო-ცემენტი"-ს წარმოებამ. ასეთი ცემენტის დასამზადებლად ნედლ მასალას ამუშავებენ ელექტრონის საშუალებით. ელექტრო-ცემენტი ჩქარა მაგრდება და 24 საათში ისეთი მაგარი ხდება, როგორც 28 დღის განმავლობაში გამშრალი პორტლანდის ცემენტი. ელექტრო - ცემენტის მაქსიმალური სიმაგრე უფრო დიდია, ვიდრე პორტლანდის და მას შეუძლია სამჯერ მეტ წინააღმდეგობას გაუძლოს.

4 მილიარდი ახალი ვარსკვლავი

ფირის ობსერვატორიაში, წყნარი ოკეანეს ნაპირებზე, დადგეს ახალი ტელესკოპი, რომელიც თავისი სიდიდით სჭარბობს ყველა სხვა ტელესკოპებს. დღემდის ყველაზე დიდ ტელესკოპათ ითვლებოდა ტელესკოპი, რომელიც დადგმულია ვილსონის მთაზე (სამხრეთ-ამერიკა) მოწყობილ ობსერვატორიაში. ამ ტელესკოპის საშუალებით ასტრონომებმა შეძლეს 320 მილიონი ვარსკვლავის შესწავლა. ახალი ტელესკოპით შეიძლება კიდევ 4 მილიარდი ვარსკვლავის შესწავლა. ახალ ტელესკოპს უდიდესი მნიშვნელობა ექნება მარსის შესასწავლად.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 26 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის, 96) შესდგება კომპარტიის და ახალგ. კომკავშირის კრება—ახ. კომკავშირის მეორე რაიონის უჯრედებზე პარტმიმაგრებულებთან ერთად.

კომპარტიის და ახალგ. კომკავშირის უჯრედების მდივანთა და აგრეთვე ახალგ. კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგთა დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

პარასკევს 28 მაისს, საღამოს 7 საათზე, მუშათა ცენტრ. კლუბში (პლეხანოვის გამზირი № 123) დანიშნულია **კავშირების კულტგანყოფილებათა გამგეების, კლუბების გამგეების და გამგეობის წევრების, წითელი კუთხეების და ბიბლიოთეკების და კულტკომისიების წევრების კონფერენცია.**

ყველა აღნიშნულ პირთა დასწრება სავალდებულო და აუცილებელია.

კონფერენციაზე მოწვეული არიან აგრეთვე პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს და თბილისის პოლიტგანათლების, კომპარტიის ცენტ. და თბილისის კომიტეტების საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებათა და ქალაქის რაიკომების საგიტ. განყოფილებების წარმომადგენლები.

დღის წესრიგში დასმულია ამხ. ჭელიძის საინსტრუქციო მოხსენება **„პროფკავშირების საზაფხულო კულტმუშაობის შესახებ"**.

...რ ლევანისძე იოსელიანი შვილებით:
... (არისტარხ), ელენე და თამარი,
... შვილებით: მერიკა და ნუნუ აუწყე-
...ამ ქ. ქუთაისში ...
... ძვირფასი, დაუვიწყარი
...
... ზინო სალარიძე...

ღრმად დამწუხრებული ლევან მეტრეველი ...
...ვებსა და ნაცნობებს თავის ძვირფასი მეუღლ...

ელისო მიხეილის ასულ...
მეტრეველის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე ხუთშაბათს. გამოსვენება 3 საათზე საკუთარი ბინიდან, გუნიბის ქ. 27. 2—1

უნუგეშოდ დამწუხრებული დედა მარიამი, და—ნატალია, ძმა—ზაქარია და ძმისწული ბიძინა, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს თავიანთ დაუვიწყარ

ელისო (ელიჩკა) მიხეილის ასულ
მეტრეველის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება 3 საათზე საკუთარი ბინიდან გუნიბის ქ. 27. 2—1

ღრმად დამწუხრებული და—ნატალია და სიძე მიხეილ ჰანიშვილები და ნადია და ვანია ზოდელავები ამით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს თავიანთ ძვირფას და საყვარელ

ელისო მიხეილის ასულ
გოგატიშვილ-მეტრეველის

უდროოდ გარდაცვალებას. 2—1

გაუბედურებული მშობლები: სარა და ვლასა, დაი—კატუშა და ძმა ნიკოლოზ ებრალიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და უსაყვარლესი

-კარლოსის

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება მოხდება 26 მაისს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე ცენტრალურ კლინიკ. ინსტიტუტიდან (ყოფილი მიხეილის საავადმყოფო) რკინის გზის სადგურზე, დაკრძალვა სოფ. ლანჩხუთში 27. მაისს ნაშუადღევის სამ საათზე. 2600

ღრმად დამწუხრებული: ვანო, თედორე, თებრონე, ლისა, ანეტა, თამარა, კოლია, ნინა, რევაზი და გივი ხუხუნაიშვილები, ნინა იტრიევისა, ნიკოლოზ, გრიშა და ლოლიჩკა ნიკოზაჩენკოვები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და საყვარელი

კარლო ვლასას ძე ებრალიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან, 26 მაისს 3 ნახ. საათზე, თბილისის სადგურზე, დასაფლავება ლანჩხუთში 28 მაისს სამ საათზე. 2600

ღრმად დამწუხრებული ნათლია ათანასე საბას ძე, მეუღლე ელისაბედ გაბრიელის ასული, შვილები სუზანა, აჩიკო და სოფიკო ებრალიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას მონათლულის

კარლოსის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტიდან რკინისგზის სადგურზე 26 მაისს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ს. ლანჩხუთში 27 მაისს ნაშუადღევის 3 საათზე. 2601

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამი, მამა ალექსანდრე, ძმა სოლომონი მეუღლე ნინათი, დები სუსანა და თამარა პარემუზოვები, მეუღლე ივანე ტარიელის ძე გეგეჭკორი ძმებით—რაჟდენი და ვასილი, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინა ალექსანდრეს ასული
გეგეჭკორისა

ცხედრის გამოსვენება 26 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე, განოვის ქ. № 9. დაკრძალვა მოხდება ხოჯევანქის სასაფლაოზე. 2599

გულდათუთქული ქმარი მალაქია ნიკოლოზის ძე, შვილები და ქალიშვილები ჟორჟ, ბიძინია, ვახტანგი, ლილი, მელანია და ბაბუცა ჯგერნაია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს შუაღამის 1 საათზე, 17 აპრილს, უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი და მარად დაუვიწყარი

ოლღა სამსონ თოდუას ასული

რომლის ორმოცი არის 27 მაისს. 2602

ა.-კავ. რკინის გზების სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის

დადგენილება

№ 12—4/9

1. ა | კ. რკინის გზების ადგილობრივ ტარიფის № 21 შეცვლა ხიზალალის გადაზიდვაზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ადგილობრივ ტარიფში № 21, რომელიც გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის რკინისგზების ტარიფის № 186 კრებულში (2043), და რომელიც შეეხება ხიზილალის გადაზიდვას, **მეორე კლასი შეიცვალოს პირველად,** სათანადოთ შეცვლილ იქნეს ტარიფის რედაქციაც შემდეგ ნაირად: „ხიზალალის (ჯგუფი 93, პოზ. 8) მცირე სისწრაფით გადაზიდვაზე ფასის გადახდევინება ხდება პირველი კლასით".

ეს შესწორება ძალაში შევიდეს ამის გამოქვეყნებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ.

2. ამიერ-კავკასიის რკინის გზების ადგილობრივი ტარიფის № 15 შეცვლა დიდი (სამგზავრო) სისწრაფით ახალი და სტერილიზაცია ქმნილი რძის, პასტერის სისტემით დამზადებულ რძისა და ნალების გადაზიდვაზე.

ა | კ. რკინის გზების ადგილობრივი ტარიფი № 15 ახალი და სტერილიზაცია ქმნილ რძის, პასტერის სისტემით დამზადებულ რძისა და ნალების გადაზიდვაზე, გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის რკინის გზების ტარიფთა № 174 კრებულში (18127), გაუქმებულად ჩაითვალოს ამის გამოქვეყნებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ.

3. ამიერ-კავკასიის რკინის გზების ადგილობრივი ტარიფის № 3 ნაწილობრივ შეცვლა ახალ ბოსტნეულის და კართოფილის გადაზიდვაზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ადგილობრივ ტარიფში № 3 ახალ ბოსტნეულის და კარტოფილის გადაზიდვაზე, რომელიც გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის რკინის გზების ტარიფის № 126 კრებულში (1098), გაუქმდეს სატარიფო ნორმა, რომელიც კარტოფილის რონოდობით გადასაზიდათ 12,5 ტონს შეადგენს და შეიცვალოს ეს ნორმა 14 ტონით, რომელიც საერთო ნორმას წარმოადგენს კარტოფილის რონოდობით გადასაზიდათ.

ეს ცვლილება ძალაში შევიდეს ამის გამოქვეყნებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ.

1—1 ნ. 1340

აპოლო
[illegible]

დღეს, ასტა ნილსენის მონაწილეობით.
საუკეთესო სურათი
„მოწყენილი ქუჩა"
იშვიათი სურათი
„ჯავშნოსანი პოტიომკინი"
რეჟისორი აიზენშტეინი „პოტიომკინ"-მა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინში. ყველამ უნდა ნახოს ეს შედევრი.
ანონსი: ჩქარა: „მეცხრე ზვირთი"
0—16. ნ. 1265

კომუნალური განყოფილების
საწარმოო კომბინატის სამმართველო
ამით აცხადებს, რომ პირველ ივნისს, დილის 11 საათზე ქალაქ ბათომის აღმასკომის შენობაში (ოთახი № 5)
დანიშნულია
# საჯარო ვაჭრობა
რომლითაც გაიცემა იჯარით ორთაბათომის შრომაზე მეექვსე ვერსზე წყალსადენის ფილტრების შეკეთების სამუშევრები.

უმთავრესი სამუშევრები: 1) შტუკატურკის მოხსნა და ახალის გაკეთება ცემენტის სითხით 1:2, სულ 222,7 ოთხ. კუთხ. საჟ., 2) გაწმენდა ფილტრების ძირში შეერთებულ ალაგებისა და ასეთის ამოსხმა ასფალტით 250 საჟ., 3) გაცარიელება ფილტრის (ამოღება მსხვილი და წვრილი ქვის ხრეშის 120,000 ფუთ.), 4) განაწილება და გარეცხვა ფილტრების, 5) ჩაწყობა ხელ-ახლად ორთა ფილტრების (მსხვილი ქვა 48,000 ფუთ., წვრილი ქვა და ქვიშა—154,500 ფუთი), 6. დანარჩენი წვრილი სამუშევრები და საჭირო მასალა: ცემენტი—1287 ფუთი, ასვალტი—171 ფუთი, ნუდრონი—8,5 ხრეში—75 კუბ. საჟ.

აქ აღნიშნული სამუშევარი მასალით თანახმად შედგენილი სარჯთ-აღრიცხვისა ჯდება 19.350 მ. 58 კ.

უკანასკნელი ვადა სამუშევრის დამთავრებისა 15 აგვისტოს 1926 წ.

ნ. 1335 3—1. **კომბინატი.**

ხაზის
# მონტიორები
საჭიროა ელქბანში
(თავისუფლების მოედ. № 2, თამამშევის ყ. ქარვასლა).

ნ. 1339 3—2

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—3

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11 სათ. 6—8
პლეხანოვის პროსპექტი № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
2537 25—1

წარმოკავშირის თბილისის მიწათმოქმედთა სასოფლო-სამეურნეო შრომის არტელის
„ბაღის შრომის" გამგეობა
ამით აცხადებს:

1) 25 მაისიდან გამგეობის კანცელარია მუშაობს კომუნალურ (ყოფ. ვორონცოვის) ქუჩაზე, ორთაჭალის მუშათა კლუბში, ყოველ დღე, საღამოს 5 საათიდან 9 საათამდის.

2) ახალ წევრების მისაღებად კანცელარია აწარმოებს მთხოვნელების ჩაწერას.

3) წევრთაგან ვინ არის განთავისუფლებული სხვადასხვა გადასახადისაგან ან მთლიანად, ან ნაწილობრივ—ამ ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში ყოველდღე. აგრეთვე 30 მაისამდის გრძელდება თხოვნების მიღება იმათაგან, ვისაც აქნობამდის ჯერ არ მოუთხოვნია შეღავათები.

4) წევრებს წიგნაკები დაურიგდებათ პარასკევიდან. ვისაც საწიგნაკო ფული არ გადაუხდია—ორი დღით ადრე შემოიტანონ.

ნ. 1334 2—1. **„ბაღის შრომის" გამგეობა.**

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 29 მაისს, დღის 11 საათზე, ვლადიმერ ჩუთლაშვილის საბაკალეიო სავაჭროში პირველი თუმანოვის ქ. № 3, მის მიერ ხელმეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდული იქნება მისი, ჩუთლაშვილის შემდეგი ქონება, რომელიც აწერილია თბილისის ურთიერთ კრედიტის საზოგადოების და ა.-კ. სახელმწიფო საპაიო სავაჭრო ამხანაგობის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად და რომელიც გასასყიდათ შეფასებულია 151 მან. 26 კაპეიკად: ფქვილი, კრუპა, ბრინჯი, ნიგოზი, მუხუდო, ტომატი-პიურე, მდოგვი, კრახმალი კოლოფებით, გალეტები, კონფექტები, კასრები და სხვ. 2593

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 1 ივნისს, დღის 11 საათზე, სოლომონ ყაზბეგის ღვინო-გასტრონომიულ მაღაზიაში პლეხანოვის პროსპ. № 3, მის მიერ ხელმეორე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება კონიაკი, ღვინო, სპირტი 96° ბარგის, კონკორდიას, ლაზარევის და სარაჯევის ფირმების და ადგილობრივი ლიქორი, რაც საერთოდ შეფასებულია 552 მ. 95 კაპ., გარდა ამისა პირველ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ტომატი-პიურე, ბოსტნეულის და ხილის კონსერვები, ერბო და ახალქალაქის თაფლი, რომელიც 156 მან. 70 კაპ. არის შეფასებული.

ზემოდაღნიშნული პროდუქტები გაიყიდება იმ ვალის დასაფარავად, რომელიც ს. ყაზბეგს არ გაუსტუმრებია მუშებისა და დაზღვევ სალაროსათვის. 2594

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი˝ ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

მედიცინის დოქ. ბ. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 32
25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914" ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ. საღამოს 5 დან—9 საათამდე; ქალები 12—2 საათ. საღამოს. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—1

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82
25—1 ქვ. 2356

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები.
დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.
25—6

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოებს, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქის და რენტგენის სამკურნალო კაბინეტი
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ. № 23
25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 12—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე ელბაქიძის დაღმართი № 15.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. (ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 3
25—115

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი
ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დ 8-მდე. 35—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—

დავკარგე კავშირის წიგნაკი სახ. კვებისა აკაკი ესეს ძე ჩხიკვაძის სახელზე, ჩ. გ. 2603

დავკარგე საწევრო წიგნაკი, გაცემული განათ. მუშაკთა კავშ. რაჭის სამაზრო განყოფილების მიერ № 1724, ოლია გაბიჩვაძის სახელზე. 2591

დავკარგე მიწა-ტყის მიერ გაცემული წიგნაკი № 10663, საჭირო ფლოტის წიგნაკი, გაცემული მესამე რაიონის მიერ ნიკოლოზ ბალანჩივაძის სახელზე, ჩ. გ. 2595

დავკარგე პირადობის და სიღარიბის მოწმობა ნიკოლოზ ბაგრატის ძე ბენდიანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2497

დავკარგე პირადობის მოწმობა ბორის ხუზზრიძის სახელზე, ჩ. გ. 2596

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 4573, ნინო გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. 2598

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68